MAD-MAN

# საგიჟეთი ოლდ ტრეფორდზე გაგრძელდება

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 მარტი **სამშაბათი** 2013
№052 (13 968) ფასი 80 თეთრი





## ბენიტესი ფინიშთან ვერ მივა?

კაპელო, ჰიდინკი... ჩელსის მწვრთნელების რიგი დაუდგა

5



## კრიშტიანოს დაბრუნება და გიგზის მეათასე მატჩი

8-9



10

## ძიდაოზის გადასარჩენად: დაველოდოთ 7 მარტს

ოლიმპიური კომიტეტი კატეგორიულად ალარ ლაპარაკობს



## დორტმუნდი და შახტარი სპექტაკლს გვპირდებიან

CHAMPIONS LEAGUE

დღევანდელი მატჩების წინათქმა



## თბილისში საზონისი ჩამოვიდა

ევროპულ რელსებზე ლიტვის გავლით

12



## მერსედესი ფავორიტად მოინათლა

ფორმულა 1-ის წინასასეზონო ტესტებზე ყველა გერმანული საჭინიზოს პროგრესს ალინიშნავს

15



## ნუკრი რევიშვილისთვის პატარა გორი დიდია

2

## უთამაშებლობას დილა სჯობია



## ნადალი ამერიკაში მიდის

რაფამ ინდიან უელსში თამაში დაადასტურა

14



# გორში სათამაშო პრაქტიკისთვის ნუკრი რევიშვილი დილაში იქნება?

შესაძლოა, **ნუკრი რევიშვილი** გორის "დილაში" ვიხილოთ. ეს ამბავი თავიდან დაუჯერებლად გვეჩვენა, რადგან საქართველოს ნაკრების მეკარე რუსეთის პრემიერლიგის ბინადარ "კრასნოდარში" ირიცხება და, მართალია, 2012 წლის ზაფხულიდან აღარ ათამაშებენ, მაგრამ მაინც ძნელად წარმოსადგენია - მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ლიგიდან საქართველოში დაბრუნება.

თავდაპირველად, როცა ინფორმაციის გადამოწმება ვცადეთ, დაგვიდასტურეს - გორელთა მხრიდან ინტერესი ნამდვილად არსებობს, მაგრამ 26 წლის მეკარე რუსეთიდან წამოსვლას მაინც არ აპირებს, ზაფხულამდე "კრასნოდარში" დარჩებაო.

მაგრამ, მერე და მერე, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ "დილას" კულუარებში მოარული ეს ხმები ჰაერიდან მოტანილი სულაც არ ყოფილა და რეალური საფუძველი ჰქონდა - მოლაპარაკება ნამდვილად მიმდინარეობს.

საქმე ისაა, რომ ნუკრის მენეჯერი **მამუკა ჯულელია** (რომელსაც ფეხბურთელმა რუსულ მედიაში „მამობილიც" კი უწოდა). სწორედ ამ უკანასკნელმა წაიყვანა რევიშვილი ყაზანის "რუბინში", შემდეგ მახაჭყალის "ანჟისა" და "კრასნოდარში". სხვათა შორის, წელს მისი და ჯულელის კავშირის გამო წარმოიშვა ჭორი - თითქოს ნუკრი ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ჯულელი ხომ გორული კლუბის ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელი და "დილას" არაოფიციალური პატრონი და მენეჯერია - მას ოფიციალური პოსტი არ სჭირდება, გუნდს ისედაც აკონტროლებს.

ნუკრი რევიშვილი "კრასნოდარში" 2011 წელს გადავიდა და თავიდან შეუცვლელი მეკარე გახლდათ, მაგრამ შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული გუნდში ქართველების მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. კლუბი ჯერ **ოთარ მარცვალაძემ** დატოვა, ზამთარში - კაპიტანმა **ალეკო ამისულაშვილმა**... როგორც ჩანს, ახლა ნუკრის ჯერია.

რევიშვილმა კლუბის დატოვების სურვილი შარშან დეკემბერში ღიად გამოთქვა, როცა "კრასნოდარის" სერბმა მთავარმა მწვრთნელმა **სლავოლიუბ მუსლინმა** შემადგენლობიდან ამოაგდო. ნაკრების მეკარეს სკამზე ჯდომა არ აწყობდა...

"კრასნოდარი" 8 იანვრიდან შეკრებაზეა, ნუკრიმ საკონტროლო შეხვედრებიც ჩაატარა, მაგრამ აშკარაა - მუსლინი მას ძირითად მეკარედ აღარ მოიაზრებს. "სკა-ენერგიაც" გამოირიცხა. რაც შეეხება საქართველოში დაბრუნებას, უახლოეს პერიოდში გვეცოდინება - ითამაშებს თუ არა "დილაში".

რევიშვილს ადრეც დაუყენებია სათამაშო პრაქტიკა ფულზე მაღლა. 2012 წლიდან, რუსეთის პრემიერლიგაში ახალი დებულება ამოქმედდა და ლეგიონერებზე ლიმიტის გამო ნუკრი „ანჟიში" უშანსოდ დარჩა. კლუბში დარჩენის საფასურად მას გაორმაგებულ ხელფასს ჰპირდებოდნენ, მაგრამ უთამაშებლობა მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ეროვნულ გუნდს ასეთი მეკარე არ სჭირდება.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ზესტაფონი-გურია. გამოხმაურება

## რამდენიმე ფეხბურთელის ბოლო შანსი




საქართველოს თასის მერვედფინალის უმთავრესი სენსაცია "ზესტაფონისა" და ლანჩხუთის "გურიას" დაპირისპირებაში დაფიქსირდა. "ზესტაფონმა", რომელიც წყვილის უპირობო ფავორიტი იყო, ორივე მატჩი საკუთარ მოედანზე ჩაატარა. პირველი შეხვედრა ფეროლელებმა, რომლებიც ნომინალური მასპინძლის როლში იყვნენ, 1:0 მოიგეს, მეორე კი 2:3 წააგეს და გათამაშებას გამოეთიშნენ.

*"ცხვირაწეული ფეხბურთელები არ მჭირდება"*, - განაცხადა ნამატჩევს "ზესტაფონის" თავკაცმა **კახა კაჭარავამ** და ისიც თქვა, რომ მის ზოგ შეგირდს გუნდის დატოვება მოუწევს.

დავინტერესდით - იგეგმება თუ არა კლუბში მკაცრი ზომების გატარება და ამის გასაგებად გუშინ კაჭარავას შევეხმიანეთ.

*"ფაქტია, რომ თასის გათამაშებას ასე ნაადრევად მეტოქის დაუფასებლობის გამო გამოვეთიშეთ. ჩემს ფეხბურთელებს მეორე მატჩამდე გამუდმებით ჩავჩიჩინებდი, რომ პირველ შეხვედრაში გამარჯვების მიუხედავად, "გურიასთან" მძიმე ბრძოლა ელოდათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, მათ ამ მნიშვნელოვანი თამაშისთვის სათანადოდ მობილიზება ვერ შეძლეს.*

*რამდენიმე ფეხბურთელს, ალბათ, მართლაც დავემშვიდობებით, მაგრამ არა ახლა, არამედ – სეზონის ბოლოს. მინდა, მათ კიდევ მივცე თავის გამოჩენისა და შეცდომების გამოსწორების შანსი"*, - გვითხრა "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა, რომელმაც "შავ სიაში" შეტანილი ფეხბურთელების ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა.

ახლა, კაჭარავა ცდილობს, მოთამაშეები სათანადო განწყობითა და კონდიციებით შეახვედროს ჩემპიონატის მეორე ეტაპს: *"რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ თასზე განცდილი წარუმატებლობა და მთელი ძალებით ჩემპიონატზე გადავერთოთ. ევროსაგზურის მოპოვების შანსი ჯერ კიდევ გვაქვს და მიზნის მისაღწევად თითოეულ შეხვედრას ისე უნდა მოვეკიდოთ, როგორც ფინალს. რაც მოხდა, იმას უკვე აღარაფერი ეშველება. ახლა მთავარია, მსგავსი ჩავარდნა მეორედ აღარ დაგვემართოს. საქართველოს სუპერთასის მოპოვებით დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა მივიღეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, თასიდან გამოვარდნამ ეს ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა".*

ჩემპიონატს "ზესტაფონი" 9 მარტს, გორის "დილასთან" გასვლითი მატჩით განაახლებს. დღეისთვის საქართველოს მოქმედი ჩემპიონი 37 ქულით უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა და მეოთხეადგილოსან "ჩიხურას" 6 ქულით ჩამორჩება.



კახა კაჭარავა

**ლევან ჯანეზაშვილი**

## დაპირება ძალაშია

### გურიამ ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს

**პირველლიგელმა ლანჩხუთის "გურიამ" სენსაცია მოახდინა - თასის გათამაშებაში არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს ჩემპიონი და სუპერთასის მფლობელი "ზესტაფონი" დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა. დღეს "ლელოს" რესპონდენტი გურულების მთავარი მწვრთნელი თემურ ლორია გახლავთ.**

**- როგორ მოახერხეთ ასეთი მეტოქის დამარცხება?**

- წარმატებას, პირველ რიგში, ფეხბურთელების მონდომების ხარჯზე მივაღწიეთ, ისიცაა, რომ "ზესტაფონმა", ალბათ, სათანადოდ ვერ შეგვაფასა. ამ დაპირისპირებამდე ცოტა ხნით ადრე, ალექსანდრე გოგობერიშვილმა ადგილობრივ გაზეთთან ინტერვიუში თქვა - ჩვენ არავისზე ნაკლები ფეხბურთელები არ ვართო. ამ კონკრეტულ მომენტში "გურია" უფრო მობილიზებული გუნდი გამოდგა და ამანაც შეგვიწყო ხელი.

**- საპასუხო მატჩის მეორე ტაიმში "გურიამ" აქცენტი დაცვაზე გადაიტანა, რადგან ანგარიში მიგყავდათ...**

- ანგარიშიდან გამომდინარე, მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში, საგოლე მომენტიც შევქმენით: კაკალაძის დარტყმა ჩვენივე ფეხბურთელს, კვერენჩხილაძეს მოხვდა, თორემ...

საპასუხო შეხვედრის წინ დასაკარგი არაფერი გვქონდა, ამიტომ დაცვიდან არ გვითამაშია - პირველი წაგებული შეხვედრის შემდეგ გოლი ხომ აუცილებლად უნდა გაგვეტანა. გახსნილი თამაშის დროს შესაძლოა გოლები გაუშვა, მაგრამ ამავე დროს ისიც შესაძლებელია, რომ ასეთი თამაში ხელსაყრელი გამოდგეს. ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა.

**- ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ითამაშეთ?**

- არა, თავდასხმაში კაკალაძე და კვერენჩხილაძე გავამწესეთ, ნახევარდაცვის ფლანგებზე შენგელია და ჩალაძე, შუაში ჯანგიძე და გოგობერიშვილი. შეგვეძლო ხუთი ნახევარმცველით თამაში, მაგრამ პირველი შეხვედრა წაგებული რომ გვქონდა, მოედანზე ორი ფორვარდით გასვლა ამიტომ ვამჯობინეთ.

**- ლანჩხუთში როგორ შეხვდნენ "გურიას" ამ წარმატებას?**

- რა თქმა უნდა, გულშემატკივრებმა კარგად მიგვიღეს. "ზესტაფონთან" საპასუხო შეხვედრას დაესწრო ლანჩხუთის ახალი გამგებელი ზაზა ურუშაძე. ის თამაშამდე ერთი კვირით ადრეც შეხვდა გუნდს და გვერდში დგომა აღუთქვა, ფეხბურთელებს უთხრეს, რომ ძალაში რჩება დაპირება: "გურიამ" ქართულ ფეხბურთში უწინდელი, ძლიერი პოზიციები უნდა შეინარჩუნოს. სხვათაშორის ზაზა ურუშაძის ბიძა - ანზორ კილაძე ადრე "გურიას" სპონსორი იყო. იმ დროს, როცა გუნდმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, კილაძე მაშინ ჩაის ფაბრიკების დირექტორი გახლდათ.

**- თასის მეოთხედფინალში "გურია" მეტოქეს რომელ სტადიონზე უმასპინძლებს? ალბათ მიღწეულით არ დაკმაყოფილდებით...**

- დაწყებულია იმაზე მუშაობა, რომ ლანჩხუთში, ახალდაგებულ მინდორზე ვუმასპინძლოთ მეტოქეს, როგორმე უნდა მოვასწროთ სათანადო სამუშაოების შესრულება. ცხადია, ნახევარფინალში გასასვლელადაც ვიბრძოლებთ, სათადარიგოთა სკამიც ისეთი გვაქვს, თუ ვინმე ტრავმას მიიღებს, მისი შეცვლა პრობლემა არ უნდა იყოს.

**- "გურია" უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. თუ მიზანს მიაღწევთ, ამ გუნდით უმაღლესში თამაში არ გაგიჭირდებათ?**

- ამ გუნდით ქვედა ექვსეულში თამაში შესაძლებელია, თუმცა უმაღლეს ლიგაში თუ გადავალთ, გაძლიერება მაინც დაგვჭირდება. კონკურენცია უნდა გაიზარდოს.

**- ყველაფერი, ისევ და ისევ, თანხებთან მიდის - რა პირი უჩანს "გურიას" დაფინანსებას მომდევნო სეზონში?**

- მიმდინარე სეზონში "გურიას" კვლავ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. ამავდროულად, მუშაობა მიდის 2013-14 წლების სეზონისთვის სპონსორის მოსაზიდად. ახალი გამგებლის პოზიციაც ისეთია, რომ სამომავლოდ კლუბს სპონსორი უნდა ჰყავდეს.

**დავით თავართქილაძე**



თემურ ლორია





მე-2 გვერდიდან

ნუკრი რევიშვილის ეროვნულ ნაკრებში დებიუტი 2005 წლის 8 ოქტომბერს, ყაზახეთის ნაკრებთან ჰქონდა და კარი „მშრალად" შეინახა. შემდეგ, "რუბინში" დიდი ხნით უთამაშებლობამ, ნაკრებში სათამაშო პრაქტიკასაც დაატყო კვალი. თუმცა ამას მოჰყვა მახაჩყალის "ანჟიში" კარიერის აწყობა, ნაკრების მწვრთნელად **თემურ ქეცბაიას** დანიშვნა და **გიორგი ლომაიას** წასვლა - ამის შემდეგ, რევიშვილი ნაკრების პირველი მეკარე გახდა.

მაგრამ კლუბში მდგომარეობა კვლავ აირია და ეროვნულ გუნდში **გიორგი ლორია** დაეწინაურეს, რევიშვილი კი ნაკრებში 18 შეხვედრაზე შეჩერდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# გია კვარაცხელია: სისწრაფესა და ბრძოლას გვთხოვენ



გია კვარაცხელიას კარიერაში იყო აღმასვლისა და ჩავარდნის პერიოდები. ალან ჟირესი სისტემატურად იწვევდა ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ 2005 წლის შემდეგ „ჯვაროსნების" ფორმა აღარ ჩაუცვია. არადა, სწორედ ამის შემდეგ აეწყო საკლუბო კარიერა: დაასახელეს ლიტვის საუკეთესო ლეგიონერად, თამაშობდა ბელარუსის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ მტზ-რიპოში.

2010 წელს, როდესაც მინსკის მტზ-რიპოდან რუსთავის "ოლიმპში" გადავიდა, ბევრმა მიიჩნია, რომ 29 წლის მცველის კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. მაგრამ 15 შეხვედრაში გატანილი 5 გოლით კვარაცხელიამ დაამტკიცა, რომ საჭირო კაცი იყო და გამოცდილი მოთამაშე თბილისის "დინამოში" მიიწვიეს.

2011 წელს, "დინამომ" კონტრაქტი აღარ გაუგრძელა და ისევ რუსთავში დაბრუნდა, იქ ჩინებული სეზონის შემდეგ კი ხელმეორედ უხმეს "დინამოში".

ზამთრის მოსამზადებელ ეტაპამდე "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ გუნდს სერიოზული გაძლიერება სჭირდებოდა, განსაკუთრებით, დაცვასა და ნახევარდაცვაში. ბევრმა იფიქრა, რომ „შემცირება" ვეტერან მოთამაშეებს შეეხებოდათ, მაგრამ კვარაცხელია კვლავ ძირითად გუნდშია.

სხვათა შორის, კვარაცხელიას გამარჯვებით დასრულდა "დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვა: გულშემატკივართა უმრავლესობამ (33%, 1042 ხმა) მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში საუკეთესოდ აღიარა გიას მიერ "ვიტ ჯორჯიას" (5:0) კარში გატანილი გოლი.

**- "დინამოს" თამაში იცვლება, გუნდი უფრო დინამიკური ფეხბურთისკენ იხრება. როგორ ეგუებიან ფეხბურთელები ცვლილებებს?**

- ტაქტიკის შეცვლა ჩვეულებრივი ამბავია. ყველა მწვრთნელს საკუთარი მოთხოვნა გააჩნია და ასეა უჰრინიც. ჩვენ ვალდებულნი ვართ ფეხი ავუწყოთ და მისი დავალებები შევასრულოთ. მიმაჩნია, რომ გუნდი ახალ სტილს საკმაოდ კარგად ითვისებს.

**- უჰრინი კონკრეტულად რას ითხოვს?**

- ევროპულ ფეხბურთს. აქცენტი სისწრაფესა და ძალისმიერ ბრძოლებზე აქვს გადატანილი. ჩვენი ნახევრიდან მეტოქის მოედნამდე ბურთი სწრაფად უნდა გადადიოდეს.

**- ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ქართულ გუნდებს ყოველთვის უჭირდათ.**

- გუნდს ეტყობა, რომ ფიზიკურად ძალიან კარგად არის მომზადებული. ეს ბევრს ნიშნავს და საშუალებას გვაძლევს, მთელი შეხვედრის განმავლობაში ტემპი შევინარჩუნოთ და მწვრთნელის დავალება მეტ-ნაკლებად ზედმიწევნით შევასრულოთ.

**- შეტევებში ჩართვა ყოველთვის გეხერხებოდა. ფოთის "კოლხეთის" საჯარიმოშიც ბევრჯერ შეგნიშნეთ - ეტყობა, უჰრინი მკაცრად დაცვაში ჩაჯდომას არ გთხოვს.**

- მართალია. უჰრინს შემტევი ფეხბურთი უყვარს და სულ ამბობს - იერიში დაცვიდან იწყება. წინ წასვლასაც არ გვიშლის, პირიქით, ითხოვს კიდეც ამას. არადა, საქართველოში ბევრი მწვრთნელი ვიცი, რომელიც მცველებს წინ წასვლას უკრძალავს.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, რომელი გუნდი მიგაჩნია "დინამოს" ყველაზე სახიფათო კონკურენტად?**

- ექვსეულში მოხვედრილ ყველა გუნდს აქვს ჩვენი დაწევის შანსი.

**- დიპლომატიურად ლაპარაკობ...**

- ამას გულწრფელად ვამბობ. საქართველოს ჩემპიონატი ძალიან მძიმე და საკმაოდ სპეციფიკური ტურნირია. ბევრჯერ მომხდარა, რომ შესვენებაზე ბევრი გუნდი რადიკალურად დასუსტებულა ან გაძლიერებულა. ცვლილებები ახლაც მოხდა და მეორე ეტაპის მატჩები დაგვანახვებს - ვინ რას წარმოადგენს. ჯერ ყველა მეტოქეზე სრული ინფორმაცია არ გვაქვს. მაგრამ ექვსეულში თითქმის არავინ დასუსტებულა. ჩვენ თუ ყველა მეტოქესთან შეხვედრისთვის კარგად არ მოვემზადეთ და კონცენტრაცია არ მოვიკრიბეთ, არაფერი გამოგვივა.

**მერაბ მამულაშვილი**

თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრის გმირი

# არაპვითარი კომპლექსი

## ასეთ რამეს არ გავაკეთებდი, მე ჩემი საქმე მაქვს

საქართველოს თასის მიმდინარე გათამაშების მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში ცხინვალის „სპარტაკმა" და თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" 1:1 ითამაშეს, პენალტების სერიაში კი სპარტაკელთა მეკარე გიორგი ნადირაძემ ზედიზედ სამი 11-მეტრიანი მოიგერია და მეოთხედფინალშიც „სპარტაკი" გავიდა.

პენალტების სერიაში ყველა დარტყმის მოგერიება - ასეთი რამ იშვიათად ხდება და ნადირაძის ჩაუქობაც ყველამ ყბად იღო.

20 წლის გიორგი ნადირაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარეც გახლავთ, თუმცა ამ ინტერვიუში ნაკრებზე არ გვისაუბრია, იმას კი ვიტყვით, რომ ნადირაძე 21-წლამდელთა ნაკრებშიც სტაბილურად თამაშობს და გუნდის პირველ გოლკიპერად მიიჩნევა.

„სპარტაკამდე" ნადირაძე თბილისის „დინამოში" იყო, ცხინვალურ კლუბში კი მეორე სეზონს ატარებს. გიორგისთან საუბარი, რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო დაპირისპირებით დავიწყეთ.






გიორგი ნადირაძემ ვიტ ჯორჯიასთან პენალტების სერიაში 3 დარტყმა მოიგერია

**- „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში რა სტრატეგია აირჩია „სპარტაკის" დამრიგებელმა ვლადიმერ ხაჩიძემ? რა იყო მთავარი დავალება?**

- რა თქმა უნდა, თასზე გამოსვლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ძირითად აქცენტს ამ სეზონში მაინც უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე ვაკეთებთ. „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩებში რაიმე განსაკუთრებული სტრატეგია არ გვქონია, კონკრეტული დავალებებიც არ ყოფილა. რასაც ჩემპიონატში ვთამაშობთ, ის თამაში უნდა გვეთამაშა, დაცვაში არ ჩავჯექით და შევუტიეთ.

**- მაინც, რის ხარჯზე მოახერხეთ „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება?**

- თუ დააკვირდებოდით, ორივე შეხვედრაში თანაბარი თამაში იყო. მონდომება არც ერთ გუნდს არ აკლდა, თავი არ დაგვიზოგავს, ყველა სპარტაკელმა მაქსიმუმი დადო მოედანზე, უფრო ჩვენ გაგვიმართლა და მოვიგეთ.

**- „ვიტ ჯორჯიას" არცთუ ცოტა ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი სტაბილურად რომ უთამაშია - ადამაძე, კასრაძე, გოგიაშვილი, ჯანელიძე, ხურცილავა, გურეშიძე, კორიფაძე...გამოცდილება, ალბათ, უფრო თქვენი მოწინააღმდეგის მხარეს იყო...**

- ჩვენც გვყავს გამოცდილი ფეხბურთელები: მეტრეველი, შონია, მგელაძე...გუნდის თამაშიც სწორედ გამოცდილ ფეხბურთელებზეა აგებული. „სპარტაკში" ბევრი არ არის ისეთი, უმაღლეს ლიგაში თამაშის კარგი გამოცდილება რომ ჰქონდეს, მაგრამ შეთამაშებული გუნდი ვართ, ყველამ იცის, ვინ სად უნდა გაიქცეს.

**- პენალტების სერიაში პირველი 11-მეტრიანი „ვიტ ჯორჯიას" მეკარე ნიკა დაუშვილმა დაარტყა და ვერ გაიტანა. ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმის შემდეგ, დაუშვილს კარში ჩადგომა უწევდა, ტრიბუნაზე ლამის ყველამ იგრძნო, რომ ის პენალტებს ვერ მოიგერიებდა. შენ რომ ყოფილიყავი დაუშვილის ადგილას, წახვიდოდი ასეთ რისკზე?**

- მეკარეობამდე დაუშვილი წინ თამაშობდა და ალბათ ამიტომ აიღო ასეთი პასუხისმგებლობა. მე არ მივიღებდი ასეთ გადაწყვეტილებას, თუნდაც მწვრთნელს დაევალებინა ჩემთვის. მე ჩემი საქმე მაქვს - კარის დაცვა.

**- პენალტის მოგერიებას ალბათ თავისებური ალღო სჭირდება, მხოლოდ გამართლების ფაქტორი არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი...**

- პენალტის მოგერიების ალღო ბავშვობიდან მქონდა, ცხადია, ასეთ დროს იღბალიც საჭიროა. „ვიტ ჯორჯიასთან" საპასუხო მატჩის წინ, ვარჯიშზე საგანგებოდ ვიმუშავეთ პენალტებზე და რამდენიმე 11-მეტრიანის მოგერიებაც მოვახერხე.

**- როცა მეტოქე პენალტს ურტყამს, მისი ფეხის მოძრაობას აკვირდები თუ რაიმე სხვა საიდუმლო გაქვს?**

- პენალტის დროს ზოგი მეკარე დგას და ელოდება, საით წავა ბურთი, ზოგი კი კუთხეს ირჩევს და ნახტომს ამის მიხედვით აკეთებს. მე კუთხეს ვირჩევ. არც ერთ მწვრთნელს არ მოუცია რჩევა ამასთან დაკავშირებით - პენალტის დროს ეს მეთოდი მე თვითონ ავირჩიე.

**- ყველასთვის ნაცნობი, თითქმის დოგმამდე მისული ტენდენციაა - თანამედროვე ფეხბურთში მეკარე 190 სანტიმეტრზე დაბალი არ უნდა იყოს. ამის გამო კომპლექსი ხომ არ გაქვს?**

- ჩემი სიმაღლე 183 სანტიმეტრია და ამასთან დაკავშირებით კომპლექსი ნამდვილად არ მაწუხებს. ვიცი, ჩემზე ამბობდნენ - დაბალიაო, მაგრამ ყველა ასაკობრივ ნაკრებში ძირითადი შემადგენლობის მეკარე გახლდით.

**- ჩაწოდებების დროს, გამოსვლაზე თამაშს ალღოს გარდა სიმაღლეც სჭირდება...**

- ჩემი არეალი მეკარის ბაქანია და სიმაღლე ამაში ხელს არ მიშლის. სისწრაფე, მოქნილობა, ნახტომი - მაღალი რომ ვიყო, ეს თვისებები კარგად განვითარებული აღარ იქნებოდა.

**- ფეხით თამაში - ამ კომპონენტზე რას გვეტყოდი?**

- არის მოთხოვნა, რომ ფეხით კარგად ვითამაშო. თანაგუნდელებს არ აქვთ ბურთის უკან დაბრუნების შიში.

**- საყვარელი მეკარე?**

- იკერ კასილიასი. ალბათ იმიტომაც, რომ არ არის ისეთი მაღალი, როგორც სხვა ცნობილი მეკარეები.

**- ქართველი მეკარეებიდან ვის გამოარჩევდი?**

- „დინამოში" გიორგი ლორიასთან ერთად მომიწია ყოფნამ, ძალიან კარგი პროფესიონალი, ჩამოყალიბებული მეკარეა. სხვა ქართველ მეკარეებსაც დიდ პატივს ვცემ, გამორჩევით კი არავის გამოვარჩევ.

**- 6 მარტს თასის მეოთხედფინალის კენჭისყრაა. ნახევარფინალში გასვლის რა შანსი უნდა ჰქონდეს „სპარტაკს"?**

- ახალგაზრდული გუნდი ვართ, თასის მერვედფინალში ფსიქოლოგიური წნეხი მაინც იყო, ახლა კი ეს ზეწოლა მოხსნილია. „სპარტაკი" უფრო თავისუფლად ითამაშებს, ბურთი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენი გუნდის ფეხბურთელების სახელით შემიძლია ვთქვა, რომ თავს არ დავზოგავთ და წარმატებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველები უცხოეთში

# როცა მთავარი ფული არ არის...

გასულ უქმეებზე დასრულდა აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რის მიხედვითაც ზედა და ქვედა ექვსეულებმა საბოლოო სახე მიიღო. აზერბაიჯანის ჩემპიონატიც ისეთივე სისტემით ტარდება, როგორც ჩვენთან: 12 გუნდი ორ წრედ თამაშობს, შემდეგ კი ზედა და ქვედა ექვსეული ასევე ორ წრედ ასპარეზობს. მოგეხსენებათ, რომ აზერბაიჯანში სოლიდური ქართული ლეგიონია და ამ ქვეყნის ჩემპიონატის მიმართ ჩვენი ინტერესი ამითაცაა გამოწვეული. ამჯერად ყურადღებას ზედა ექვსეულზე გავამახვილებთ, უფრო ზუსტად, ჩვენებურთა მონაგარზე ვისაუბრებთ. სულ ბოლო მომენტში მოხვდა ზედა ექვსეულში სოლიდურბიუჯეტიანი „ბაქი": სერბი სპეციალისტის, **ბოჟიდარ ბანდოვიჩის** გაწვრთნილ დედაქალაქურ კლუბის ღირსებას 26 წლის **გიორგი ფოფხაძე** იცავს. აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველი ეტაპის მთავარი მოულოდნელობა ასევე სოლიდურბიუჯეტიანი „აზალის" და, განსაკუთრებით, „ხაზარის" წარუმატებლობა იყო — ორივე ეს გუნდი ქვედა ექვსეულში გააგრძელებს ასპარეზობას. არადა, ლენქორანის „ხაზარი" ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია და ძვირადღირებული ლეგიონერებიც ჰყავს; მაგრამ, თანამედროვე ფეხბურთში მთავარი მხოლოდ ფინანსები რომ არ არის, აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოღვაწე ქართველმა მწვრთნელებმაც დაამტკიცეს: **კახა ცხადაძის** „ინტერის" და **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგის" ბიუჯეტი ამ ქვეყნის საზომით მოკრძალებულზე-მოკრძალებულია (ალბათ, სამ-ოთხ გუნდს თუ ალემატება), თუმცა, ამის მიუხედავად, ზედა ექვსეულში მყარად დაიმკვიდრეს ადგილი და ევროტურნირების საგზურისათვის იბრძოლებენ. ბაქოს „ინტერი" სულაც ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური ფავორიტია (ამ ქვეყნის ყველაზე ცნობილ და ტიტულიან გუნდთან, ბაქოს „ნეფთჩისთან" ერთად) და პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურამდე ცხრილის სათავეშიც იყო; აზერბაიჯანის ყველაზე „ქართულმა გუნდმა" პირველი ეტაპი მეორე ადგილზე დაამთავრა და უმთავრეს კონკურენტსა და ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს „ნეფთჩის" 3 ქულით ჩამორჩება. „ნეფთჩის" შემადგენლობაში ძვირადღირებული ლეგიონერები ასპარეზობენ: **მიტრესკი** (მაკედონია), **ფლავინიო, ბერტუჩი** (ორივე — ბრაზილია), **ვობაი** (სიერა ლეონე), **კანალესი** (ჩილე), **რამოსი** (პარაგვაი), **სტამენკოვიჩი** (სერბეთი), **ნასიმოვი** (უზბეკეთი), პლუს აზერბაიჯანის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები; „ინტერის" ძირითად ბირთვს კი ქართველები შეადგენენ: 33 წლის **გიორგი ლომაია** ბოლო სამი სეზონია აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მეკარეა, 33 წლის **ვალერი აბრამიძე** და 31 წლის **ილია კანდელაკი** დაცვის ხაზის შეუცვლელი ფეხბურთელები არიან, 25 წლის **ბაჩანა ცხადაძე** კი „ინტერის" საუკეთესო ბომბარდირია. სამწუხაროდ, სეზონის სტარტზე მიღებული მძიმე ტრავმის გამო, ძალიან ბევრი გაუცდა 31 წლის **გიორგი ადამიას**; ურიგოდ არ გამოიყურება ლომაიას შემცვლელი, 25 წლის **რევაზ თევდორაძეც**, რომელიც „ინტერში" პირველ სეზონს ატარებს. არახალი ამბავია, რომ „ინტერი" ყველაზე ცოტა გოლს უშვებს: პირველ ეტაპზე 22 მატჩში მეტოქეებმა მხოლოდ 12 ბურთის გატანა მოახერხეს „ჩვენებურთა გუნდის" კარში. შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძეს შარშანდელი ზაფხულიდან **ზაურ სვანაძე** ეხმარება, — 1981 წლის თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი ტრიუმფატორი და შემდგომში მცოდნე მწვრთნელი; გუნდის მენეჯერიც ქართველია — ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ალექსანდრე რეხვიაშვილი**. ისე, „ინტერი" ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული აზერბაიჯანული კლუბია და ყოველი სეზონის დაწყების წინ მუდამ ფავორიტადაც მოიაზრება; ანუ, ამ გუნდის საჩემპიონო ამბიცია (კონკურენტებთან შედარებით მწირი ბიუჯეტის მიუხედავად) არავის უკვირს, რასაც ვერ ვიტყვით ზაქათალის „სიმურგზე" — ეს პროვინციული გუნდი წინა სეზონში ლამის იყო ქვედა ლიგაში დაქვეითდა, ახლა კიევროტურნირების საგზურის მოპოვებისათვის იბრძვის! თანაც „ინტერის" მსგავსად, არც გიორგი ჩიხრაძის გუნდში არიან ძვირადღირებული თუ ცნობილი ლეგიონერები...



კახა ცხადაძე

## ცხადაძე და რეკორდები

აზერბაიჯანული სპორტული მედია ქართველი ფეხბურთელებისა თუ მწვრთნელების მიმართ, უკვე წლებია, კეთილგანწყობას ინარჩუნებს (უფრო ზუსტად, თითქმის ყველა, ერთადერთი ინტერნეტ-გამოცემის გარდა). ანუ, დღე არ გავა, იქაური მედიის ყურადღების ცენტრში ჩვენები რომ არ მოექცნენ და ამის ნათელი დადასტურება გამოცემა „აპასპორტში" გამოქვეყნებული წერილია, რომელიც ქართველი მწვრთნელის, ბაქოს „ინტერის" თავკაცის კახა ცხადაძის მორიგ აზერბაიჯანულ რეკორდს ეხება. სხვათა შორის, სწორედ ამ გამოცემით შევიტყვეთ ცხადაძე-მწვრთნელის წინა სარეკორდო მაჩვენებლებიც: უცხოელ მწვრთნელებს შორის ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა (ჩემპიონატი, თასი, ევროტურნირები), ყველაზე მეტი შეხვედრა მოიგო და პროცენტულად, ყველაზე საუკეთესო შედეგი აქვს! შეგახსენებთ, რომ ცხადაძის ხელმძღვანელობით „ინტერი" 2010 წელს აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, 2011 წელს „თანამეგობრობის თასი" მოიგო და აზერბაიჯანის თასის ფინალში გავიდა (პენალტების სერიაში დამარცხდა „ხაზართან"), 2012 წელს კი III ადგილი დაიკავა. ქართველ მწვრთნელს ეკუთვნის კიდევ ერთი რეკორდი: აზერბაიჯანის თასის მეოთხედფინალში ზედიზედ სამჯერ არც ერთ მწვრთნელს არ გაუყვანია გუნდი, მან კი უკვე ოთხჯერ მოახერხა! ახლა კი „აპასპორტის" ბოლო მონაცემებსაც დავეყრდნოთ (შემდგომ ეს ინფორმაცია სხვა გამოცემებმაც „აიტაცეს" — მაგალითად, „ექსტრატაიმმა"): წინა კვირას აზერბაიჯანის თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩი („ბაქისთან") „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ცხადაძისათვის საიუბილეო, 150-ე ყოფილა! აქედან 117 მატჩი აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ჩაატარა, 19 — თასზე, 8 — ევროტურნირებზე, 6 — „თანამეგობრობის თასზე"; 150 მატჩიდან ცხადაძის ხელმძღვანელობით „ინტერმა" 76 მოიგო, 44 ფრედ დაამთავრა და 30 წააგო (ბურთების სხვაობა: 186-105). „აპასპორტი" იმასაც გვახსენებს, რომ „ინტერამდე" ცხადაძე ბაქოს „სტანდარდს" წვრთნიდა (30 მატჩი) და ასე რომ, ქართველი მწვრთნელის აზერბაიჯანული „მონაგარი" 180 მატჩს ითვლის. ლეგიონერი მწვრთნელებისათვის ეს მართლაც შთამბეჭდავი ციფრია და, ალბათ, ამ შედეგს დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ შეეცილება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯანული პრემიერლიგის ბოლო წლების ტენდენციას: იშვიათზე-იშვიათი შემთხვევაა, როცა ერთსა და იმავე მწვრთნელმა „გადაბმულად" რამდენიმე კი არა, ერთი სეზონი ჩაატაროს! აი, მაგალითად, „ხაზარში" ამ არასრული სეზონის განმავლობაში უკვე ოთხჯერ შეიცვალა მთავარი მწვრთნელი! ბოლოს ამ გუნდში ესპანელი **კარლეს ბაკესი** მუშაობდა, რომელმაც, ისევე როგორც **ჯევად გულერმა, ჯემალ ალისპახიჩმა** (ორივე — „რევანი") და **ფათიხ კავლაკმა** („გაბალა") ნახევარი სეზონიც ვერ გაატარა. თუმცა ეს ამბავი აზერბაიჯანში არავის უკვირს, რამეთუ ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში ამ ქვეყანაში რამდენიმე ათეული უცხოელი მწვრთნელი ჩამოსულა და უკრაინელი სპეციალისტების (**ვალენტინ ხოდუკინი, რომან პოკორა**) გარდა, სრულად სეზონი, ფაქტობრივად, არავის ჩაუტარები; არადა, ამ უცხოელ სპეციალისტთა არასრული ჩამონათვალი, ვფიქრობთ, სოლიდურია: **ვინფრიდ შეფერი** (გერმანია), **ტონი ადამსი** (ინგლისი), **ვლატიმილ პეტრჟელა** (ჩეხეთი), **მირჩა რედნიკი** (რუმინეთი), **ალექსანდრ სტარკოვსი** (ლატვია), **სტანისლავ ჩერჩესოვი, სერგეი იურანი, ანდრეი ჩერნიშოვი** (სამივე — რუსეთი), **ვალდას ივანაუსკასი** (ლიტვა), **ჯოკიჩა ხაჯიევსკი** (მაკედონია), **ჯიუნეთ ბიჩერი, რასიმ კარა** (ორივე — თურქეთი) და სხვები. აქვე, ისიც დავაზუსტოთ, რომ აზერბაიჯანში მხოლოდ უცხოელ მწვრთნელებს კი არა, ადგილობრივ სპეციალისტებსაც იშვიათად უცხადებენ დიდი ხნით ნდობას: დღესდღეობით აზერბაიჯანის ჩემპიონატში ორად-ორი მწვრთნელია, „გადაბმულად" მეოთხე სეზონი რომ მუშაობს ერთსა და იმავე გუნდში — **ყურბან ყურბანოვი** („ყარაბაღი") და კახა ცხადაძე...

გია ბაგოშიძე

### დუბლების ჩემპიონატი

#### XXIII ტური

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) – სიონი | 1:3 |
| ზუგდიდი – კოლხეთი | 2:2 |
| ზესტაფონი – დინამო (ბთ) | 2:3 |
| ჩიხურა – მეტალურგი | 0:2 |
| ვიტ ჯორჯია – მერანი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 23 | 15 | 4 | 4 | 53-23 | 49 |
| 2. დინამო (თბ) | 23 | 15 | 2 | 6 | 58-28 | 47 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 12 | 5 | 6 | 64-41 | 41 |
| 4. ზუგდიდი | 23 | 12 | 5 | 6 | 38-28 | 41 |
| 5. ჩიხურა | 23 | 11 | 4 | 8 | 29-28 | 37 |
| 6. მეტალურგი | 23 | 10 | 4 | 9 | 44-37 | 34 |
| 7. დილა | 22 | 9 | 5 | 8 | 28-27 | 32 |
| 8. ტორპედო | 22 | 9 | 5 | 8 | 31-27 | 32 |
| 9. კოლხეთი | 23 | 8 | 4 | 11 | 25-42 | 28 |
| 10. დინამო (ბთ) | 23 | 7 | 3 | 13 | 31-44 | 24 |
| 11. მერანი | 23 | 4 | 2 | 17 | 12-50 | 14 |
| 12. სიონი | 23 | 1 | 5 | 17 | 20-58 | 8 |

### ჭაბუკთა ლიგა

#### 1995/96 წწ. XVI ტური

| | |
|---|---|
| მერანი – მეტალურგი | 1:5 |
| კოლხეთი – ტორპედო | 1:1 |
| საბურთალო – დინამო (ბთ) | 1:0 |
| ლოკომოტივი – დილა | 0:0 |
| დინამო (ბთ) – ბაია | 2:0 |
| ზუგდიდი – ზესტაფონი | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია – ჩიხურა | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 16 | 12 | 2 | 2 | 42-14 | 38 |
| 1. ვიტ ჯორჯია | 16 | 11 | 4 | 1 | 40-11 | 37 |
| 3. საბურთალო | 16 | 10 | 1 | 5 | 37-21 | 31 |
| 4. დილა | 16 | 9 | 3 | 4 | 27-19 | 30 |
| 5. ტორპედო | 16 | 8 | 5 | 3 | 37-20 | 29 |
| 6. დინამო (ბთ) | 16 | 9 | 1 | 6 | 40-23 | 28 |
| 7. ლოკომოტივი | 16 | 8 | 4 | 4 | 35-19 | 28 |
| 8. ზესტაფონი | 16 | 7 | 3 | 6 | 25-21 | 24 |
| 9. ზუგდიდი | 16 | 6 | 2 | 8 | 21-36 | 20 |
| 10. ბაია | 16 | 5 | 5 | 6 | 29-35 | 20 |
| 11. კოლხეთი (ფ) | 16 | 4 | 5 | 7 | 14-31 | 17 |
| 12. დინამო (ბთ) | 16 | 4 | 4 | 8 | 13-23 | 16 |
| 13. 35-ე ს.ს. | 15 | 4 | 2 | 9 | 19-26 | 14 |
| 14. სიონი | 15 | 3 | 3 | 9 | 16-25 | 12 |
| 15. ჩიხურა | 16 | 2 | 3 | 11 | 14-51 | 9 |
| 16. მერანი | 16 | 1 | 1 | 14 | 14-48 | 4 |

#### 1997/98წწ. XVI ტური

| | |
|---|---|
| მერანი – მეტალურგი | 0:1 |
| კოლხეთი (ფ) – ტორპედო | 0:1 |
| საბურთალო – დინამო (თბ) | 3:0 |
| ლოკომოტივი – დილა | 3:0 |
| დინამო (ბთ) – ბაია | 1:0 |
| ზუგდიდი – ზესტაფონი | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია – ჩიხურა | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 16 | 12 | 4 | 0 | 78-8 | 40 |
| 2. დინამო (თბ) | 16 | 12 | 2 | 2 | 69-13 | 38 |
| 3. ლოკომოტივი | 16 | 12 | 2 | 2 | 62-13 | 38 |
| 4. ბაია | 16 | 10 | 4 | 2 | 36-10 | 34 |
| 5. მეტალურგი | 16 | 10 | 1 | 5 | 28-17 | 31 |
| 6. ტორპედო | 16 | 8 | 3 | 5 | 28-24 | 27 |
| 7. დილა | 16 | 8 | 2 | 6 | 19-18 | 26 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 16 | 7 | 2 | 7 | 21-18 | 23 |
| 9. 35-ე ს.ს. | 15 | 6 | 3 | 6 | 26-14 | 21 |
| 10. ზესტაფონი | 16 | 6 | 2 | 8 | 20-45 | 20 |
| 11. კოლხეთი (ფ) | 16 | 4 | 4 | 8 | 12-26 | 16 |
| 12. მერანი | 16 | 3 | 6 | 7 | 19-22 | 15 |
| 13. დინამო (ბთ) | 16 | 4 | 1 | 11 | 11-46 | 13 |
| 14. ზუგდიდი | 16 | 3 | 2 | 11 | 10-42 | 11 |
| 15. ჩიხურა | 16 | 0 | 4 | 12 | 8-67 | 4 |
| 16. სიონი | 15 | 0 | 2 | 13 | 6-70 | 2 |

ლეგიონერები

## ორჰუსს ვანაძის გოლმა ვერ უშველა
### არველაძემ ყოფილ კლუბს სძლია

დანიის სუპერლიგის 21-ე ტური გუშინ "ესბიერგისა" და "ორჰუსის" მატჩით დასრულდა, რომელშიც მასპინძელმა "ესბიერგმა" 2:1 გაიმარჯვა. შეხვედრის 66-ე წუთზე "ორჰუსმა" ანგარიში **მათე ვანაძის** გოლით გაათანაბრა, მაგრამ საყაიმო ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო.

ვანაძემ და მისმა თანაგუნდელმა **დავით სხირტლაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, კიდევ ერთი ორჰუსელი, **დავით დევდარიანი** კი ტრავმირებულია.

12-გუნდიან სუპერლიგაში "ორჰუსი" 30 ქულით მეექვსე პოზიციაზეა.

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილმა "ქაშიმფაშამ" "ტრაბზონსფორს" უმასპინძლა და მეტოქე 2:0 დაამარცხა. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ შოთა და მისი ტყუპისცალი **არჩილი** გასული საუკუნის 90-იან წლებში სწორედ ტრაბზონული კლუბის ღირსებას იცავდნენ.

"ქაშიმფაშა" 36-ე ქულით მე-6 ადგილზეა და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვების კარგი შანსი აქვს.

ლევან ჯანეზაშვილი

გამოხმაურება

## დინამო არენა საბას მფლობელს უპასუხისმგებლო განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს

შპს „დინამო არენა" სავაჭრო ცენტრ „საბას" მფლობელის პაატა კაჭარავას განცხადებას ეხმაურება. როგორც „დინამო არენას განცხადებაშია აღნიშნული , კაჭარავა უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს, რაზეც საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოს.

„გვინდა გამოვეხმაუროთ სავაჭრო ცენტრი „საბას" მფლობელის პაატა კაჭარავას უპასუხისმგებლო განცხადებას, რომელიც სავაჭრო ცენტრში გაჩენილი ხანძრის ერთ-ერთ ვერსიად „დინამო არენას" მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის გახსნას უკავშირებს. პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეშფოთებულები ვართ იმ ცილისწამებით და ბრალდებით, რომელსაც ვარაუდის სახით გამოთქვამს ბატონი კაჭარავა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მიგვაჩნია, რომ ეს არის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და აბსურდული განცხადება, რომელიც ჩვენი მისამართით გაკეთდა. ნუხილს გამოვთქვამთ მომხდარი უბედური შემთხვევის გამო და იმედს ვიტოვებთ, რომ გამოძიებით სიმართლე დადგინდება, ხოლო ჩვენი მხრიდან მოვითხოვთ ბატონი კაჭარავას მიერ საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვახდენთ შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას ამ ცილისწამების მიმართ", - ნათქვამია „დინამო არენას" განცხადებაში.

სავაჭრო ცენტრ „საბას" მფლობელი პაატა კაჭარავა ხანძრის ახალ სავარაუდო მიზეზზე საუბრობს. კაჭარავას ინფორმაციით, „დინამო არენას" მიმდებარე ტერიტორიაზე ავეჯის ბაზრობა იხსნება, საიდანაც „საბას" მეიჯარეებს გადასვლას სთავაზობდნენ.

„დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იხსნება ავეჯის ბაზრობა. რამდენიმე ობიექტი, თუ არ ვცდები, იქ უკვე არის. იქიდან მოდიოდნენ ჩვენს მოვაჭრეებთან და გადასვლას სთავაზობდნენ, რაზეც უარი მიიღეს. მაქვს ერთ-ერთი ვერსია, რომ მომხდარი შესაძლოა, ამ ფაქტს უკავშირდებოდეს. ჩემი ინფორმაციით, ამ ტერიტორიაზე ავეჯის ბაზრობისთვის ფართს შპს „დინამო არენა" ფლობს", - აღნიშნა კაჭარავამ.

ამასთან, მისივე თქმით, ჯერ დაზუსტებით ვერ იტყვის, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია ხანძარი 26 თებერვალს.

„გამოძიებას ყველა ინფორმაცია მივაწოდე. მიმდინარეობს გამოძიება, დავიკითხე მეც და ცენტრთან დაკავშირებული ყველა პირი. ფაქტია, რომ დივერსია მოხდა", - აღნიშნა ცენტრის მფლობელმა.

სავაჭრო ცენტრ „საბაში" ძლიერი ხანძარი 26 თებერვალს გაჩნდა. დაიწვა დაახლოებით 6 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი.

ინტერპრესნიუსი

ვარსკვლავი

# გიგზის ახალი მწვერვალი



დაუჯერებელია, რაიან გიგზი დღეს კარიერაში მე-1000 თამაშს ჩაატარებს

„კარიერის დასრულების შემდეგ ასეთ თამაშებზე ყველაზე მეტად გწყდება გული," – განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა **რაიან გიგზმა** „ოლდ ტრეფორდზე" „რეალთან" დაპირისპირების წინ.

ცხოვრების მე-40 წელიწადში რაიანი ჩემპიონთა ლიგის მე-18 გათამაშებაში მონაწილეობს. ეს შესაძლებელია არა მხოლოდ კარგი ჯანმრთელობისა და განსაკუთრებული ფიზიკური ფორმის, არამედ სამაგალითო ფსიქოლოგიური განწყობის წყალობითაც. გიგზს, ისევე როგორც წლების წინ, დღემდე არ ეთაკილება ახალი პროფესიული ჩვევების ათვისება. „მუდამ იმას ვცდილობდი, ყოველ ახალ სეზონში პროგრესი განმეცადა. დღემდე ასე გრძელდება," – უთხრა ნახევარმცველმა გამოცემა Champions Matchday–ს ინტერვიუში. „რეალთან" გასვლით შეხვედრაში ყოფილი გარემარბი საათის მიწურულს შეცვლაზე შევიდა და დაამტკიცა, რომ ახალ ამპლუაში ჯერ კიდევ შეუძლია ყურადღების ცენტრში მოექცეს. „თუკი ადრე აქცენტს სისწრაფესა და მცველების მოტყუებაზე ვაკეთებდი, ახლა სულ სხვა ფუნქცია მაკისრია, - ამბობს ფეხბურთელი. - თავს ერთნაირად კომფორტულად ვგრძნობ მოედნის ცენტრსა და მარცხენა ფლანგზე. ყველაზე მეტად იმაზე ვფიქრობ, რომ ზუსტი პოზიცია დავიკავო და მეტოქე გუნდს პრობლემა კარგი პასით შევუქმნა. საბოლოოდ ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ საფეხბურთო მოედანზე მაქსიმალურად ეფექტური ვიყო".

ჩემპიონთა ლიგაში მის ანგარიშზე 28 გოლია, რაც შუა ხაზის ფეხბურთელისთვის სოლიდური შედეგია. 2011 წლის სექტემბერში „ბენფიკასთან" მატჩში მან თავი გამოიჩინა, რისი წყალობითაც უელსელი ტურნირის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული მეგოლე გახდა. იმ მომენტისთვის ის 37 წლისა და 289 დღის იყო. „გაიტანო ჩემპიონთა ლიგაში, საკმაოდ რთული ამოცანაა. რაკი დროთა განმავლობაში სათამაშო დრო სულ უფრო მიმცირდება, ყოველი გოლი უწინდელზე მეტად მიხარია," – ამბობს ვეტერანი ვარსკვლავი.

გიგზს „რეალთან" 2000 და 2003 წლებშიც უთამაშია და ესმის, რომ „ოლდ ტრეფორდზე" მადრიდულ გრანდთან მორიგი შეხვედრა შესაძლოა უკანასკნელი იყოს მისთვის ფეხბურთელის რანგში. „კარიერის დასრულების შემდეგ ასეთ თამაშებზე ყველაზე მეტად გწყდება გული და როცა ამ მომენტს უახლოვდები, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში ხდება, ცდილობ, ყოველი შანსი მაქსიმალურად გამოიყენო," – აცხადებს ის.

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVIII ტური

**ასტონ ვილა–სიტი 0:1**

**გოლი:** 0:1 ტევესი (45),

**ასტონ ვილა (4-2-3-1):** გუზანი – ლოუტონი, ბეიკერი, კლარკი, ჯ. ბენეტი – დელფი, ვესტვუდი (86. ელ აჰმადი) – ნზოგბია (65. ჰოლმენი), აგბონლაჰორი, ვაიმანი (84. დოუკინსი) - ბენტეკე.

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი – საბალეტა, კ. ტურე, ნასტასიჩი, კლიში – როდუელი (25. ჯეკო), ხ. გარსია - მილნერი, ი. ტურე, დ. სილვა (90. ბარი) – ტევესი (75. ნასრი).

**გაფრთხილება:** ბენტეკე, დელფი

**კარში დარტყმა:** 7-14 (2-7) **კუთხური:** 6-5 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 12-14 **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 33 217

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 28 | 23 | 2 | 3 | 68-31 | 71 |
| 2. სიტი | 28 | 17 | 8 | 3 | 51-24 | 59 |
| 3. ტოტენჰემი | 28 | 16 | 6 | 6 | 49-33 | 54 |
| 3. ჩელსი | 28 | 15 | 7 | 6 | 56-30 | 52 |
| 5. არსენალი | 28 | 13 | 8 | 7 | 53-32 | 47 |
| 6. ევერტონი | 28 | 11 | 12 | 5 | 44-35 | 45 |
| 7. ლივერპული | 28 | 11 | 9 | 8 | 53-34 | 42 |
| 8. სუონსი | 28 | 10 | 10 | 8 | 39-34 | 40 |
| 9. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 12 | 4 | 12 | 38-37 | 40 |
| 10. ფულჰემი | 28 | 8 | 9 | 11 | 39-44 | 33 |
| 11. სტოკ სიტი | 28 | 7 | 12 | 9 | 26-33 | 33 |
| 12. ვესტ ჰემი | 28 | 9 | 6 | 13 | 32-41 | 33 |
| 13. ნორვიჩი | 28 | 7 | 11 | 10 | 27-45 | 32 |
| 14. სანდერლენდი | 28 | 7 | 9 | 12 | 31-38 | 30 |
| 15. ნიუკასლი | 28 | 8 | 6 | 14 | 38-49 | 30 |
| 16. საუთჰემპტონი | 28 | 6 | 9 | 13 | 39-51 | 27 |
| 17. უიგანი | 28 | 6 | 6 | 16 | 33-55 | 24 |
| 18. ასტონ ვილა | 28 | 5 | 9 | 14 | 26-53 | 24 |
| 19. რედინგი | 28 | 5 | 8 | 15 | 34-54 | 23 |
| 20. ქუინზ პარკი | 28 | 3 | 11 | 14 | 21-44 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი), **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი)

ლივერპული



„ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორი იან ეირი

# ვალი გაიზარდა, მაგრამ...

„ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორის **იან ეირის** თქმით, აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ 2011 წლის 1 აგვისტოდან 2012 წლის 31 მაისის პერიოდში კლუბის ვალები 48 მილიონი ფუნტიდან 87,5 მილიონამდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ „ლივერპულის" კომერციული საქმიანობა სულ უფრო წარმატებულია, ის მაინც წამგებიან ორგანიზაციად რჩება. „ლივერპულ ეხოსთვის" მიცემულ ინტერვიუში 50 წლის ფუნქციონერი სიმშვიდეს ინარჩუნებს და აცხადებს: „ის პერიოდი, რომელზეც ამ ანგარიშშია ლაპარაკი, უკვე წარსულს ჩაბარდა. შარშან ზაფხულს და წელს იანვარში ჩვენ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი შემოგვიერთდა, რომლებმაც გუნდი დააბალანსეს. ამას გარდა, სარფიანი კონტრაქტები დავდეთ წარმატებულ კომპანიებთან, საიდან მიღებული შემოსავლებიც კლუბის ბიუჯეტში 2013/14 წლების სეზონში მოხვდება. ვფიქრობ, რომ უკანასკნელ წლებში წარმატებისთვის უკეთესი სასტარტო პირობები ერთხელაც არ გვქონია".

აქვე გეტყვით, რომ მერსისაიდელთა ხელმძღვანელობა „ენფილდის" რეკონსტრუქციას გეგმავს, რაშიც კლუბი 150 მილიონ ფუნტს ჩადებს. შედეგად, ლეგენდარული არენა 45 276-დან 60 ათასამდე გაიზრდება, რაც დროთა განმავლობაში „ლივერპულს" სერიოზულ დივიდენდებს მოუტანს.

ამბები

## ფოსტერი ნაკრებისთვის მზადაა



ბენ ფოსტერი

**ბენ ფოსტერმა** 2010 წლის ნოემბერში ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა, რომ 27 წლის ასაკში სანაკრებო კარიერას ასრულებდა. მართალია, მაშინ მას მიზეზებზე არ უსაუბრია, მაგრამ ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ ფეხბურთელს **ფაბიო კაპელოსთან** ურთიერთობა დაეძაბა. ინგლისის ნაკრებიდან იტალიელის წასვლის შემდეგ, როგორც ჩანს, მან დაბრუნება გადაწყვიტა. შარშან მაისში **როი ჰოჯსონის** დანიშვნის შემდეგ მისი მისამართით კომპლიმენტებად დაიღვარა, მაგრამ ამაოდ. „სამი ლომის" ახალმა თავკაცმა „ვესტ ბრომვიჩში" მისი ყოფილი შეგირდი ნაკრებს მიღმა დატოვა. გავიდა 9 თვე და ფოსტერმა ამ დღეებში უკვე პირდაპირ განაცხადა, რომ მზადაა ეროვნულ გუნდში თამაში განაახლოს.

## ყაჩაღობა კოულის სახელით

„სანის" ინფორმაციით, ლონდონის პოლიციამ ყაჩაღობისთვის ოფიციალურად წაუყენა ბრალი სამხრეთი ლონდონის რაიონ ნორვუდის მაცხოვრებლებს **რაფაელ ფრენსისსა** და **იტონ ბარის**. ეს პიროვნებები მავან ბიზნესმენს (რომლის ვინაობას პოლიცია და ჟურნალისტები არ ამხელენ) დაუკავშირდნენ და განუცხადეს, რომ მისგან ბრილიანტის თვლიანი საათის შეძენა სურდათ. იქიდან გამომდინარე, რომ თავს **ეშლი კოულის** მეგობრებად ასაღებდნენ, დაზარალებულს ეჭვი არ გასჩენია ისე დათანხმდა მათთან შეხვედრას ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ვერტაში". ვიდრე ბიზნესმენი დათქმულ ადგილს მიაღწევდა, მას ქუჩაში დახვდნენ და სიცოცხლის მოსპობის მუქარით ყველაფერი წაართვეს, რაც ხელთ ჰქონდა „დიახ, მათ რამდენჯერმე ახსენეს კოული, თუმცა პოლიციამ დამარწმუნა, რომ ბრალდებულებს „ჩელსის" ფეხბურთელთან საერთო არაფერი აქვთ და ამ გაუგებრობაში ის სრულიად შემთხვევით მოხვდა," – განაცხადა დაზარალებულმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

## ნების საწინააღმდეგოდ

„ქუინზ პარკის" 26 წლის ფრანგი თავდამსხმელის **ლოიკ რემის** თქმით, 10 მილიონ ევროდ ღირებული გარიგება „მარსელსა" და მის ამჟამინდელ კლუბს შორის, მის ზურგს უკან დაიდო და ფეხბურთელს მხოლოდ პოსტ ფაქტუმ შეატყობინეს, რომ სათამაშოდ ლონდონში უნდა გადასულიყო. „იანვარში კლუბის გამოცვლას არ ვგეგმავდი. სეზონის ჩამთავრება საფრანგეთში მინდოდა. სამომავლო გეგმები კი ამის მერე დამელაგებინა. როცა გადაწყვეტილების შესახებ შემატყობინეს, გავბრაზდი," – გამოუტყდა რემი ფრანგულ ტელეარხ Bein Sport-ს.



ლოიკ რემი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ჩელსი

# რაფა სეზონსაც ვერ ჩაამთავრებს?

## კაპელო, ჰიდინკი, კანდიდატების რიგი დადგა



ჩვენი უცხოელი კოლეგების ვარაუდით გუუს ჰიდინკი ერთ-ერთია, ვის სახელსაც შეიძლება ჩელსის მომავალი უკავშირდებოდეს

კვირა საღამოს „მირორმა" მკითხველს აუწყა, რომ გულშემატკივრებთან ურთიერთობების დაძაბვის გამო „ჩელსიმ" მთავარ მწვრთნელ **რაფა ბენიტესს** შესაძლოა პოსტი სეზონის დასრულებამდე დაატოვებინოს და მაისის ბოლომდე „სტემფორდ ბრიჯზე" რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** მოიყვანოს. ასეთ შემთხვევაში 66 წლის იტალიელს პოსტების შეთავსება მოუწევს. კლუბი სწორედ ასე მოიქცა, როცა **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შემცვლელად 2009 წელს თებერვალში **გუუს ჰიდინკი** დანიშნა. ჰოლანდიელმა ლონდონში ასოციაციის თასი მოიგო და პლუს, გუნდი პრემიერლიგაში მე-3 ადგილზე გაიყვანა. ამ ეტაპზე იტალიელ „მაესტროს" სხვა გეგმები აქვს. კაპელო რუსეთის ნაკრების ორ მატჩისთვის მოამზადებს. 22 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისა და 25-ში ბრაზილიასთან ამხანაგური დაპირისპირებისთვის. ერთია, რას გეგმავს „ჩელსი", მეორეა, მისცემს თუ არა რუსული მხარე ნაკრების თავკაცს ამის უფლებას. „პირადად ვმუშაობდი კაპელოს კონტრაქტზე და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იტალიელს არ აქვს უფლება ნაკრების პარალელურად სხვა პოსტი შეითავსოს. ჰიდინკის მაგალითი უადგილოა, ჰოლანდიელს ამის უფლებას ხელშეკრულება აძლევდა. თუმცა შესაძლებელია, კაპელომ უშუალოდ სთხოვოს ფედერაციის პრეზიდენტს ამის შესახებ და ბატონი ტოლსტიხი პირადად გადაწყვეტს ამ საკითხს," – აცხადებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ნიკიტა სიმონიანი**.

ინგლისური პრესა კიდევ ერთ საინტერესო ვარიანტს განიხილავს: შესაძლოა, „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნდეს ერთადერთი სპეციალისტი, რომელიც ლონდონური გრანდიდან **რომან აბრამოვიჩს** კი არ გაუგდია, თავად წავიდა. ვგულისხმობთ 66 წლის **გუუს ჰიდინკს**. ამჟამად ჰოლანდიელი მახაჩყალის „ანჟის" მთავარი მწვრთნელია. ვეტერანმა სპეციალისტმა სწორედ ამ დღეებში განუცხადა მასმედიას, რომ სამწვრთნელო კარიერის დასრულება გადაიფიქრა და თანაც, არც ის გამორიცხა, რომ „ანჟიდან" წავიდეს.

„ჩელსის" მომავალი მწვრთნელის შესახებ დისკუსიებში იტალიური პრესაც ჩაერთო. ჩვენი აპენინელი კოლეგების ვარაუდით, ლონდონურ გრანდს მომდევნო სეზონში „ნაპოლის" ამჟამინდელი თავკაცი **ვალტერ მაცარი** ჩაიბარებს.

## მთავარი ჩელსია

**პეტრ ჩეხი** „ჩელსიში" 2004 წლის ზაფხულიდან თამაშობს. ის ერთ-ერთი დამსახურებული ვეტერანია, რომელსაც გუნდში მიმდინარე პროცესებზე საკუთარი სიტყვა ეთქმის. ბენიტესსა და გულშემატკივარს შორის არსებულ ანტაგონიზმზე საჯაროდ ლაპარაკს ფეხბურთელები თავს არიდებენ. ერთადერთი, ვინც ბოლო პერიოდში ამ თემაზე ხმა ამოიღო, ეს სწორედ ჩეხი ვარსკვლავია. აი, რას ამბობს ის: „- ბენიტესს აქვს უფლება, საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, გულშემატკივარს აქვს უფლება ფიქრობდეს ისე, როგორც ფიქრობს, მაგრამ მთავარი კლუბის ერთიანობაა. არ ვიცი ზუსტად რა ილაპარაკა მიდლსბროში გამართულ პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა, მაგრამ ჩვენ დემოკრატიულ ეპოქაში ვცხოვრობთ. უპირველესი საზრუნავი მწვრთნელი, ფეხბურთელები და ფანები კი არა, კლუბის ინტერესებია. „ჩელსიმ" ბენიტესი იმიტომ მოიწვია, რომ მან გუნდის შედეგები უნდა გააუმჯობესოს. ის ყველაფერს აკეთებს, რომ მიზნების მიღწევაში დაგვეხმაროს. „ჩელსიში" ყველა ვალდებულია ერთ ტალღაზე იყოს მომართული, ვინც უნდა იყოს ის. ყველაფერი უნდა გავიღოთ, რათა ჩემპიონატში მესამე ადგილი მაინც დავიკავოთ და ინგლისის თასზე გავიმარჯვოთ," – განაცხადა ჩეხმა რადიო TalkSPORT-ის ეთერში.

უცხოური ფეხბურთი

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის შეჯამება

# კატო, შააფ, სადამდე?

## თომასის ძეგლს გზარები ემატება

**ბუნდესლიგის** 24-ე ტურის შეჯამებაში მიუნხენის „ბაიერნზე" ვერაფერი დავწერეთ. ათასჯერ გადაღეჭილ და ისეთ ბანალურ თემებზე წერა, როგორებიცაა იუპ ჰაინკესის როტაცია, განაწყენებული თუ გაუნაწყენებელი რობენი და სწრაფვა ახალი რეკორდებისკენ, უკვე ძალიან უინტერესოა.

რაც შეეხება საინტერესოს...

### ჰამბურგის სახე

„ჰამბურგზე" ერთი კარგი ანალიტიკური სტატიის დაწერა შეიძლება, მაგრამ ყველაფრის დეტალურ ახსნას და ანალიზს გაზეთის რამდენიმე გვერდი არ ეყოფა - ამდენისთვის კი, ჩრდილოგერმანული კლუბი საქართველოში სათანადოდ პოპულარული არაა. თუმცა გრძელი სიტყვა მოკლედაც ითქმის და ვფიქრობთ, „ჰამბურგის" ფეხბურთელ **მაქსიმილიან ბაისტერის** სიტყვები ბევრ რამეზე ნათლად მეტყველებს. არადა, ბაისტერს „ფიურტთან" 1:1-ის შემდეგ გასაოცარი არაფერი უთქვამს - კითხვაზე, აქვს თუ არა „ჰამბურგს" იმის შანსი, რომ ამ სეზონში ევროპალიგის საგზური მოიპოვოს, მაქსმა ასე უპასუხა: *„ყოველ შემთხვევაში, პოტენციალი გვაქვს!"*

რატომ გამოხატავს მისი ეს განცხადება „ჰამბურგის" ზოგად ჰაბიტუსს იდეალურად? იმიტომ, რომ როცა თავმოყვარე გუნდი მოქმედ ჩემპიონს მისსავე მოედანზე 4:1-ს მოუგებს, მერე ამბიციურ „გლადბახსაც" დაამარცხებს (1:0) და ასეთი მატჩების შემდეგ ჯერ ჰანოვერში განადგურდება (1:5), მერე კი ლამის უიმედო აუტსაიდერს საკუთარი კედლებიდან ქულას გაატანს, იქ პოტენციალზე საუბარი, ცოტა არ იყოს, სასაცილოა.

უკვე წლებია, „ჰამბურგის" შემთხვევაში, აუხსნელ ბედოვლათობასთან გვაქვს საქმე.

### აუგსბურგის პროგრესი

პირველი წრის შემდეგ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. „აუგსბურგმა" ბოლო ათი მატჩიდან მხოლოდ ორი წააგო (ისიც „ლევერკუზენთან" და „ბაიერნთან") და არა მარტო სარელეგაციო მე-16 ადგილამდე აბობღდა, არამედ აუგსბურგელებისთვის ჰორიზონტზე მე-15 ადგილიც კი გამოჩნდა. შაბათს ამ გუნდმა ბრემენიდან სამი ქულა წაიღო - „ჰოფენჰაიმს" 5 ქულით უსწრებს, ხოლო „ვოლფსბურგს" კი უკვე მხოლოდ ექვსით ჩამორჩება.

### შტეფანი და იოახიმი

**შტეფან კისლინგი** ამოვიჩემეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მოედანს უგოლოდ არ ტოვებს და რატომაც არ უნდა ამოვიჩემოთ? კისლინგს ახლა ისეთ მატჩებშიც გააქვს, სადაც მეტოქე თავს 10 ფეხბურთელით იცავს. „შტუტგარტთან" კისლინგმა ჯერ თავისივე მოპოვებული პენალტი გაიტანა, მერე კი ლარს ბენდერსაც გაატანინა და თამამად ვიტყვით, რომ „შტუტგარტს" თამაში მარტომ შეუტრიალა. ორი საგოლე პასი და ერთი გოლი მატჩში, რომელშიც მისმა გუნდმა მხოლოდ ორი გოლი გაიტანა - მეტი რაღა ქნას?

ერთი სიტყვით, თუ გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** კისლინგს ბუნდესგუნდში ახლაც არ გამოიძახებს, გვექნება საფუძველი ვიფიქროთ, რომ იოგისა და შტეფანს შორის რაღაც მოხდა...

### ვედომ ნავსი გატეხა

„შტუტგარტის" ფორვარდ **ვედად იბიშევიჩს** ბუნდესლიგაში ბოლო გოლი 2012 წლის დეკემბერში ჰქონდა გატანილი და სტატისტიკის მოყვარულები სიამოვნებით უთვლიდნენ უგოლო წუთებს. „ლევერკუზენთან" ვედომ ნავსი პენალტით გატეხა, მაგრამ მისმა გოლმა შვაბენლანდურ კლუბს ვერაფერი მოუტანა - **ბრუნო ლაბადიას** ბიჭები დამარცხდნენ, სტატისტიკის მოყვარულებმა კი ახალი ათვლა დაიწყეს: 78 წუთია, იბიშევიჩს გოლი არ გაუტანია.

### ლევანგოლსკი

„ჰანოვერის" მენეჯერმა **იორგ შმადტკემ** „დორტმუნდთან" მატჩის წინ თქვა, **რობერტ ლევანდოვსკის** დისკვალიფიკაცია რომ შეუმცირეს, ეს უსამართლობააო. თუმცა შმადტკეს და ჰანოვერელებს გულის სიღრმეში იმედი ჰქონდათ, რომ პოლონელი თავდამსხმელი ორკვირიანი პაუზისა და „ბაიერნთან" ცუდად გასახსენებელი სათასო მატჩის შემდეგ, ჩვეულ ფორმაში არ იქნებოდა. მაგრამ მატჩის 21-ე წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო და ორივე გოლის ავტორი ლევანდოვსკი გახლდათ. თანაც, კლოპმა რობერტი იმ დღეს არა ცენტრფორვარდად, არამედ გამთამაშებლად გაამწესა...

### ბედნიერი და უბედური გომეში

**ეურელიო გომეშს** ჰოფენჰაიმური ცხოვრება ალბათ სხვანაირად წარმოედგინა. ყველასგან დავიწყებული კიპერი ნაღდად ვერ იფიქრებდა, რომ გერმანიაში მაშინვე პუბლიკის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდებოდა, მაგრამ გახდა! მართალია, მერე შეცდომებიც დაუშვა, მაგრამ ახლა, მისთვის მეხუთე ბუნდესლიგურ მატჩში უკვე კაპიტნის სამკლავურიც კი გაუკეთეს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ჰოფენჰაიმი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება. იქაც ბედნიერი იქნება ეურელიო? საკითხავი, სწორედ ეს არის.



„ვერდერის" მთავარი მწვრთნელი თომას შააფი

### რამდენს აცდიან შააფს?

საკითხავი ისიცაა, როდის აევსებათ ბრემენის „ვერდერის" ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა და როდის გაათავისუფლებენ გუნდის მთავარ მწვრთნელ **თომას შააფს**? მართალია, ეს უკანასკნელი ძალიან დიდი ხანია, ამ თანამდებობაზე მუშაობს და „ვერდერთან" ერთად მართლა ბევრი რამ გადაიტანა და ბევრსაც მიაღწია, მაგრამ ფაქტია, რომ აგერ უკვე ორი წელია, შააფის „ვერდერი" მოლოდინს მცირედითაც ვერ ამართლებს და ერთ დროს „ბაიერნის" მთავარ კონკურენტად წოდებული ბრემენული კლუბი უკვე მთელი საფეხბურთო გერმანიის დაცინვის ობიექტია. შესაძლოა, „ვერდერის" დაღმასვლა შააფზე მეტად სხვა ვინმეების და რამეების ბრალი უფროა, მაგრამ მაინც...

ფაქტი ისაა, რომ „ვერდერი" მე-14 ადგილზეა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე სერიოზულად მარტო იმიტომ არ ემუქრება, რომ ბუნდესლიგაში „ჰოფენჰაიმი" და „ფიურტიც" თამაშობენ...

### კევინი ყოველი შემთხვევისთვის

გერმანიაში ბოროტი ენები ამბობენ, **კევინ გროსკროიტცი** მხოლოდ იმიტომ გახდა ბუნდესლიგის წარმატებული ფეხბურთელი, რომ ფიქრი არ შეუძლიაო. კიდევ უფრო ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ გროსკროიტცის ფეხბურთელობა არა მისი ნიჭის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მონდომების დამსახურებაა. ყველა, ვინც ამ მოსაზრებებს იზიარებს, შაბათს გაოცებული დარჩებოდა, რადგან იურგენ კლოპმა გროსკროიტცი მისთვის აბსოლუტურად უჩვეულო, მარჯვენა მცველის პოზიციაზე გაამწესა და კევინმაც კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო და რაც მთავარია, გამორჩეულად ინტელექტუალური თამაში გვაჩვენა. მან „ჰანოვერთან" ორი საგოლე პასი გააკეთა და თამამად შეუძლია, საკუთარ CV-ში მარცხენა მცველის, მარცხენა ნახევარმცველისა და საყრდენი ნახევარმცველის შემდეგ, კიდევ ერთი პოზიციაც ჩაწეროს...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცმა**



შტეფან კისლინგის ანგარიშზე უკვე 16 გოლი და 9 საგოლე პასია

### საუკეთესო ფეხბურთელები

XXIV ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 19 | 2.26 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 24 | 2.27 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 22 | 2.45 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 23 | 2.67 |
| 5. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 24 | 2.75 |
| 6. თომას მიულერი | ბაიერნი | 21 | 2.75 |
| 7. ტონი კროოსი | ბაიერნი | 22 | 2.76 |
| 8. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 21 | 2.76 |
| 9. აარონ ჰანტი | ვერდერი | 20 | 2.83 |
| 10. ილქაი გიუნდოგანი | დორტმუნდი | 20 | 2.83 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 24 | 16 | 9 | 25 |
| 2. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 21 | 16 | 6 | 22 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 21 | 11 | 11 | 22 |
| 4. ჟაგოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 21 | 9 | 11 | 20 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 24 | 11 | 8 | 19 |
| 6. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 22 | 8 | 9 | 17 |
| 7. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 20 | 15 | 2 | 17 |
| 8. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 24 | 11 | 5 | 16 |
| 9. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 19 | 9 | 6 | 15 |
| 10. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 21 | 11 | 4 | 15 |

### XXIV ტურის გმირი

**იულიან დრაქსლერი**
**შალკე**



„შალკეს" 19 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ვოლფსბურგში 4:1-ზე მოგებული მატჩის შემდეგ თქვა, ეს ჩემი საუკეთესო თამაში იყო მას მერე, რაც ფეხბურთს პროფესიულ დონეზე ვთამაშობო. შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ, რადგან **დრაქსლერმა** ბუნდესლიგაში პირველად შეასრულა დუბლი და თან ერთი საგოლე გადაცემაც მიითვალა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გამოარკვიეს, რომ გელზენკირხენული კლუბის თავკაცმა **იენს კელერმა** იულიანს მატჩის წინ ლეგენდარული **რაულის** თამაშისა და გოლების ვიდეო-ანალიზი აყურებინა და როგორც ჩანს, გელზენკირხენელმა თინეიჯერმა ესპანელისგან ბევრი რამ ისწავლა. მატჩის შემდეგ კელერმა თქვა, „დრაქსი" დღეს მსოფლიო დონის ფეხბურთელი იყოო.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



იტალია. სერია A. XXVII ტურის შეჯამება

# გარჩევები კალჩოში

## ვინ, ვის და რატომ უპირისპირდება...

სერია A-ს XXVII ტური საინტერესო მოვლენებით დახუნძლული და ემოციებით დატვირთული გამოდგა, რაზეც მიმოხილვაშიც ვისაუბრეთ. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ყველაზე გამორჩეულ ფაქტებს, ამასთან, ტურის გმირი და სიმბოლური ნაკრები გამოვავლინოთ...


ფრანჩესკო ტოტიმ 225-ე გოლი გაიტანა სერია A-ში

### ტოტის 225-ე გოლი

ტურის უკანასკნელი შეხვედრა „სტადიო ოლიმპიკოზე" გაიმართა, სადაც „რომამ" „ჯენოას" უმასპინძლა და დამაჯერებლად გაიმარჯვა, 3:1. ერთი გოლი ახალგაზრდა **ალესიო რომანიოლიმ** გაიტანა, თითო კი ვეტერანებმა **სიმონე პეროტამ** და **ფრანჩესკო ტოტიმ** მიითვალეს აქტივში.

ტოტის გოლზე ცალკე უნდა გავამახვილოთ ყურადღება – ფრანჩესკომ 225-ე გოლი გაიტანა სერია A-ში და ამ მაჩვენებლით ლეგენდარულ შვედ ფორვარდს **გუნარ ნორდალს** გაუთანაბრდა. ეს მხოლოდ ლეგენდასთან გათანაბრება არ გეგონოთ, ტოტი სერია A-ს ყველა დროის ბომბარდირთა დავაში შვედთან მეორე-მესამე ადგილებს იყოფს და თქმა არ სჭირდება, რომ სულ მალე ნორდალს უკანაც ჩამოიტოვებს. პირველ ადგილზე კიდევ ერთი ლეგენდარული თავდამსხმელი **სილვიო პიოლაა**, რომლის ანგარიშზეც 274 შედეგიანი დარტყმაა. იყო მეორე ადგილზე ბომბარდირებს შორის და თანაც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში, ნამდვილად უდიდესი მიღწევაა.

ტოტის პრაქტიკულად ყველამ მიულოცა წარმატება, ვისაც იტალიურ ფეხბურთში სიტყვა ეთქმის, მათ შორის **რობერტო ბაჯომ** და **ალესანდრო დელ პიერომ**. „იუვენტუსის" ლეგენდამ სოციალურ ქსელში ჩესკოს მიმართვა გაუგზავნა: „ასე გააგრძელე მეგობარო, შენ საუკეთესო ხარ".

### კონტე VS მაცარი

ტურის ცენტრალური მატჩი ნეაპოლში გაიმართა, სადაც „ნაპოლი" და „იუვენტუსი" შეერკინენ ერთმანეთს და საბოლოოდ, ფრეს დასჯერდნენ. მასმედიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იმან, რომ **ანტონიო კონტე** და **ვალტერ მაცარი** არც მიესალმნენ და შემდეგ, არც დაემშვიდობნენ ერთმანეთს... მაინც რა მოხდა ასეთი და რატომ მოიქცნენ ასე გუნდების მწვრთნელები? – ამ თემაზე კონტემ კომენტარის გაკეთება არ ისურვა, მაცარიმ კი შემდეგი განაცხადა:

*„ვერ დავიჩემებ, რომ კონტესთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, მაგრამ არც დაპირისპირებას აქვს ადგილი. სტადიონზე არაორდინალური ატმოსფერო იყო, ყველა აღელვებულნი ვიყავით და ალბათ ამიტომ მოხდა, რომ კონტეს ვერ მივესალმე. როგორც მითხრეს, ერთმანეთს ახლოს ჩავუარეთ და ხელი არ ჩამოვართვით, რაც პირადად მე არც კი მახსოვს. ხშირად, ჟურნალისტები არაფრისგან ქმნით კონფლიქტს და ეს ამბავიც ამის ნათელი დადასტურებაა".*


ანდრეა სტრამაჩონიმ ანტონიო კასანო ერთი თამაშიდან მოკვეთა და არა გუნდიდან

### სტრამაჩონი VS კასანო

შესაძლოა ვალტერ მაცარისა და ანტონიო კონტეს შორის მართლაც არ არის დაპირისპირება, აი **ანდრეა სტრამაჩონი** და **ანტონიო კასანო** კი ნამდვილად წაეკიდნენ ერთმანეთს. „ნერაძურის" გასახდელში ხელჩართული ჩხუბი მოხდა, რის შემდეგაც კასანო „კატანიასთან" სამატჩო განაცხადიდან საერთოდ ამოვარდა. ამ თემაზე სტრამაჩონიმაც გააკეთა კომენტარი და **მასიმო მორატიმაც**...

**ანდრეა სტრამაჩონი (ინტერი):** *„კონფლიქტი მოხდა და ამის უარყოფა სისულელეა, რის შემდეგაც ის განაცხადს მილმა დავტოვე. თუმცა, სიმართლეს არ შეესაბამება ცნობები იმის თაობაზე, თითქოს კასანო მთავარი გუნდიდან მოკვეთილი იყოს. ის ჩვეულებრივად არის დაბარებული ვარჯიშზე და იმედია, დროულად გამოცხადდება. ინციდენტის დეტალებზე ტყუილად მეკითხებით, რადგან ამ თემაზე საუბარი ამ მოკლე განმარტებით დავასრულე".*

**მასიმო მორატი (ინტერი):** *„ანტონიო უდიდესი ტალანტია, რთული ხასიათით და ეს იქამდეც ვიცოდით, სანამ ჩვენთან გადმოვიდოდა. მე არ ვიყავი გასახდელში და შესაბამისად, არ ვიცი რა მოხდა იქ. დაეკისრება თუ არა ჯარიმა ანტონიოს? – ამას მას შემდეგ გადავწყვეტ, როდესაც საქმის დეტალებს გავეცნობი. თუმცა, თუ შეკამათებული მხარეები მორიგდებიან და ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ, ამ საქმეს აღარც მივუბრუნდები. დღეს გუნდს ერთიანობა სჭირდება და არა კონფლიქტები".*

### ლაციო VS რიცოლი

ტურის კიდევ ერთი გამორჩეული შეხვედრა „სან სიროზე" შედგა, სადაც „ლაციო" „მილანთან" დამარცხდა და მესამე ადგილი ლომბარდიელებს დაუთმო. „მილანმა" სამი უპასუხო ბურთი გაუტანა მეტოქეს და ადვილად გაიმარჯვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მასპინძელთა წარმატებაში თავისი წვლილი მატჩის მთავარმა არბიტრმა **ნიკოლა რიცოლიმ** შეიტანა. ჯერ კიდევ მე-16 წუთზე, მსაჯმა რომაული გუნდი კაცნაკლული დატოვა, შემდეგ კი მასპინძლებს წესების დარღვევით გატანილი გოლი ჩაუთვალა. ბუნებრივია, „ლაციოს" მესვეურებმა ეს ამბავი გააპროტესტეს – კლუბის სპორტული დირექტორი **იგლი ტარე** მსაჯებს დაუპირისპირდა:

*„უკვე მერამდენედ ხდება, რომ მსაჯების შეცდომების გამო ვისჯებით. აქამდე მეტწილად პაოლო ტალიავენტოს და ლუკა ბანტის გვეშინოდა, ამიერიდან კი ნიკოლა რიცოლისაც ეჭვის თვალით უნდა შევხედოთ. ანტონიო კანდრევას ბევრი ყვითელ ბარათსაც არ მისცემდა, მან კი წითელი აუფრიალა, გოლზე ხომ საერთოდ აღარ მაქვს ლაპარაკი. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, „ლეგა კალჩომ" რამე უნდა ილონოს".*

### დელფინები მწვრთნელის გარეშე

XXVII ტური ფატალური გამოდგა **კრისტიანო ბერგოდისთვის**, რომელიც გაათავისუფლეს „პესკარას" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან „დელფინებმა" მორიგი მატჩი წააგეს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე დაეშვნენ.

იტალიური სპორტული პრესის ცნობით, „პესკარას" ახალი მთავარი მწვრთნელი ამავე კლუბის პრიმავერას დამრიგებელი **კრისტიან ბუკი** იქნება. ეს უკანასკნელი წლებია წარმატებით მუშაობს ახალგაზრდებთან და მისი დაწინაურებაც პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია.

#### ციფრები და ფაქტები

* „ჯენოამ" პირველი მატჩი წააგო **დავიდე ბალარდინის** თავკაცობით, აქამდე გუნდს 2 მოგება და 3 ფრე ჰქონდა.

* „იუვენტუსს" ნეაპოლში 2000 წლის შემდეგ არ მოუგია.

* **ჯორჯო კიელინიმ** მესამე გოლი გაუტანა „ნაპოლის", ამდენი მას მხოლოდ „ლაციოს" კარში აქვს შეგდებული.

* „ლაციოს" „მილანთან" გასვლითი მატჩი 1989 წლის შემდეგ არ მოუგია.

* **ჯამპაოლო პაცინიმ** მე-9 გოლი გაუტანა „ლაციოს", ამდენივე მას მხოლოდ „ლეჩეს" კარში აქვს შეგდებული.

* „ინტერმა" ნოემბრის შემდეგ პირველად მოიგო გასვლითი მატჩი სერია A-ში, მაშინ მილანელებმა „იუვენტუსი" დაამარცხეს.

* „კატანიამ" პირველი მატჩი წააგო ბოლო 8 ტურში.

* **მარსელო ლარონდომ** პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში.

* „პესკარა" ერთადერთი გუნდი იყო სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომლის კარიც **ანტონიო დი ნატალეს** დალაშქრული არ ჰქონდა. ტოტომ გაუტანა „დელფინებს", 6-მატჩიანი მშრალი სერია შეწყვიტა და 150-ე საიუბილეო გოლი შეაგდო იტალიის ელიტარულ ლიგაში.

* „პარმას" 8 თამაშია არ მოუგია.

* „სამპდორიამ" მხოლოდ 1 გოლი გაუშვა ბოლო 6 მატჩში.

* **მაურო იკარდის** 2013 წელს 8 გოლი აქვს გატანილი და ტოპ-4 ჩემპიონატის მასშტაბით, მხოლოდ **ლიონელ მესისა** (13) და **კრისტიანო რონალდოს** (10) ჩამორჩება.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

### სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




#### ესპანეთი

#### ლა ლიგა. XXVI ტური

**სევილია–სელტა 4:1**

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (12), 2:0 ნეგრედო (29), 2:1 ა. ფერნანდესი (40), 3:1 მედელი (66), 4:1 ნეგრედო (68)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტო - კოკე, ფასიო, ფ. ნავარო, მორენო - მედელი, კონდობია (76. მადურო) - ხესუს ნავასი, დელ მორალი (46. რეიესი), რაკიტიჩი - ნეგრედო (83. ბ. დიავარა).

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - ხონი, კაბრალი, დემიდოვი, ბელვისი (80. ლაგო) - ოუბინია, ა. ლოპესი - ა. ფერნანდესი (74. დე ლუკასი), ბერმეხო, ორელიანა (59. პრანიჩი) - ასპასი.

**გაფრთხილება:** რაკიტიჩი - ხონი

**კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 12-14 (7-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 27 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 22 | 2 | 2 | 83-30 | 68 |
| 2. ატლეტიკო | 26 | 18 | 3 | 5 | 48-23 | 57 |
| 3. რეალი | 26 | 17 | 4 | 5 | 64-24 | 55 |
| 4. მალაგა | 26 | 12 | 7 | 7 | 37-24 | 43 |
| 5. ვალენსია | 26 | 12 | 6 | 8 | 38-39 | 42 |
| 6. სოსიედადი | 26 | 11 | 8 | 7 | 44-34 | 41 |
| 7. ბეტისი | 26 | 12 | 4 | 10 | 37-38 | 40 |
| 8. ხეტაფე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-44 | 38 |
| 9. ვალეკანო | 26 | 12 | 2 | 12 | 34-43 | 38 |
| 10. სევილია | 26 | 10 | 5 | 11 | 38-38 | 35 |
| 11. ლევანტე | 26 | 10 | 5 | 11 | 32-40 | 35 |
| 12. ვალიადოლიდი | 26 | 9 | 7 | 10 | 34-33 | 34 |
| 13. ესპანიოლი | 26 | 8 | 8 | 10 | 31-35 | 32 |
| 14. ბილბაო | 26 | 8 | 5 | 13 | 31-50 | 29 |
| 15. ოსასუნა | 26 | 7 | 7 | 12 | 22-28 | 28 |
| 16. გრანადა | 26 | 7 | 5 | 14 | 25-38 | 26 |
| 17. სარაგოსა | 26 | 7 | 4 | 15 | 25-38 | 25 |
| 18. სელტა | 26 | 6 | 5 | 15 | 25-36 | 23 |
| 19. მალიორკა | 26 | 5 | 6 | 15 | 26-49 | 21 |
| 20. დეპორტივო | 26 | 3 | 8 | 15 | 29-56 | 17 |

**ბომბარდირები:** 39 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 13 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), ალვარო ნეგრედო (სევილია).

იუვენტუსი

## ბენდტნერს შესაძლოა კონტრაქტი გაუწყვიტონ

„იუვენტუსის" ფორვარდ **ნიკლას ბენდტნერს** უსიამოვნო ამბავი გადახდა – 25 წლის დანიელი ნასვამ მდგომარეობაში საჭეს მიუჯდა და ტურინის ცენტრალურ მაგისტრალზე მოძრაობის საწინააღმდეგოდ გადაადგილდებოდა. ავტომობილი საპატრულო პოლიციამ გააჩერა და მძღოლმაც ჯარიმა დაიმსახურა.

ინციდენტის შესახებ ბენდტნერმა სოციალურ ქსელში კომენტარი გაავრცელა და საჯარო ბოდიშიც მოიხადა. ტურინული კლუბის მესვეურები უკიდურესად აღშფოთებულნი არიან ნიკლასის ქმედებით და როგორც იტალიურ სპორტულ პრესაში იწერება, შესაძლოა ეს ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტითაც დასრულდეს. აი, რას ამბობს „ვეკია სენიორას" ტექნიკური დირექტორი **ფაბიო პარატიჩი:**

*„ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ ინციდენტის შესახებ პრესიდან შევიტყვეთ და ფეხბურთელმაც ბოდიში სოციალური ქსელის მეშვეობით მოიხადა. არც კი უფიქრია კლუბის ოფისში მოსვლა და ჩვენთან პირადად დალაპარაკება. გავწყვიტავთ თუ არა კონტრაქტს? – ეს მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტი არაა, თუმცა არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. უახლოეს დღეებში, ჯუზეპე მაროტას შევხვდები და გადაწყვეტილებასაც შემდეგ მივიღებთ".*

## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# მაჩეტე მანჩესტერში

## მერვედფინალის ტოპ-დუელის მეორე რაუნდი ოლდ ტრეფორდზე



Ის, რაც ორი კვირის წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვნახეთ, ჟურნალი იყოს, კინოს კი დღეს, „ოლდ ტრეფორდზე" ველით: „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩს საუკეთესო ფორმითა და განწყობით, თავდაჯერებულები ხვდებიან. დიდი შანსია, რომ ეს დუელი არა მარტო ძალიან საინტერესო, დაძაბული და დრამატული, არამედ უკიდურესად ემოციურიც გამოვიდეს.

**მანჩესტერ იუნ.-რეალი 23:45**

**პირველი მატჩი: 1:1**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ იუნ. (4-2-3-1):** დე ხეა - რაფაელ და სილვა, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, ანდერსონი - ვალენსია, რუნი, კაგავა - ვან პერსი.

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - არბელოა, სერხიო რამოსი, ვარანი, ფაბიო კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, კ. რონალდო - იგუაინი.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

**ურთიერთშეხვედრები**

13.02.2013

**რეალი-მანჩესტერ იუნ. 1:1**

**გოლები:** 0:1 უელბეკი (20), 1:1 კ. რონალდო (30)

23.04.2003

**მანჩესტერ იუნ.-რეალი 4:3**

**გოლები:** 0:1 რონალდო (12), 1:1 ვან ნისტელროი (43), 1:2 რონალდო (51), 2:2 ივან ელგერა (53-საკ. კარში), 2:3 რონალდო (59), 3:3 ბექჰემი (71), 4:3 ბექჰემი (84)

08.04.2003

**რეალი-მანჩესტერ იუნ. 3:1**

**გოლები:** 1:0 ფიგუ (11), 2:0 რაული (28), 3:0 რაული (49), 3:1 ვან ნისტელროი (51)

19.04.2000

**მანჩესტერ იუნ.-რეალი 2:3**

**გოლები:** 0:1 როი კინი (20-საკ. კარში), 0:2 რაული (50), 0:3 რაული (53), 1:3 ბექჰემი (64), 2:3 სქოულზი (88-პენ)

04.04.2000

**რეალი-მანჩესტერ იუნ. 0:0**

15.05.1968

**რეალი-მანჩესტერ იუნ. 3:3**

**გოლები:** 1:0 პირი (31), 2:0 ხენტო (41), 2:1 კიდი (43), 3:1 ამანსიო (44), 3:2 კიდი (72), 3:3 ფულკესი (77)

24.04.1968

**მანჩესტერ იუნ.-რეალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბესტი (37)

1956/1957

**მანჩესტერ იუნ.-რეალი 2:2**

1956/57

**რეალი-მანჩესტერ იუნ. 3:1**

სტატისტიკა გვეუბნება: რეალი გავარდება, მანჩესტერი ჩემპიონთა ლიგას მოიგებს

სტატისტიკას და ისტორიას საფეხბურთო მატჩის ბედი არასდროს გადაუწყვეტია, მაგრამ მაინც: **სერ ალექს ფერგიუსონს** შეუძლია, მეტი თავდაჯერებისთვის შეგირდებს გასახდელში რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი გამოუკიდოს. ისტორია გვეუბნება, რომ მადრიდში დაფიქსირებული 1:1 პლეი ოფში „რეალისთვის" არასახარბიელო შედეგია. „იუნაიტედმა" ევროთასების პლეი ოფის გასვლით მატჩებში 1:1 ოთხჯერ დააფიქსირა და ოთხივე შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გავიდა. მადრიდელებმა ევროთასების პლეი ოფში საკუთარ მოედანზე 1:1 სულ ოთხჯერ დააფიქსირეს და ოთხივე შემთხვევაში გავარდნენ - თანაც ისე, რომ საპასუხო მატჩებში ერთი გოლიც ვერ გაჰქონდათ.

თუ ეს სერია დღევანდელი შეხვედრითაც გაგრძელდა, „იუნაიტედს" სტატისტიკურად ჩემპიონთა ლიგის მოგების საუკეთესო შანსი ექნება: მადრიდელები და მანჩესტერელები ჩემპიონთა თასის პლეი ოფში ერთმანეთს ოთხჯერ გადაეყარნენ და აქედან სამი დუელის (1956/57, 1967/68 და 1999/2000) გამარჯვებული საბოლოოდ ჩემპიონთა თასს დაეუფლა!

თუმცა დღევანდელი სუპერმატჩი ამ სტატისტიკურ მონაცემებზე გაცილებით საინტერესო რამე-რუმეებსაც გვპირდება. ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით ოთხი ფეხბურთელი მოექცევა.

### რაიან გიგზი და მისი მე-1000 მატჩი

**სერ ალექს ფერგიუსონი** გასულ უქმეებზე ზუსტად ისე მოიქცა, როგორც სჩვევია. „ნორვიჩთან" მატჩის წინ თქვა, შაბათს **რაიან გიგზს** განაცხადში შევიყვან და დიდი შანსია, რომ მე-1000 მატჩი ჩაატაროსო. და რა მოხდა შაბათს? „ნორვიჩთან" შეხვედრაში, რომელიც „იუნაიტედმა" 4:0 მოიგო, ლეგენდად ქცეული უელსელი განაცხადში არ ყოფილა. ცხადია, რომ ფერგიმ გიგზს ისტორიული მე-1000 მატჩი სწორედ დღეისთვის, „რეალთან" უმნიშვნელოვანესი დუელისთვის შემოუნახა.

მიუხედავად იმისა, რომ ფერგიუსონისგან მართლა არაფერია გამორიცხული, 39 წლის გიგზს დღეს ძირითად შემადგენლობაში მაინც არ ველოდებით. თუმცა ფერგის არაერთხელ უთქვამს, რომ უელსელი თავისი ასაკის გათვალისწინებით ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაშია.

*„ახლა უკვე ასაკში ვარ და შესაბამისად, ფეხბურთსაც სხვანაირად ვთამაშობ. თუკი ადრე დრიბლინგზე მივდიოდი, ახლა მეტოქე გუნდის მცველების დაბნევას პასებით ვცდილობ, თუმცა ხანდახან დრიბლინგზეც თამამად მივდივარ,* - აცხადებს რაიანი და „რეალთან" თამაშზე ოცნებობს, - *ეს სწორედ ისეთი მატჩია, როგორებიც კარიერის დასრულების შემდეგ ყველაზე მეტად მომენატრება."*

გაგახსენებთ, რომ წინა კვირაში გიგზმა „იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა.

### კრიშტიანოს დაბრუნება ოლდ ტრეფორდზე

წარმოიდგინეთ, რა მოჰყვება „ოლდ ტრეფორდზე" გიგზის გვარის გამოცხადებას და სხვათა შორის, ტაშს **კრიშტიანო რონალდოც** ელის. პორტუგალიელი დივა დღეს გამოვა ამ არენაზე მას მერე, რაც „იუნაიტედიდან" „რეალში" გადავიდა და შეგახსენებთ, რომ ეს საკორდო ტრანსფერი 2009 წელს განხორციელდა. მანჩესტერელ ფანებს არ დავიწყებიათ რონის დამსახურებები „იუნაიტედის" წინაშე და კრიშტიანო, რომელმაც პირველ მატჩში ყოფილ გუნდს თავით მშვენიერი გოლი გაუტანა, ამიტომაც ამბობს, დარწმუნებული ვარ, რომ „ოლდ ტრეფორდის" პუბლიკა პოზიტიურად მიმიღებსო.

*„თუ გოლს მანჩესტერშიც გავიტან, ეს შესანიშნავი სენსაცია იქნება, მაგრამ არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ. ამაზე არ ვფიქრობ. ალბათ, რაღაც სპონტანურს გავაკეთებ. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ეს გოლი გავიტანო,"* - განაცხადა რონალდომ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

2003-დან 2009 წლამდე კრიშტიანომ „იუნაიტედის" ფორმით 292 მატჩში 118 გოლი გაიტანა. *„ეს ჩემი კარიერის მართლაც ულამაზესი პერიოდი იყო,"* - აღნიშნა რონიმ კვირას, მანჩესტერის საერთაშორისო აეროპორტში და კითხვაზე, როგორ აპირებს „მანჩესტერ იუნ.ს" წინააღმდეგ თამაშს, ჟურნალისტებს თვალის ჩაკვრით ასეთი პასუხი გასცა: *„ორი გეგმა მაქვს. პირველს „მაჩეტე" ეწოდება, მეორეს - ტყვიამფრქვევი."*

### შინჯი კაგავა: ფერგის საიდუმლო იარაღი

„იუნაიტედის" ფანები დღესაც შემოსძახებენ ლეგენდარული როკ-ჯგუფის, „ქუინის" ცნობილ Radio Ga Ga-ს მანკუნიანური ინტერპრეტაციით, რომლის გმირი „მანჩესტერის" იაპონელი ფეხბურთელი **შინჯი კაგავაა**. „All we need is Shinji Kagawa!" - მღეროდნენ „იუნაიტედის" ქომაგები შაბათს, „ნორვიჩთან" მატჩის მიწურულს, რომელშიც კაგავამ სამი გოლი გაიტანა და პირველი აზიელი მოთამაშე გახდა, რომელმაც პრემიერლიგაში ჰეთ-თრიკი შეასრულა. ფაქტია, რომ ხშირი ტრავმიანობის შემდეგ იაპონელი საუკეთესო ფორმას უახლოვდება და „რეალთან" დუელში ფერგიუსონის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია.

*„ვიცი, რომ მთელი იაპონია ამ მატჩს უყურებს და „მანჩესტერს" უქომაგებს. „რეალთან" დუელს მეც მოუთმენლად ველოდები,"* - განაცხადა კაგავამ კვირას.

*„დარწმუნებული ვარ, რომ კაგავა გაისად უფრო მაგარი იქნება,"* - ეს კი თავად ფერგიუსონის სიტყვებია, რომელიც დღეს ტრავმირებულ **ჯოუნსს** ვერ გამოიყენებს.

### ჟოზეს იოზილის იმედი აქვს

„რეალმა" წინა კვირაში ორი „ელ კლასიკო" გადაიტანა და ორივე მოიგო. მადრიდელებმა მოსისხლე მტერი ჯერ „ნოუ კამპზე" დაამარცხეს (3:1 სამეფო თასზე), მერე კი ესპანეთის ჩემპიონატშიც (2:1). თანაც, ამ შეხვედრაში **ჟოზე მოურინიომ** რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაასვენა - სასტარტოში არც რონალდო ჰყავდა და არც **მესუთ იოზილი!** ამ უკანასკნელს „რეალში" ზედიზედ მესამე სეზონში ყველაზე მეტი საგოლე პასი აქვს (11) და ცხადია, რომ ჟოზეს დღეს რონალდოსთან ერთად, ყველაზე მეტად სწორედ იოზილის ეიმედება.

იოზილი ამბობს, ვინც ბარსელონაში მოიგებს, მანჩესტერშიც უნდა მოიგოსო.

ჰო, თუ სტატისტიკას არ ვენდობით...

**გოტფრიდ ლენცი**

## ამბები

### სეზონი შესაძლოა ეისერიკისთვისაც დასრულდეს

„ნიცას" ფეხბურთელმა **ვალენტინ ეისერიკმა**, რომელმაც შაბათს „სენტ ეტიენთან" შეხვედრაში **ჟერემი კლემანს** ფეხი მოტეხა, შესაძლოა სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიიღოს. შეგახსენებთ, რომ „სენტ ეტიენის" და „ნიცას" (4:0) შეხვედრის 24-ე წუთზე, ეისერიკმა კლემანის წინააღმდეგ იუხეშა, რის გამოც პირდაპირ წითელი ბარათი მიიღო, „მწვანეების" ნახევარმცველი კი უმძიმესი ტრავმის შედეგად მწყობრიდან 5-6 თვით გამოვიდა.

20 წლის ეისერიკი, სადისციპლინო კომიტეტის წინაშე ხუთშაბათს წარსდგება და მიუხედავად იმისა, რომ მან კლემანს ბოდიში თამაშის დასრულებისთანავე მოუხადა, შესაძლოა 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღოს.

დაზარალებული კლემანი იმედოვნებს, რომ ახალგაზრდა მოთამაშე ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას გადაურჩება. მოვლენების ასეთი განვითარებაც არ არის გამორიცხული, რადგან ეს შემთხვევა პირველია ეისერიკისთვის და ამან შესაძლოა შემამსუბუქებელი გარემოების როლი ითამაშოს.

### ურუგვაიმ ლეგენდა დაკარგა

კვირას, 72 წლის ასაკში, უკურნებელი სენით **ლუის კუბილია** გარდაიცვალა. 60-70-იან წლებში კუბილია „პენიაროლის", „ბარსელონას", „რივერ პლეიტის" და „ნასიონალის" ღირსებას იცავდა. კუბილიამ ფეხბურთელის კარიერის განმავლობაში ლიბერტადორესის თასი სამჯერ მოიგო, ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასის გამარჯვებული გახდა, ერთხელ კი ესპანეთის თასზე (1963) იმარჯვა. გარდა ამისა, მან ურუგვაის ნაკრების რიგებში სამ მუნდიალზე (1962, 1970, 1974) იასპარეზა.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, კუბილიამ მწვრთნელობა დაიწყო და წარმატებები იქაც ჰქონდა, კერძოდ პარაგვაულ „ოლიმპიას" 10 საჩემპიონო ტიტული მოუტანა, გარდა ამისა, გუნდს ლიბერტადორესის თასი (ორჯერ) და საკონტინენტთაშორისო თასი მოაგებინა. ასევე, მისი ხელმძღვანელობით ქვეყნის ჩემპიონები „პენიაროლი" (ურუგვაი) და „ატლეტიკო ნასიონალი" (კოლუმბია) გახდნენ.

**ტატო ბაციკაძე**

## დორტმუნდი

# ვინ შეცვლის რობერტს?

## მთავარი კანდიდატი ჯეკოა, დორტმუნდელებს მამე და მოაც აინტერესებთ

**რობერტ ლევანდოვსკიმ** შაბათს დორტმუნდელი ფანები კიდევ ერთხელ გააბედნიერა. 24 წლის პოლონელმა გოლეადორმა „ჰანოვერთან" (3:1) დუბლი შეასრულა და „ბორუსიას" ბუნდესლიგაში მეორე ადგილი შეუნარჩუნა, მაგრამ ლევანდოვსკი „დორტმუნდისთვის" უკვე პრობლემაცაა.

საქმე იმაშია, რომ რობერტს დორტმუნდიდან აბარგება გადაწყვეტილი აქვს, რაზეც არაერთხელ ვწერდით, მაგრამ ჯერ არ ამბობს, როდის დატოვებს „ბორუსიას" - ზაფხულში, თუ გაისად, როცა კონტრაქტი ამოეწურება. შესაბამისად, სანამ პოლონელი ამ საკითხზე დუმს, დორტმუნდული კლუბის ხელმძღვანელებს მომავლის აზრიანად დაგეგმვა არ შეუძლიათ.

მოვლენების განვითარების პირველი ვარიანტი ასეთია: **ლევანდოვსკი**, რომელსაც „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, ამ სეზონის ბოლოს წავა, რაც იმას ნიშნავს, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი მინიმუმ 20 მილიონ ევროს მიიღებს და ამ თანხით პოლონელის ღირსეული შემცვლელის ყიდვის საშუალება მიეცემა. მეორე ვარიანტი კი ისაა, რომ ლევანდოვსკი დორტმუნდში კონტრაქტის ამოწურვამდე დარჩეს და გაისად „ბაიერნში" უფასოდ გადავიდეს. ცნობილია, რომ მიუნხენური გრანდის ბოსებს სწორედ ეს ვარიანტი ხიბლავთ, რადგან რობერტის ხელში ჩაგდება უფასოდ სურთ. შესაბამისად, ეს ვარიანტი უფრო რეალურია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში დორტმუნდელებს ხელი ეშლებათ!

*„კარგი იქნება, რომ ყველაფერს მალე მოეფინოს ნათელი, მაგრამ ჯერჯერობით პრობლემას მაინც ვერ ვხედავ. ზაფხულში დავსხდებით და გადავწყვეტთ, რა და როგორ ჯობია,"* - აცხადებს „ბორუსიას" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**.

თუმცა, დორტმუნდელები ყველაფერს არ ამბობენ. საქმე ისაა, რომ „ბორუსიას" შეფები და მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი ლევანდოვსკის საუკეთესო შემცვლელად ბოსნიელ **ედინ ჯეკოს** მოიაზრებს, მაგრამ თუ ლევანდოვსკი კიდევ ერთი წლით დარჩება, „მანჩესტერ სიტის" 26 წლის ფორვარდის ყიდვას ამ სეზონის ბოლოს აზრი ეკარგება. თავად ჯეკომ რამდენჯერმე თქვა, რომ „დორტმუნდში" გადასვლა უნდა, ჩვენი გერმანელი კოლეგები კი იტყობინებიან, რომ ბოსნიელი „ბორუსიას" ბოსებისგან საბოლოო პასუხს უახლოეს ათ დღეში ელოდება. სწორედ ასე უთქვამს ჯეკოს მრჩეველს ბოსნიური მედიისთვის.

ედინს „სიტიში" ყოველწლიურად 8.5 მილიონ ევროს უხდიან, „დორტმუნდს" კი თუნდაც ამ თანხასთან მიახლოვებული ხელფასის გადახდა ჯეკოსთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ლევანდოვსკის მინიმუმ 20 მილიონად გაყიდის.

### ალტერნატივა: დიუფი ან აბდელაუ

„ბილდის" ინფორმაციით, კლოპი და კომპანია ლევანდოვსკის შეცვლის ალტერნატიული გზების ძიებასაც შეუდგნენ: „დორტმუნდს" „ჰანოვერის" ფორვარდები, 25 წლის **მამე დიუფი** და 27 წლის **მოა აბდელაუ** აინტერესებს.

*„დიუფი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია და ჩვენ კიდევ არაერთ ფორვარდს ვაკვირდებით. სხვათა შორის, ძალიან მომწონს ასევე ჰანოვერელი აბდელაუც,"* - ეს კლოპის სიტყვებია.

საინტერესო ისაა, რომ მამეს და მოას „ჰანოვერთან" ხელშეკრულებები სწორედ 2014 წელს უმთავრდებათ - ანუ, იმ დროს, როცა „ბაიერნი" ლევანდოვსკის უფასოდ გადაბირებას გეგმავს...

**გოტფრიდ ლენცი**

# გარანტირებული სპექტაკლი

## დორტმუნდიც შეუტევს და შახტარიც

**დორტმუნდი-შახტარი 23:45**

**პირველი მატჩი: 2:2**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - გიუნდოგანი, კელი - ბლაშჩიკოვსკი, გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, კუჩერი, რაკიცკი, რატი - ფერნანდინიო, ჰიუბშმანი - ალექს ტეიშეირა (ან დუგლას კოშტა), მხითარიანი, ტაისონი - ლუის ადრიანო.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

**ურთიერთშეხვედრები**

13.02.2013

**შახტარი-დორტმუნდი 2:2**

**გოლები:** 1:0 სრნა (31), 1:1 ლევანდოვსკი (41), 2:1 დუგლას კოშტა (68), 2:2 ჰუმელსი (87)

22.08.2001

**დორტმუნდი-შახტარი 3:1**

**გოლები:** 0:1 აგაჰოვა (7), 1:1 იან კოლერი (49), 2:1 ამოროზო (64), 3:1 იან კოლერი (68)

07.08.2001

**შახტარი-დორტმუნდი 0:2**

**გოლები:** 0:1 რიკენი (35), 1:1 ოლისე (73)

**დორტმუნდის** „ბორუსიასთვის" ეს კვირა უმნიშვნელოვანესია. გერმანიის მოქმედი ჩემპიონი დღეს დონეცკის „შახტარს" მასპინძლობს და გავიგებთ, გააღწევს თუ არა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, შაბათს კი იურგენ კლოპს და კომპანიას „შალკესთან" რურის დიდი დერბი ელოდებათ. დონეცკში დაფიქსირებული 2:2-ის შემდეგ „დორტმუნდი" „შახტარზე" უკეთეს სიტუაციაშია, თუმცა „ბორუსიას" პრობლემა აქვს: დიდი შანსია, რომ კლოპის გუნდის დაცვის ბურჯმა, მატს ჰუმელსმა ვერ ითამაშოს.

**ჰუმელსმა** გრიპის გამო კვირასაც ვერ ითამაშა და „ბორუსიას" მთავარმა ექიმმა **მარკუს ბრაუნმა** მატსი ვერც გუშინ დააიმედა. არადა, „დორტმუნდს" „შახტართან" ჰუმელსი ძალიან სჭირდება, რადგან **ფელიპე სანტანა** ევროსარბიელზე გამოუცდელი მცველია და მის გვერდით **ნევენ სუბოტიჩიც** ვერ იქნება თავდაჯერებული. ამასთან, ჰუმელსი შეტევაშიც (სტანდარტულების დროს) ძალიან სახიფათოა და გეხსომებათ, დონეცკში ანგარიში სწორედ მან გაათანაბრა. სწორედ ამიტომ, დორტმუნდელები იმედოვნებენ, რომ 24 წლის ჰუმელსი დღეს სალამომდე გამოჯანმრთელდება.

**იურგენ კლოპმა** „ჰანოვერთან" მატჩში (3:1 დორტმუნდელთა სასარგებლოდ) **ლუკაშ პიშჩეკი** დაასვენა და ფაქტია, რომ 37 წლის პოლონელ მცველს დღეს ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ. „შახტარს" მარცხენა ფლანგზე უსწრაფესი **ტაისონი** ჰყავს და ფაქტია, რომ დღევანდელი დუელისთვის პიშჩეკს დასვენება მართლაც სჭირდებოდა.

ალსანიშნავია, რომ წინა კვირაში დონეცკელთა მთავარი მწვრთნელი **მირჩა ლუჩესკუ** მიუნხენში იმყოფებოდა, სადაც ოთხშაბათს „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" დუელს დაესწრო (გერმანიის თასის მეოთხედფინალური მატჩი, 1:0 მიუნხენელთა სასარგებლოდ). 67 წლის ლუჩესკუმ „ბორუსია" კიდევ ერთხელ შეისწავლა და ამბობს, „დორტმუნდის" დამარცხება თვით ისტორიულად საუკეთესო ფორმაში მყოფ „ბაიერნსაც" გაუჭირდა და ცხადია, რომ ურთულესი მატჩი გველისო.

*„მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და „შახტარი" პირველივე წუთიდან დავწნეხოთ. მართალია, 0:0 ან 1:1-იც გვაწყობს, მაგრამ ფრეზე თამაში ჩვენ არ შეგვეფერება,"* - ეს დორტმუნდელთა კაპიტნის, **სებასტიან კელის** სიტყვებია.

*„შახტარის" ფანებს ლუჩესკუც შემტევ ფეხბურთს და მხოლოდ მოგებაზე თამაშს ჰპირდება: „დორტმუნდს" პირველივე წუთებიდან შევუტევთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოვიგოთ,"* - აღნიშნა გუშინ უკრაინული გრანდის თავკაცმა, რომელსაც ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს.

**გოტფრიდ ლენცი**



ლუის ადრიანოს მატს ჰუმელსის ორთაბრძოლა წინა მატჩში

## ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები

# პირველი მარცხი ყველაზე ცუდ დროს

## აქამდე დაუმარცხებელი ფლამენგო ფინალის მიღმა დარჩა

**პაულისტა. X ტური.**

| | |
|---|---|
| პენაპოლენსე-სან პაულო | 0:2 |

**გოლები:** 0:1 როდოლფო (4), 0:2 ადემილსონი (70).

| | |
|---|---|
| სანტოსი-კორინთიანსი | 0:0 |
| ოესტე-უნიაო ბარბარენსე | 2:0 |
| XV დე პირასიკაბა-მირასოლი | 2:2 |
| ბრაგანტინო-ატლ. სოროკაბა | 1:2 |
| ლინენსე-პონტე პრეტა | 0:0 |
| სან კაეტანო-ბოტაფოგო სპ. | 0:1 |
| გუარანი-მოჟი მირიმი | 0:2 |
| სან ბერნარდო-იტუანო | 2:0 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სან პაულო (9 თამაში) – 22 ქულა, 2. მოჟი მირიმი – 20, 3. პონტე პრეტა – 20, 4. სანტოსი – 18, 5. ბოტაფოგო სპ – 18, 6. ლინენსე – 17, 7. პალმეირასი (9 თამაში) – 16, 8. კორინთიანსი – 15, 9. პენაპოლენსე – 13, 10. პაულისტა (9 თამაში) – 13, 11. ბრაგანტინო – 13, 12. მირასოლი – 11, 13. ოესტე – 11, 14. XV დე პირასიკაბა – 10, 15. იტუანო – 10, 16. ატლეტიკო სოროკაბა – 9, 17. სან ბერნარდო – 9, 18. გუარანი – 8, 19. უნიაო ბარბარენსე (9 თამაში) – 5, 20. სან კაეტანო – 5.

**ბომბარდირები:** 7 – ლინკოლნი (ბრაგანტინო); 6 – ნეიმარი (სანტოსი); 5 – ლეო ჟაიმე (ბრაგანტინო), მარსიო დიოგო (XV დე პირასიკაბა), მირალიესი (სანტოსი), ფერნანდო ბაიანო (სან ბერნარდო), რონი (მოჟი მირიმი).

ცენტრალური შეხვედრა „სანტოსსა" და „კორინთიანსს" შორის შედგა. შეხვედრა ძალიან მოსაწყენი გამოდგა და ლოგიკური შედეგით დასრულდა.

პირველობის ლიდერმა კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მეორე შემადგენლობით მოთამაშე „სან პაულოს" „პენაპოლენსესთან" პრობლემა არ შექმნია – **როდოლფოს** და **ადემილსონის** გოლების წყალობით, სამი ქულა **ნეი ფრანკოს** გუნდმა აიღო და ლიდერობა განიმტკიცა. „სან პაულომ" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო და გუნდი 22 ქულით პირველ პოზიციაზეა, თანაც ერთი შეხვედრა თადარიგში აქვს.

**კარიოკა. ტაკა გუანაბარა. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვასკო და გამა-ფლუმინენსე | 3:2 |

**გოლები:** 1:0 ბერნარდო (69), 1:1 ტიაგო ნევეში (77), 1:2 ველინგტონ ნემი (79), 2:2 რომარიო (85), 3:2 დედე (88).

| | |
|---|---|
| ფლამენგო-ბოტაფოგო | 0:2 |

**გოლები:** 0:1 ჟულიო სეზარი (1), 0:2 ვიტინიო (90).

პირველ 1/2-ფინალში ერთმანეთს „ვასკო და გამა" და „ფლუმინენსე" დაუპირისპირდნენ. მეორე ტაიმში მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა. 69-ე წუთზე მასპინძლები ჯგუფური ეტაპის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა (მხოლოდ „ფლამენგოს" **ერნანეს** ჩამორჩა) **ბერნარდომ** დააწინაურა, თუმცა 77-ე და 79-ე წუთებზე, **ტიაგო ნევეშმა** და **ველინგტონ ნემმა** ორი გოლი გაიტანეს და უკვე „ფლუმინენსე" დაწინაურდა. თითქოს, მოქმედი ჩემპიონი ფინალში უნდა გასულიყო, მაგრამ **გაუჩოს** ცვლილებამ გაუმართლა: 21 წლის დებიუტანტმა **რომარიომ**, რომელსაც „დიდ" რომარიოსთან მხოლოდ სახელი აკავშირებს, ანგარიში გაათანაბრა, 88-ე წუთზე კი გუნდის კაპიტანმა **დედემ** გამარჯვება „ვასკოს" მოუტანა.

მეორე ნახევარფინალში „ფლამენგო" მოულოდნელად დამარცხდა „ბოტაფოგოსთან". ანგარიში მარცხენა მცველმა **ჟულიო სეზარმა** პირველივე წუთზე გახსნა, შეხვედრის ბოლო წამებზე კი საბოლოო შედეგი ახალგაზრდა **ვიტინიომ** დააფიქსირა.

ფინალური შეხვედრა 10 მარტს „ენჟენაოზე" გაიმართება. გამარჯვებული გუნდი, რ[illegible] ჩემპიონატის [illegible]ოვებს, სადაც „ტ[illegible] პირისპირ[illegible]ის დაუ-[illegible]

**ტატო ბაციკაძე**



„ვასკოს" დედემ მოაგებინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ოლიმპიადა

# სოკ-ი ჭიდაობის შენარჩუნებაზე ალაპარაკდა

## რას მოგვიტანს 7 მარტი?

დარჩება თუ არა ჭიდაობა ოლიმპიადის პროგრამაში? 12 თებერვლიდან მოყოლებული, როცა სოკ-ის ალმასკომმა 2020 წლის თამაშების პროგრამიდან სპორტის ამ სახეობის შესაძლო ამოღებაზე მიიღო გადაწყვეტილება, ეს კითხვა აქტუალურობას არ კარგავს. პირველი დღეებიდანვე ფეისბუქის მეშვეობით დაიწყო მოძრაობა „გადავარჩინოთ ჭიდაობა" და იმხელა ხმაური ატყდა, ჭიდაობის მხარდასაჭერად თავისი აზრი აშშ-ს პრეზიდენტმა **ბარაქ ობამაც** კი გამოხატა. მოჭიდავეებმა თეირანში მიმდინარე მსოფლიოს თასზე საპროტესტო ბანერიც კი გამოფინეს, ხოლო მართლაც ლეგენდარული ფალავანი, ბულგარეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, ატლანტის ოლიმპიადის გამარჯვებული, ევროპისა და მსოფლიოს 7-7-გზის ჩემპიონი **ვალენტინ იორდანოვი** ყველაზე შორს წავიდა და სოკ-ს ოქროს მედალი დაუბრუნა. მას მიმდევარიც მალევე გამოუჩნდა - სიდნეის ოლიმპიადის დალესტნელმა გამარჯვებულმა **საგიდ მურთაზალიევმა** განაცხადა, ჭიდაობას თუ მართლაც ამოიღებენ თამაშების პროგრამიდან, მეც ჩავაბარებ ჩემს წილ ოქროსო. ოღონდ იორდანოვისგან განსხვავებით, ის ამისთვის რუსეთში და მეზობელ ბელარუსში გააკრიტიკეს. მაგალითად, სამ-სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონებმა - **ალექსანდრ კარელინმა** და **ალექსანდრ მედვედმა** განაცხადეს, რომ არ აპირებენ თავიანთი ჯილდოების ჩაბარებას. მედვედმა ეს მედლები ქვეყნის კულტურულ მონაპოვრად მიიჩნია და დასძინა, ისინი უკვე მე არ მეკუთვნის და მუზეუმს გადავეციო. კაცმა რომ თქვას, მურთაზალიევს ის ჯილდო იმ მიზეზით რომ დაებრუნებინა, მე კი არა, **ლუკა კურტანიძეს** ეკუთვნისო, კიდევ გასაგები იქნებოდა, რადგან ყველას კარგად გვახსოვს - ავსტრალიაში ნახევარფინალში ჩვენებურს სკეტჩი თუ ქუჩური ჩხუბი უფრო მოუგო, ვიდრე - ჭიდაობა... ამ დღეებში ბულგარელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **არმენ ნაზარიანმაც** განაცხადა, რომ იწყებს ბრძოლას ჭიდაობის ოლიმპიურ ოჯახში შესანარჩუნებლად. გუშინ თემას ამერიკელი სენატორი ოჰაიოს შტატიდან **შეროდ ბრაუნიც** გამოეხმაურა,



ნენად ლალოვიჩი (მარცხნივ) და მიხეილ მამიაშვილი

რომელმაც თამაშების პროგრამიდან სპორტის ამ უძველესი სახეობის ამოღების შეუსაბამობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ამერიკისთვის მესამე ყველაზე წარმატებული სახეობაა ზაფხულის ოლიმპიადებზე, ხოლო ოჰაიოს შტატის სკოლებსა და 17 უნივერსიტეტში 11 000 მოზარდი და ახალგაზრდა ეუფლება ჭიდაობას...

შესაძლოა, ზეგინდელი დღე ამ გაჭიმული სკანდალის მოგვარების გზაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, რადგან ერთმანეთს სოკ-ის პრეზიდენტი **ჟაკ როგი** და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **ნენად ლალოვიჩი** ხვდებიან. *„მინდა, მადლობა გითხრათ თქვენი წერილისთვის, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. მოუთმენლად ველოდები 7 მარტის შეხვედრას, სადაც განვიხილავთ FILA-ს გაწეულ სამუშაოსაც და იმ ნაბიჯებსაც, თუ როგორ შევინარჩუნოთ ჭიდაობა 2020 წლის ოლიმპიადის პროგრამაში"* - ასე გამოეხმაურა როგი ლალოვიჩის ინიციატივას.

> „მურთაზალიევს ის ჯილდო იმ მიზეზით რომ დაებრუნებინა, მე კი არა, ლუკა კურტანიძეს ეკუთვნისო, კიდევ გასაგები იქნებოდა, "

ამ შეხვედრას წინ კიდევ ერთი აუდიენცია უძღვოდა - 1 მარტს ფრანკფურტში ლალოვიჩი სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტ **ტომას ბახს** ეწვია, რომელიც, პარალელურად, გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელიცაა. ლალოვიჩმა მასპინძელს ის სამუშაოები გააცნო, რასაც FILA შექმნილი კრიზისიდან გამოსასვლელად ატარებს. ბახი მიესალმა FILA-ს ახალი ხელისუფლების ამ მცდელობებს, რომელიც, მისი სიტყვებით, ემსახურება ვითარებიდან ღირსეულად გამოსვლას, რათა მსოფლიოში კვლავ აღზარდოს ჯანმრთელი თაობა და თან ოლიმპიური იდეალების ერთგულიც დარჩეს. სადღეისოდ სამუშაო ჯგუფი მართლაც აქტიურად თანამშრომლობს სოკ-ის ალმასკომის წევრებთან, რათა სანკტ-პეტერბურგში გასამართ FILA-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ღირსეულად წარსდგეს.

### ლალოვიჩის მეორე ფრონტი

წერილი, რომელსაც სოკ-ის მესაჭე ჟაკ როგი ზემოხსენებულ ციტატაში ახსენებს, FILA-ს სერბმა მმართველმა ლალოვიჩმა 25 თებერვალს გაუგზავნა ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტ **პატრიკ ჰიკის**. საქმე ეხება 2015 წელს ბაქოში გასამართ თამაშებში ჭიდაობის მონაწილეობას, რაც ბოლო დღეებში მხარეებს შორის ასევე პინგ პონგის თემა გახდა. ადრე FILA-მ დაადასტურა ამ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა, თუმცა მერე რატომღაც იუარა. აზერბაიჯანის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **აჯდად ჯაფაროვმაც** განაცხადა, რომ FILA-მ მონაწილეობაზე თანხმობა ჯერ კიდევ 2012 წელს განაცხადა, მაგრამ ფაქტია - ეს საკითხი კვლავაც გაურკვეველია. ერთ-ერთ ინტერვიუში ჰიკმა თქვა, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად სამჯერ სცადა FILA-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა, მაგრამ უშედეგოდ!

*„ბაქოში გასამართავი ევროთამაშები ჭიდაობის გარეშე ვერ წარმომიდგენია. არასწორია, თითქოს ჩვენ არ გვინდა მასში მონაწილეობა. უარის თქმის გადაწყვეტილება FILA-ს ყოფილმა პრეზიდენტმა რაფაელ მარტინეტიმ მიიღო, რომელმაც უკვე დატოვა ეს პოსტი"* - აღნიშნა ლალოვიჩმა ჯერ კიდევ ზემოაღნიშნულ წერილამდე, ხოლო იმ მიმოწერით, პრაქტიკულად, სათანამშრომლოდ ხელი გაუწოდა ჰიკს. უარი არც მას უთქვამს, თუმცა შანსი არ გაუშვა და კიდევ ერთხელ მწარედ გააკრიტიკა მარტინეტის ადმინისტრაცია ამ თემის იგნორირებისთვის.

მაშ ასე, დაველოდოთ 7 მარტს, როცა, შესაძლოა, ბევრი რამ გადაწყდეს. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიური მოძრაობის მაღალჩინოსნებს პრობლემის მოგვარების სურვილი დაეტყოთ და კატეგორიული ტონით აღარ ლაპარაკობენ. თუმცა ყველაფერი ისევ მოჭიდავეებზეა დამოკიდებული - შეძლებენ თუ არა ისინი სამართლიანი რეფორმების გატარებას.

**ირაკლი თავაძე**



**გიორგი ნავროზაშვილი**

ქართული სპორტის იმ სპეციალისტთა შორის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული ჭიდაობის მდიდარი არსენალის განზოგადებაში და ამით ხელი შეუწყვეს საერთაშორისო სარბიელზე, განსაკუთრებით ძიუდოსა და სამბოში ქართველი ფალავნების წარმატებებს, ერთ-ერთი გამორჩეული გიორგი ნავროზაშვილი იყო.

ჭიდაობას ბავშვობიდან ეზიარა. გახდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში. როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, მონაწილეობდა სამბოში გამართულ საკავშირო შეჯიბრებებში, გახდა პრიზიორი. სპორტის ოსტატის წოდება მიიღო სამბოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც. მერე დრო დადგა და სამწვრთნელო სარბიელზეც გამოიჩინა თავი — იყო ქართულ ჭიდაობაში კასპის რაიონის, სამბოში კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. სპორტის ამ სახეობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

დიდია ამ ამაგდარი ადამიანის დამსახურება მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საქმეში. ჯერ კიდევ 1952 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, დაიწყო ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობა ლენინგორის რაიონის სოფ. ახმაჯის საშუალო სკოლაში. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კი პედაგოგიური საქმიანობა განაგრძო ლამისყანის საშუალო სკოლაში. იგივე ინსტიტუტი ბიოლოგის სპეციალობითაც დაამთავრა. მართალია, სხვა ხელმძღვანელ პოსტზეც იმუშავა, მაგრამ სკოლა და ბავშვები არასდროს მიუტოვებია. მერე საერთოდაც დაუბრუნდა ლამისყანის სკოლას. ჯერ ორგანიზატორი იყო, შემდეგ — დირექტორი. შარშან ქართული ჭიდაობის ფედერაციამ დააჯილდოვა, როგორც ქართული ჭიდაობის დიდოსტატი.

77 წლისა, ღვაწლმოსილი და პირნათელი წავიდა ამქვეყნიდან. შესანიშნავი სპეციალისტის და პიროვნების გ. ნავროზაშვილის ამაგი დავიწყებას არასდროს მიეცემა, მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

სამბოს ეროვნული ფედერაცია

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი მოჭიდავის, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ

**გოგი ნავროზაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძიუდო

## ძიუდო სპორტზე მეტია



ბექა ღვინიაშვილი

**ბექა ღვინიაშვილის** (90) დიდსულოვან საქციელზე გუშინაც ვწერდით - ვარშავაში, „ევროპის ღია თასზე" ჭიდაობისას მეორე წრეში მის მეტოქეს, უნგრელ **კრისტიან ტოტს** ფეხი ეტკინა და იძულებული გახდა, პაექრობა შეეწყვიტა. ღვინიაშვილი თანაგრძნობით მოეკიდა მეტოქის გასაჭირს - წამოდგომაშიც უშველა და ტატამიდან გასვლაშიც, რამაც პოლონელი მაყურებლის დიდი ოვაცია გამოიწვია. თუმცა არა მხოლოდ მათ, რადგან ჩვენებური ფეარ-პლეის სპეციალური სერთიფიკატით დააჯილდოვეს. *„ჩვენ ხშირად ვამბობთ და ვამაყობთ იმით, რომ ძიუდო სპორტზე მეტია. ეს ძიუდოს ევროპული კავშირის დევიზია. დღეს ჩვენ სწორედ ასეთი თავგანწირვის ნამდვილი მაგალითი დავინახეთ ბექა ღვინიაშვილის საქციელში"* - ნათქვამია ძიუდოს ევროპული კავშირის საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ღვინიაშვილისთვის პოლონური ტურნირი სპორტული თვალსაზრისით წარუმატებელი გამოდგა - ნაადრევად დამარცხდა და უმედლოდ დარჩა, თუმცა სხვა კუთხით კი დიდი აღიარება მოუტანა. მართალია, სპორტში მთავარი შედეგია, მაგრამ პიროვნული ურთიერთობები მაინც შეუდარებლად მაღლა დგას - სპორტში ჩემპიონობას ყოველთვის გადასძალავს ხოლმე ადამიანობაში ჩემპიონობა. კეთილშობილ პიროვნებებს ყოველთვის აფასებენ მათი მედლების და ტიტულების მიუხედავად, ხოლო ამ თვისებების გარეშე ვერასოდეს გახდები დიდი სპორტსმენი, რაგინდ მაღალ წარმატებებსაც მიაღწიო სპორტში.

**ირაკლი თავაძე**

ტანვარჯიში

## თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

**საქართველოს** ექვსი წარმომადგენელი (დელეგაციის ხელმძღვანელი — საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი **ბესიკ გამსახურდია**) მონაწილეობდა რიგაში ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში. საასპარეზოდ 7 ქვეყნის 22-მა გუნდმა მოიყარა თავი ორ ასაკში. უფროსებში **პაატა ნოზაძემ** იყოჩაღა, მრავალჭიდში IV ადგილი დაიკავა და მე-3 ადგილზე გასულ რუს მეტოქეს 0,3 ქულით ჩამორჩა. სამაგიეროდ, თავისუფალ ვარჯიშში იყო შეუდარებელი — 14,1 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა — მეორე ადგილზე გასულ ლიტველ რობერტ ტოროგავის ნახევარი ქულით გაუსწრო. ტაიჭსა და რგოლებზე მე-5 ადგილებს დასჯერდა. ქალებში **ნატო ძიძიგურმა** ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში VI ადგილები დაიკავა.

დაძაბულად წარიმართა პაექრობები 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის. ეს ის ასაკია, რომლის წარმომადგენლებიც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში მოსინჯავენ ძალებს. ამიტომაც ბევრი კონტინენტის წარმომადგენლები აქედანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ ასაკის გოგო-ბიჭების მომზადებას. გოგონებში თავი გამოიჩინა **თამარ ჩაჩუამ**. მრავალჭიდში ის მეხუთე იყო, თავისუფალ ვარჯიშში ვერცხლის მედალი მოიპოვა, დვირზე კი მე-4 ადგილი დაიკავა.

ბიჭებში **ივანე ჯიმშელეიშვილს** 13,1 ქულით თავისუფალ ვარჯიშში ბრინჯაო ერგო. მეორე ადგილზე გასულმა რუსმა სპორტსმენმა ჩვენებურს 0,1 ქულით აჯობა. რგოლებში მე-5 ადგილი ხვდა. ამ დისციპლინაში ერთი ადგილით ჩამორჩა **საბა აბესაძე**, რომელიც ორძელზე მეხუთე იყო.

ორი წლით უფროსებში იასპარეზა 12 წლის **ბიძინა სიჭინავამ**. მრავალჭიდში მე-6 ადგილზე გავიდა. ტაიჭზე მეოთხე, თავისუფალში კი მე-5 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრების წევრები ახლა ორკვირიან შეკრებას გაივლიან. 20-25 მარტს გერმანიაში, 26-31 მარტს კი ყატარში მსოფლიოს თასის ეტაპებზე გამოვლენ.

**ვაჟა დანელია**



პაატა ნოზაძე

ერთა თასი

# მზადება განრისხებულ ლომებთან ბრძოლისთვის



საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩს 9 მარტს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ესპანეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნები“ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გუშინ შეიკრიბნენ და მატჩისთვის მზადება დაიწყეს.

ჩვენი გუნდის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** ესპანელებთან საასპარეზოდ 27-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. იმ გუნდს, რომელიც წინა ტურში რუსებთან სათამაშოდ ემზადებოდა, მხოლოდ ერთი მორაგბე, მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი** („ორიაკი“) დაემატა, რომელსაც წლეულს „ბორჯღალოსანთა“ რიგებში არ უთამაშია.

საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში სტარტი წარუმატებლად აიღო. „ლომებმა“ სამ მატჩში ორი წააგეს და ერთში ფრეს დასჯერდნენ, შედეგად, ამჟამად სამი ქულით ბოლო ადგილზე არიან.

გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა ესპანელთა ახალზელანდიელთა დამრიგებელმა **ბრაის ბევინმაც**. ნაკრების შემადგენლობაში ისევ ითამაშებს საქართველოს ჩემპიონის, „არმიას“ შერკინების ბურჯი **დავით გურგენიძე**. „ბორჯღალოსნებისთვის“ ყველაზე მეტ საფრთხეს, ვფიქრობთ, ესპანეთის ნაკრებში დაბრუნებული ცხრა ნომერი **პაბლო ფეიხოო** („ბერა ბერა“) წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ სწრაფია და ორიგინალური გადაწყვეტილებებით გამოირჩევა. ის კარგად კითხულობს თამაშს და, ფაქტობრივად, მარტო შეუძლია გადაწყვიტოს მისი ბედი.

დიდი ყურადღება მართებს ჩვენს უკანახაზელებს ფულბეკის **სესარ სემპერეს** წინააღმდეგაც. ის ესპანელთა გუნდში ყველაზე კარგი მორბენალია და შეტევაში დროულად ერთვება. ბრაის ბევინმა ნაკრებში ორი ახალი მოთამაშე გამოიძახა: **ნიკოლა მარშალი** („ოდისია“) და **უნაი ლასა** („გერნიკა“). ტრავმის გამო გუნდს დააკლდება **ანიბალ ბონანი** („ბაგნერე“), რომელსაც **ტომ პარკერი** („ვანი“) შეცვლის.

ალსანიშნავია, რომ თბილისში მარცხის შემთხვევაში, ესპანეთის ნაკრები უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება. გუნდს, რომელსაც ერთა თასის გათამაშების დაწყების წინ მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვების პრეტენზია ჰქონდა, დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ აქამდე საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებები თორმეტჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აქედან რვა თამაში „ბორჯღალოსნებმა“ მოიგეს, სამი „ლომებმა“ და ერთიც ფრედ დასრულდა.

მატჩს ირლანდიელ არბიტრთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯი **სტიუარტ გაფკინი** იქნება. შეხვედრა 15 საათზე დაიწყება.

### საქართველო

**პირველი ხაზი:** დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე)

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი)

მესამე ხაზი: მამუკა გორგოძე (მონპელიე), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

**№15:** ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

### ესპანეთი

**გაბრიელ ორტისი (ინდეპენდიენტე), სესარ სემპერე (ელ სალვადორი), პედრო მარტინი, გლენ ლუისი (ორივე-ვალიადოლიდი), ხოსე ბლანკო (ვიგო), ხუან ანაია (ატლეტიკო მადრიდი), მეთიუ კუკი (ლა ვილა), მატიას ტუდელა (ტატამი), პაბლო ფეიხოო (ბერა ბერა), უნაი ლასა, ხუან მაგუნასელაია (ორივე-გერნიკა), ნიკოლას მარშალი, კორი სიმპსონი, ხუან ტუდელა (სამივე-ორდისია), ხუან გარსია (არასი), ლიონელ პარდო (ბეზიე), ხუან გოია (ბიარიცი), ჯო ჰატჩინსონი, ხაიმე ნავა (ბურგ ან ბრესი), ხესუს რეკუერდა (ლილი), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ტომ პარკერი (ვანი), დავით გურგენიძე (არმია).**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 2. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | +31 | 12 |
| 3. პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | -13 | 5 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | -10 | 4 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -25 | 4 |
| 6. ესპანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | -14 | 3 |

**III ტური. 9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

ლეგიონერები

# ორი სინბინი და ერთი ლელო



ირაკლი მირცხულავა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა. პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლა საგრძნობლად გამწვავდა. TOP6-ში მოხვედრა ერთბაშად ათ გუნდს შეუძლია. აქედან ექვსში ქართველი ლეგიონერები თამაშობენ და მათგან ხუთს სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური უჭირავს.

სატურნირო ცხრილს დიდი ხანია სათავეში უდგას **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“, რომელიც მე-20 ტურში შინ დაუპირისპირდა ქვეყნის ჩემპიონს - **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზს“. მასპინძლებმა მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს და 35:16 დაამარცხეს.

ბრეგვაძე და კაკოვინი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და ორივე ერთდროულად, 43-ე წუთზე შეცვალეს, ჩილაჩავა თამაშში 75-ე წუთიდან ჩაერთო და ოთხ წუთში სალელოვე შეტევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ქუბრიაშვილი და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

„ტულონს“ ამ გამარჯვების შემდეგ 71 ქულა დაუგროვდა. მას ორი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“, რომელმაც სტუმრად **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“ დამაჯერებლად მოუგო - 37:10. „ვულკანებმა“ თავიდანვე აგრესიული, სწრაფი რაგბობა შესთავაზეს მასპინძლებს და მე-12 წუთისთვის უკვე 17:0 იგებდნენ. მატჩში ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

58 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიე“ დაამარცხა - 26:20. ალსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი მონპელიელთა უპირატესობით წარიმართა და 36-ე წუთამდე მასპინძლებს 14 ქულის სხვაობით უგებდნენ - 20:6. მატჩის დასრულებამდე დარჩენილ დროში სტუმრებმა მონაგარის გაზრდა ვერაფრით შესძლეს. კასტრელებმა კი კიდევ 20 ქულას მოუყარეს თავი.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნარიაშვილი 64-ე წუთზე შეცვალეს, ფეიქრიშვილი მოედანზე 53-ე წუთიდან გამოჩნდა, ჟღენტი ტრავმირებულია.

სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება და პირველი დივიზიონის დატოვების რეალური კანდიდატია **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი“, რომელმაც შინ წააგო „პერპინიანთან“ - 17:31. საქართველოს ნაკრების გარემარბს არ უთამაშია.

### I დივიზიონი

### XX ტური

**ბაიონი-ბიარიცი 6:6, სტად ფრანსე-კლერმონი 10:37, კასტრი-მონპელიე 26:20, მონ დე მარანი-პერპინიანი 17:31, მეტრო რასინგი-გრენობლი 23:3, ბორდო-აჟენი 48:17, ტულონი-ტულუზი 35:16.**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ტულონი - 71 ქულა, 2. კლერმონი - 69, 3. ტულუზი - 60, 4. კასტრი - 58, 5. მონპელიე - 54, 6. მეტრო რასინგი - 54, 7. პერპინიანი - 51, 8. გრენობლი - 47, 9. ბიარიცი - 43, 10. სტად ფრანსე - 41, 11. ბაიონი - 37, 12. ბორდო - 30, 13. აჟენი - 27, 14. მონ დე მარსანი - 15.

### II დივიზიონი

საკმაოდ დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს მეორე დივიზიონში, სადაც პირველი ადგილის მფლობელის (რომელიც ავტომატურად მიიღებს პირველი დივიზიონის საგზურს) ვინაობა, ფაქტობრივად, გარკვეულია. „ოიონაქსი“ უახლოეს მდევარს 20 ქულით უსწრებს და ნაკლებად სავარაუდოა, მან ეს უპირატესობა გაანიავოს.

პლეი ოფში (აქ პირველი დივიზიონის კიდევ ერთი საგზური გათამაშდება) მოხვედრისთვის ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი იბრძვის. ადგილი კი ოთხია. ყველაზე კარგი მდგომარეობა **მამუკა მაგრაქველიძის** „პოს“ აქვს, რომელიც 66 ქულით მესამე ადგილზეა. ჩვენებურის ეს გუნდი 22-ე ტურში სტუმრად დამარცხდა „კოლომიესთან“ - 12:23. მაგრაქველიძე განაცხადში არ იყო.

„პოს“ სამი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი“, რომელმაც სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში მოუგო აუტსაიდერს, **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასის“ - 17:15.

ხინჩაგიშვილი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო, სუთიაშვილი მოედანზე ექვსი წუთის შემდეგ გამოჩნდა, ნატრიაშვილი და შველიძე შეცვლაზე ერთდროულად, 58-ე წუთზე შევიდნენ, აშვეთია განაცხადში არ იყო.

61-61 ქულა აქვთ და მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ „ქართული გუნდები“ - „ორიაკი“ და „ტარბი“. **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა“ სტუმრად წააგო „ნარბონთან“- 21:45.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ასეიშვილი თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, ნაცარაშვილი მოედანზე რვა წუთის შემდეგ გამოჩნდა.

**გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბმა“ შინ მოუგო **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი თეთრაშვილის, ვახტანგ ახობაძისა** და **კახა კობერიძის** „ალბის“ 31:22.

ჩხაიძემ, ნემსაძემ და თოდუამ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, დადუნაშვილი, რომელიც 52-ე წუთზე გაასინბინეს, 63-ე წუთზე შეცვალეს, თეთრაშვილმა მოედანი 48-ე წუთზე დატოვა, ათ წუთში სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა მირცხულავამ, მაისურაძე 75-ე წუთზე შეცვალეს, კობერიძე და ახობაძე განაცხადში არ იყვნენ.

**გურამ კავთიძის** „ლიონმა“ შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა „ექსი“ - 50:16 და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. ლიონელები ახლა 54 ქულით მე-8 ადგილზე არიან და პლეი ოფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ.

კავთიძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო და ათ წუთში ლელო გაიტანა.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ 30 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა. ლანგედოკელებმა შინ შეძლეს „ოშის“ დამარცხება - 18:11. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

„ბეზიეს“ ორი ქულით უსწრებს **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე გათამაშების ლიდერთან, „ოიონაქსთან“ წააგო - 12:33. რატიანიძე ძირითად შემადგენლობაში იყო. ის არბიტრმა 52-ე წუთზე გაასინბინა და 64-ე წუთზე შეცვალეს.

### II დივიზიონი

### XXII ტური

**ბეზიე-ოში 18:11, ტარბი-ალბი 31:22, მასი-ბრივი 15:17, ნარბონი-ორიაკი 45:21, კარკასონი-ლა როშელი 23:18, დაქსი-ოიონაქსი 12:33, კოლომიე-პო 23:12, ლიონი-ექსი 50:16.**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ოიონაქსი - 87 ქულა, 2. ლა როშელი - 67, 3. პო - 66, 4. ბრივი - 63, 5. ორიაკი - 61, 6. ტარბი - 61, 7. კარკასონი - 59, 8. ლიონი - 54, 9. ნარბონი - 52, 10. კოლომიე - 48, 11. ალბი - 45, 12. ოში - 35, 13. ექსი - 33, 14. დაქსი - 32, 15. ბეზიე - 30, 16. მასი - 26.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**




გურამ კავთიძე

● არვიდას საბონისის სტუმრობა

# ევროპულ რელსებზე ლიტვის გავლით

ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი, ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, **არვიდას საბონისი** და აღმასრულებელი დირექტორი **პაულიუს მოტეიუნასი** საქართველოში გუშინ ჩამოვიდნენ და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანთან** და გენერალურ მდივან **მერაბ რატიშვილთან** ერთად პრესკონფერენციაც გამართეს. საბონისის სტუმრობის მიზანი ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა გაგვაცნო:

- არვიდას საბონისი საქართველოში წელიწადნახევრის წინ ევროპის ჩემპიონატის ელჩის რანგში იმყოფებოდა. სწორედ მაშინ გვქონდა საუბარი კალათბურთის განვითარების გეგმის შემუშავებაზე. მოგეხსენებათ, ლიტვაში სპორტის ეს სახეობა მაღალ დონეზეა განვითარებული და მათი გამოცდილება ძალიან წაგვადგება. ამ ხნის განმავლობაში ვმუშაობდით განვითარების პროექტის იმ მოდელზე, რომელიც საქართველოს მოერგებოდა. ახლა უკვე შემუშავებულია გეგმა, რომელიც მწვრთნელების, ახალგაზრდა კალათბურთელების, მსაჯების სწორი მიმართულებით განვითარებას, მათ აღზრდას და პროფესიულ დახვეწას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ბატონმა ბესომ იქვე დაამატა, რომ პროგრამას სრულყოფილი სახით გამოამზეურებს მეორე დღესვე, რაც იგი დამტკიცდება. ეს კი საქართველოს მთავრობის საქმეა, საბონისი გუშინ სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას გაესაუბრა, დღეს კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა იგეგმება.

ბესიკ ლიპარტელიანს პროექტის დეტალებზეც ვკითხეთ:

- პროგრამა 5-წლიანია და განხორციელდება თუ არა იგი, ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ნებაზე. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრთან და ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრების შემდეგ გაირკვევა სახელმწიფოს ჩართულობის საკითხი აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მანამდე კი არვიდას საბონისს მოვუსმინოთ.



არვიდას საბონისი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

- თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ ლიტვაში ნამდვილად არის საკმარისი გამოცდილება, რომლის გამოყენება საქართველოსთვის სასარგებლო იქნება. ისიც ვიცი, რომ საქმე არა უდაბნოსთან, არამედ მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს ეხება, რომელსაც ახლაც გააჩნია რესურსი, მნიშვნელოვან საკალათბურთო ქვეყნად იქცეს. წელიწადნახევრის წინ, საქართველოში ყოფნის დროს ბესიკ ლიპარტელიანთან კალათბურთის განვითარების გეგმაზე ვისაუბრე. შემუშავებულია ერთობლივი პროგამა, რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა გაცვლითი პროექტი.

**- ყველაზე მნიშვნელოვნად გეგმის რა ნაწილი მიგაჩნიათ?**

- მოგეხსენებათ, სპორტსმენის განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება. ჩვენს პროექტში ისიც არის გათვალისწინებული, როგორ უნდა მოხდეს სკოლის დონეზე მოზარდების საკალათბურთო კუთხით განვითარება. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ინფრასტრუქტურას. მოგეხსენებათ, ლიტვაში არაერთი ისეთი დარბაზია, რომელშიც ოთხი საკალათბურთო მოედანია...

**- 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მეორე ეტაპზე გავიდა და ვილნიუსში ითამაშა. ჩვენი გუნდი ლიტვას ამხანაგურად წლეულსაც გაეჯიბრება. ზოგადად რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს ნაკრებზე?**

- საინტერესო გუნდია. ბურთი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. საქართველო ფავორიტად არ ითვლება, მაგრამ ნამდვილად შეუძლია თავი კარგი თამაშით დაგვამახსოვროს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ 2011 წელს თქვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტი იყო. მას მერე ორმაგი გამოცდილება შეიძინა და სლოვენიაში სხვა მიზნებით, სხვა ხედვით ჩავა. საერთოდ, ლიტველები მხოლოდ ევროვიზიის დროს როდი ვართ საქართველოს მხარეს, თქვენს საკალათბურთო ნაკრებსაც ვქომაგობთ. ისიც ვიცი, ქართველებს ჩვენი ნაკრებისადმი სიმპათიები რომ გაქვთ.

**- ფიბა-ს გადაწყვეტილი აქვს ახალი სისტემის შემოღება, რომლის მიხედვითაც 2017 წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატი ორის ნაცვლად ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს. როგორც ვიცით, ამ პროექტს თქვენც ეწინააღმდეგებით.**

- გარეშე თვალით ჩანს, რომ ფიბას ევრობასკეტების დახურვა სურს. ეს ხომ ძალიან ძლიერი, გამართული და მომგებიანი შეჯიბრებაა, რომლის გამართვასაც წლიდან წლამდე მოუთმენლად ველით. მეტსაც გეტყვით - ევროპის ჩემპიონატი დონით მსოფლიოს პირველობას აღემატება. მუნდიალებზე ბევრი არათანაბარი გუნდია, ევრობასკეტებზე კი ყველა მონაწილე ერთმანეთთან ახლოსაა და მათი პაექრობები საინტერესო სანახავია. სხვებზე მაღლა მხოლოდ ერთი, ესპანეთის ნაკრები დგას, თუმცა არა მგონია, 2013 წელს სხვებთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდეს.

**- თქვენი მეგობარი შარუნას მარჩულიონისი ევრობასკეტის ოთხ წელიწადში ერთხელ გამართვას ემხრობა.**

- შარუნასი, ალბათ, დაბერდა. ეს ხუმრობით, რეალურად კი ნამდვილად ვერ გავიზიარებ მათ მოსაზრებას, რომლებიც ევროპის ჩემპიონატების რაოდენობის შემცირების იდეას ემხრობიან.

ვაჟა სიმონიშვილი



შეხვედრა სპორტის სამინისტროში

● ქართველი NBA-ში. ემოციური გამოძახილი



ზაზა (№27) და კობი (№24) ორშაბათის მატჩისას

# ბრუს ლი უფრო მაგარია თუ კობი ბრაიანტი?!

**ბრუს ლის** შესახებ გადაღებული ფილმები ხომ გახსოვთ - მთავარი გმირი ხუთ კაცს ერთად რომ სცემდა, საოცარი ილეთებით ათ ადამიანს ახტებოდა, თხუთმეტი მოწინააღმდეგე ტყვიებს რომ უშენდა, ბრუს ლი ყველას იცილებდა და მხოლოდ ნაკაწრები რჩებოდა?! იმიტომ, რომ ბრუს ლი მაგარი იყო, ყველაზე მაგარი, სწორედ ისეთი, ბავშვებს რომ წარმოუდგენიათ საკუთარი თავი მომავალში. სპაიდერმენი მასთან რა მოსატანია, მით უმეტეს ჩაკ ნორისი...

...იცით, ბრუს ლის კიდევ რატომ ვერავინ ერეოდა? იმიტომ, რომ მისი სიკვდილი სცენარის მიხედვით არ შეიძლებოდა - ფილმიც მაშინვე დასრულდებოდა. არადა, ყველა სცენარისტს ერთი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული: „საფინალო სირენამდე" რამდენიმე წამით ადრე ბრუს ლი მოწინააღმდეგის მთავარ ბანაკში უნდა შეჭრილიყო და გამარჯვებული გამოსულიყო, ისე როგორც **კობი.** დიახ, როგორც **ბრაიანტი!**

ყველა მეტოქემ იცის, რომ მთავარი საფრთხე სწორედ „შავი მამბასგან" (კობის მეტსახელი) ელის, შეუძლია ხუთი კაცის ერთმანეთის მიყოლებით გაბითურება, თავისებური ილეთებით რამდენიმე მოწინააღმდეგეზე გადახტომა, ბოლო წამზე ერთი დარტყმით სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, მაგრამ ამის მიუხედავად ბრუს... არა, ბრაიანტს ვერ აჩერებენ.

ამაში ის გულშემატკივარიც დაგვეთანხმება, რომელმაც გუშინ დილას „ლეიკერსი"-"ატლანტას" შეხვედრა პირდაპირი ეთერით იხილა. ლოსანჯელესელებს აკლდათ **პაუ გასოლი, ფაჩულიამ და პეტრომ** ცენტრ **დუაიტ ჰოვარდს** სისხლი გაუშრეს, **სტივ ნეში** უფრო ორგანიზატორია, პასებზე ფიქრობს, „ლეიკერსს" კი „ატლანტასთან" გასამარჯვებლად ქულები სჭირდებოდა. სწორედ ამისთვისაა ბრაიანტი, რომელმაც საბოლოოდ 34 ქულა მოაგროვა.

მესამე პერიოდის დასრულებას 2 წამი აკლდა, როცა „ლეიკერსმა" ბურთი გვერდითი ხაზიდან შემოიტანა. ყველამ იცოდა, კობის უნდა მიეღო და ესროლა. „ატლანტას" მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ბრაიანტს კარგი მცველი, **სტივენსონი** მიუჩინა, მაგრამ „მამბამ" ყველაფერი ელვის სისწრაფით გააკეთა, ერთ წამში ჩაეტია და სამქულიანით „ლეიკერსი" 79:73 დააწინაურა.

ამ სტატიის ფორმა კი საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე მომხდარმა ამბავმა მოხაზა. მეოთხე რაუნდში „ატლანტა" თავსაც კარგად იცავდა, მასპინძელთა კალათისკენაც გაიკვლია გზა (ზაზა ფაჩულია ფარქვეშ არავის არაფერს ანებებდა, შეტევაში ისეთ პასებს არიგებდა, ზოგ გამთამაშებელს შეშურდებოდა (ნეშს არა, უფრო ტიგს)) და ბოლომდე თანაბარი თამაში გააჩაღა. მატჩის დასრულებამდე 26 წამით ადრე ჯორჯიელები 98:97-ს იგებდნენ (ჰორფორდის ტყორცნის შემდეგ), თუმცა მომდევნო შეტევა როგორც მოსალოდნელი იყო, ბრაიანტმა წამოიწყო, ყველამ იცოდა, მას უნდა ესროლა. **ელ ჰორფორდი** ლანდივით აედევნა, ხოლო **ჯოშ სმიტი** სამწამიანში ელოდა. მოკლედ, „ატლანტას" მწვრთნელმა ყველაფერი კარგად გათვალა - ტანმაღალი ჰორფორდი შორიდან არ ასროლინებდა, ხოლო თუ კობი ფარქვეშ შესვლას გადაწყვეტდა, სმიტი-ჰორფორდის დუეტს შედარებით დაბალი ლეიკერსელი უნდა შეეჩერებინა.

...მაგრამ თითქოს ეს მატჩიც ბრუს ლის ფილმების სცენარისტმა დაწერა, მთავარი გმირი (ჩვენს შემთხვევაში ბრაიანტი) ბოლო წამებზე მოწინააღმდეგის ბანაკში შეიჭრა, ორ კაცს გადააფრინდა (სმიტსა და ჰორფორდს) და „ატლანტას" სასიკვდილო დარტყმა მიაყენა - 99:98.

The End - უმალ ასეთი წარწერა გამოჩნდა შავ ეკრანზე, რაც ფილმის დასრულებას ნიშნავს. ტიტრებში, როგორც წესი, უამრავი გვარი წერია, რომელთაგან თვალი ერთზეა მიჩვეული: Zaza Pachulia. მის გასწვრივ ვკითხულობთ: 20 წუთი, 2 ქულა (1/1 ორქულიანი, 4 პასი, 2 მოხსნა, 1 დაფარება.

ვაჟა სიმონიშვილი

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 25.02 | NBA | დეტროიტი VS | 103:114 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 27.02 | NBA | იუტა VS | 91:102 | 12 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 |
| | | 1.03 | NBA | ფინიქსი VS | 92:87 | 25 | 8 | 8 | 2 | 2 | 0 |
| | | 3.03 | NBA | ლეიკერსი VS | 99:98 | 20 | 2 | 1 | 4 | 0 | 1 |
| თორნიკე შენგელია | სპრინგფილდი (NBA) | 1.03 | NBDL | ფორტ უეინი VS | 119:110 2ოტ. | 39 | 21 | 10 | 2 | 1 | 0 |
| | | 2.03 | NBDL | ჩარჯი VS | 112:111 | 33 | 29 | 2 | 1 | 4 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 2.03 | თურქეთის ჩემპ. | VS ერდემირი | 84:61 | არ უთამაშია | | | | | |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 28.02 | ევროლიგა | VS ფენერბაჰჩე (თურ) | 87:69 | 8 | 6 | 4 | 1 | 1 | 0 |
| | | 3.03 | იტალიის ჩემპ. | მილანი VS | 72:68 | 16 | 4 | 5 | 0 | 2 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 3.03 | იტალიის ჩემპ. | კასარპუსტერლენგო VS | 87:71 | 13 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 28.02 | ევროლიგა | ბეშიქთაში (თურ) VS | 60:79 | 8 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 |
| | | 3.03 | საბერძნეთის ჩემპ. | კავალა VS | 76:94 | არ უთამაშია | | | | | |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 1.03 | უკრაინის ჩემპ. | VS ოდესა | 85:87 | 25 | 16 | 2 | 4 | 0 | 1 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 2.03 | ესპანეთის ჩემპ. | ვალენსია VS | 66:72 | 7 | 2 | 1 | 0 | 2 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 2.03 | ლიბანის ჩემპ. | ალ რიადი VS | 82-54 | 36 | 10 | 10 | 3 | 1 | 1 |



● ჭადრაკი

# ჩემპიონი სათადარიგოებითაც ძლიერია

ასტანაში გუშინ მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრები ჩინელებს დაუპირისპირდა. აზიელები მსგავსი შეჯიბრებების სამგზის ჩემპიონები არიან. 2007 წელს ქართულ-ჩინური პაექრობა ფრედ (2:2) დამთავრდა. მომდევნო ჩემპიონატებში ჩვენები დამარცხდნენ. ჩინელებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და კვლავ გაიმარჯვეს, იმის მიუხედავად, რომ გუნდში ორი უძლიერესი დიდოსტატი არ ჰყავთ — მსოფლიო ქალთა რეიტინგის საუკეთესო ასეულის მეორე და მეხუთე ადგილებზე მყოფი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი და ჟაო სიუე. ჩემპიონი სათადარიგოებითაც უძლეველია.

პირველ დაფაზე **ნანა ძაგნიძე** თეთრი ფიგურებით ცზიუ ვენძიუნს შეხვდა. 39 სვლის შემდეგ ქართველი დიდოსტატი საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და გამარჯვებაც არც ისე შორს იყო, მაგრამ მე-40 სვლაზე უხეშად შეცდა და მეტოქემაც შანსი ხელიდან არ გაუშვა — 48-ე სვლაზე ქულა მოუტანა თავის გუნდს. ზედიზედ მეორედ დამარცხდა **ბელა ხოტენაშვილი** — ამჯერად ჰუან ძიანთან წააგო. არადა, 49-ე სვლაზე სამ პაიკში მხედარი ჰყავდა და მეტოქეზე უკეთესი პოზიცია ჰქონდა. **ლელა ჯავახიშვილი** თან ჟონის დაუზავდა, **სალომე მელიამ** გუო ძისთან გაიყო ქულა. საბოლოოდ ჩვენი ნაკრები 1:3 დამარცხდა.

დანარჩენი შეხვედრები: **ინდოეთი — საფრანგეთი** 2,5:1,5 (ეიშა კარავადე — სოფი მილე 0,5:0,5, ნინო მაისურაძე — ნიშა მოჰოტა 0,5:0,5, მარი გომესი — ანდა შაფრანსკა 0,5:0,5, ნატაშა ბენმეშბახი — სვამინათან სოუმია 0:1).

**აშშ — თურქეთი** 2,5:1,5 (ანა ზატონსკიხი — ბეთულ ილდიზი 0,5:0,5, კუბრა ოზთურქი — ირინა კრუში 0,5:0,5, თათევ აბრაჰამიანი — კარდელენ კემხანი 0,5:0,5, ემილ კაია — ვიქტორია ნი 0:). **რუსეთი — ყაზახეთი** 3:1 (ვალენტინა გუნინა — გულისხან ნახბაიევა 0:1, დინარა სადუაკასოვა — ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ნატალია პოგონინა — მადინა დავლეტბაიევა 1:0, ჟანსაია აბდუმალიკი — ოლგა გირია 0:1), **უკრაინა — რუმინეთი** 2:2 (კატერინა ლაგნო — ადელა ქრისტინა ფოიშორი 0,5:0,5, ირინა ბულმაგა — მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა — ელენა კოსმა 0,5:0,5, ალინა ლამი — ინა იანოვსკა-გაპონენკო 0,5:0,5).

ორი ტურის შემდეგ: ჩინეთი (6,5), რუსეთი (6,5) — 4-4, უკრაინა (5), აშშ (4,5) — 3-3, საქართველო (4), ინდოეთი (3,5) — 2-2, ყაზახეთი (3), რუმინეთი (2,5) — 1-1, თურქეთი (2,5), საფრანგეთი (2) — 0 ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: საფრანგეთი — საქართველო, რუმინეთი — ინდოეთი, ყაზახეთი — უკრაინა, თურქეთი — რუსეთი, ჩინეთი — აშშ.

ვაჟა დანელია

# მორჩიაშვილი ლიდერებში

ირანულ ხაზარში მოჭადრაკეთა მე-11 საერთაშორისო ფესტივალზე მე-5 ტურის პარტიები გათამაშდა; ერთპიროვნული ლიდერი **ლევან ფანცულაია** რუს სერგეი ვოლკოვთან დამარცხდა. **ბაჩანა მორჩიაშვილმა** თანამემამულე **დავით ბენიძეს** სძლია, ხოლო **შოთა აზალაძემ** მასპინძელ ბარდა გალეხდარის აჯობა. მეწინავეთაგან დაზავდნენ ზაურ მამადოვი (აზერბაიჯანი) — მიხალ მოჟაროვი (რუსეთი), ჰამედ მოოსაკიანი (ირანი) — კირიშ სტუპაკი (ბელარუსი).

ხუთი ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ბაჩანა მორჩიაშვილი, სერგეი ვოლკოვი და ჰომეინ ტუფიგი დაწინაურდნენ. 9 მოჭადრაკეს, მათ შორის ფანცულაიას, 4-4 ქულა აქვს, აზალაძემ — 3,5, ბენიძემ 2,5 ქულა მოაგროვეს.

მე-6 ტურში ქართველები ასე დაწყვილდნენ: ტუფიგი — მორჩიაშვილი, ფანცულაია — მამადოვი, ისკანდაროვი — აზალაძე, ბენიძე — სეიდ არაბი.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

# განახლებული რეიტინგით

## ანა ტატიშვილი ოთხი საფეხურით ჩამოქვეითდა

ინდიან უელსში გუშინ დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 6.020.268 დოლარი), რომელშიც **ანა ტატიშვილსაც** უნდა ეთამაშა, მაგრამ ტრავმა ჯერ ბოლომდე არ მოუშუშებია და გარისკვას არ აპირებს. მსოფლიო საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) განახლებულ რეიტინგში ანამ 992 ქულით 57-ედან 61-ე ადგილზე გადაინაცვლა.

კლასიფიკაციაში 24 საფეხურით დაწინაურდა **სოფიო შაფათავა**, რომელმაც წინა კვირას მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მე-2 ადგილი დაიკავა. 186 ქულით იგი 273-ე ადგილზეა. 389 (405). **ოქსანა კალაშნიკოვა** (96 ქულა), 399 (395). **მაკა ჩახნაშვილი** (92), 482(482). **სოფიო ქვაცაბაია** (66), 526 (518). **ეკატერინე გორგოძე** (55), 708 (706) **ნათია გეგია** (28). 1165 (1157) **ანი გოგვაძე** (3).

თურქულ ანტალიაში გუშინ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი, სადაც მესამე ნომრადაა განთესილი სოფიო შაფათავა. სტარტზე იგი ვივიენ კუპაუოვას შეხვდება. წყვილებში უკრაინელ ალონა ფომინასთან ერთად მე-2 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში პატრისია ლანკრანჯანისა (რუმინეთი) და გაბრიელა პორუბინის (მოლდოვა) დუეტს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

● წყალბურთი



# ორ ასაკში 21 გუნდი

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" გასულ უქმეებზე თავი მოიყარეს ნორჩმა წყალბურთელებმა — სტარტი აიღო საქართველოს პირველობამ ორ ასაკში: 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის მედლებისთვის ბრძოლაში 12 გუნდი ჩაება. ასპარეზობის პირველ დღეს შეხვედრები ასე დამთავრდა: „ტონუსი" — „აკადემია" 2:16, „საჩხერე" — „ლისი" 18:4, „ივერია-1" — „რუსთავი" 32:0, „ლიგამუსი-1" — „ბათუმი" 14:3, მომდევნო პარასკევ-შაბათს 6 შეხვედრა გაიმართება.

2000 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა პირველობაში 9 გუნდი მონაწილეობს. ამჯერად მხოლოდ სამი ორთაბრძოლა ჩატარდა: „ლიგამუსი-2" — „საჩხერე" 4:10, „ბათუმი" — „აკადემია" 14:3, „ქუთაისი" — „რუსთავი" 22:0.

ვაჟა დანელია

● მძლეოსნობა

# ვერ იყოჩაღეს

შვედურ გეტებორგში დამთავრდა მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში სამი ქართველი სპორტსმენიც მონაწილეობდა. ასპარეზობის პირველ დღეს სამხტომელ **ლაშა ღულელაურს** საკვალიფიკაციო ეტაპზე სამიდან მხოლოდ ერთი ცდა გამოუვიდა შედეგიანი. 15,35 მეტრმა მას 21 მონაწილეს შორის მხოლოდ მე-20 ადგილი მოუტანა. ჩემპიონობა იტალიელმა დანიელ გრეკომ მოიპოვა 17,70 მეტრით. ვერცხლის მედლის მფლობელი რუსლან სამიტოვი (რუსეთი) გამარჯვებულს 40 სანტიმეტრით ჩამორჩა. მესამე იყო ალექსეი ფიოდოროვი (რუსეთი)-17,12.

სიმაღლეზე მხტომელი **ზურაბ გოგოჭური** 213 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და 22-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ოქრო-ვერცხლი რუსებს - სერგეი მუდროვსა (235) და ალექსეი დმიტრიკს (233) ხვდათ, მესამეზე ჩეხი იაროსლავ ბაბა (231) გავიდა.

ორი ოლიმპიადის მონაწილე **მარიამ ქევხიშვილი** აშშ-ში ცხოვრობს. ტრავმის გამო იგი აქტიურ სპორტს ჩამოშორებული იყო. შარშან წლის მიწურულს ვარჯიში განაახლა, მაგრამ შვედეთში ვერაფერს გახდა - ბირთვი 16,66 მეტრზე კრა, რითაც მე-14 ადგილი ერგო. კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: კრისტინა შვანიტესი (გერმანია)-19,25, ევგენია კოლოდკო (რუსეთი)-19,04, ალიონა კოპეცი (ბელარუსი)-18,85 მეტრი.

ვაჟა დანელია

● ვარსკვლავი

# ჯოკო ლეიკერსელებს დაუმეგობრდა



ჰოვარდი და ჯოკოვიჩი

სერბი ჩოგბურთელი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დუბაის ტურნირის მოსაგებად ამერიკაში გაემგზავრა და იქ მზადებას დაიწყებს ინდიან უელსის მასტერსისთვის. მანამდე კი მსოფლიოს პირველი ჩოგანი დაესწრო NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის მატჩს „ლოს ანჯელეს ლეიკერსსა" და „ატლანტა ჰოქსს" შორის.

შეხვედრის წინ, ჯოკოვიჩი „ლეიკერსის" გასახდელში კალიფორნიელ კალათბურთელებს შეხვდა: **კობი ბრაიანტს, სტივ ნეშს, დუაიტ ჰოვარდს, ანტუან ჯეიმისონსა** და სხვებს.

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი „სტეიპლ ცენტრის" მოედანზეც გავიდა და თამაშის დაწყებამდე რამდენიმე სროლა შეასრულა, მათ შორის სამქულიანი, რომელიც ზუსტი აღმოჩნდა.

ლელო გიწვევთ!

სპორტულ ჟურნალისტთა გამოვლენისა და მათთან შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, „ლელო" პარასკევს, 8 მარტს, 17 საათზე ჩაატარებს მსურველებთან შეხვედრა-გასაუბრებას. შერჩეულები ამავე გაზეთში გაივლიან სტაჟირებას და ჩაერთვებიან ჟურნალისტურ საქმიანობაში. სასურველია მსურველებმა წარმოადგინონ თავიანთი პროექტი ან კონკრეტული რუბრიკა.

მისამართი: იოსებიძის 49; „პალიტრამედია". „ლელოს" რედაქცია

ჩოგბურთი

# ნადალმა ინდიან უელსი დაადასტურა



რაფაელ ნადალი

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს ATP-ის პირველ მასტერსში, რომელიც 6-17 მარტს ამერიკის ქალაქ ინდიან უესლში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ უფრო ესპანურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნადალი არ აპირებდა ამერიკული ჰარდის მასტერსებზე გამოსვლას.

*„ინდიან უელსის მასტერსი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირია,* - ამბობს ნადალი ამერიკულ სააგენტო AP-თან კომენტარში - *მინდა გავაგრძელო ინტენსიური გამოსვლა, რადგან ვგრძნობ, რომ ჩემი მუხლი მზად არის სერიოზული დატვირთვებისთვის".*

*„თავისუფლად შემიძლია ჰარდის ტურნირებზე თამაში. აუცილებელია სატურნირო და სათამაშო გამოცდილების დაბრუნება",* - ამატებს ნადალი.

# ლატვიელის დაბრუნება

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, გასულ კვირას მამაკაცთა და ქალთა პროფესიულ ტურში ექვსი ტურნირი გაიმართა. ყველაზე მნიშვნელოვანი ორი სტარტი (დუბაიში და აკაპულკოში) უკვე მიმოვიხილეთ, ახლა კი მოკლედ კიდევ ოთხი ტურნირის (ერთი კაცებში და სამი - ქალებში) შესახებ.

ოდესღაც დელრეი ბიჩის ტურნირი რომ გააუქმონ, ეს დიდი დარტყმა იქნება ლატვიელი **ერნესტ გულბისისთვის**, რადგან ამ არასტაბილურმა ბალტიისპირელმა ჩოგბურთელმა თავისი სამი ტიტულიდან ორი სწორედ ფლორიდის სანაპიროზე მოიპოვა.

დელრეი ბიჩის ტურნირზე ძალიან ბევრი სენსაცია ვიხილეთ. ამიტომაც ისე გამოვიდა, რომ ფინალში შეხვდნენ ჩოგბურთელები, რომლებიც რეიტინგის საუკეთესო ასეულის მიღმა იმყოფებიან: გულბისი და ფრანგი **ედუარდ როჟე-ვასელენი**. თუმცა ნახევარფინალში გულბისთან წაგების შემდეგ, სახელოვანმა გერმანელმა **ტომი ჰაასმა** აღნიშნა, რომ ლატვიელი თავისი თამაშით არ იმსახურებს რეიტინგში ასეთ პოზიციას.

საბოლოოდ, ფინალი გულბისმა მოიგო და კლასიფიკაციაში ერთბაშად 40-საფეხურიანი ნახტომი გააკეთა, არადა, ერნესტის მწვრთნელი თავისი შეგირდისგან TOP100-ში დაბრუნებას აპრილში ელოდა.

■ ■ ■

აკაპულკოში ქალთა ტურნირზე მოულოდნელობებს საერთოდ არ ჰქონია ადგილი. **სარა ერანი** ერთი თავით მაღლა იდგა თავის კონკურენტებზე, მით უმეტეს, რომ თავის საყვარელ გრუნტზე თამაშობდა (შეგახსენებთ, რომ აპენინელი როლან გაროსის შარშანდელი ფინალისტი გახლავთ).

ერთადერთი მეტოქე, ვინც ერანის ტაი-ბრეიკის თამაში აიძულა, კანადელი **ეჟენი ბუშარი** იყო - ეს მეორე წრეში მოხდა. დანარჩენ მეტოქეებს სარა იოლად გადიოდა და ფინალში მინიმალური შანსიც არ მისცა გამოცდილ და ნიჭიერ ესპანელს **კარლა სუარეს ნავაროს**.

ასე რომ, სარამ დაიცვა აკაპულკოში შარშან მოპოვებული ტიტული და დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფორმაში იმყოფება. თუმცა მომავალ ტურნირებზე მას ძალიან ბევრი ქულის დაცვა უწევს.

■ ■ ■

ძალიან მოულოდნელი იყო კუალა ლუმპურსა და ფლორიანაპოლისში ჩატარებული ტურნირების შედეგები. მალაიზიის ღია პირველობაზე უკვე პირველივე წრეში წააგო მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ნომერმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** - ის ნაკლებად ცნობილმა ჩინელმა **კიან ვანმა** გამოთიშა ბრძოლას.

სწორედ ამ მატჩიდან დაიწყო სენსაციების სერია კუალა ლუმპურში და ფინალში გავიდნენ ამერიკელი **ბეტანი მატეკი** და ახალგაზრდა ჩეხი **კაროლინა პლიშკოვა**. მატეკმა, რომელსაც თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის „ლედი გაგას" უწოდებენ, პირველი სეტი მოიგო, მაგრამ ჩეხმა შეძლო ინციატივის მოპოვება და კარიერაში WTA-ის პირველი ტიტული მოიპოვა.

დაახლოებით იგივე ამბები ხდებოდა ბრაზილიის ფლორიანაპოლისში, სადაც ასევე სენსაციური იყო ფინალისტთა წყვილი. რუსმა **ოლგა პლიშკოვამ** თვით **ვენუს უილიამსის** დამარცხება შეძლო, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში გამოცდილება დააკლდა რუმინელი **მონიკა ნიკულესკუს** დასამარცხებლად. ამ უკანასკნელისთვის ეს ასევე პირველი ტიტული იყო კარიერაში.



გულბისი მთავარი პრიზით

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამიმ მინუს 16 ამოატრიალა

"მაიამიმ" ამ სეზონში პირველად დაამარცხა "ნიუ იორკი" და 14 მატჩამდე გააგრძელა თავისი მოგებათა სერია, რითაც საკლუბო რეკორდი გაიმეორა. "ჰიტმა" გამარჯვებისკენ სწრაფვა გამოავლინა, როცა 16-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება მოახერხა.

მასპინძლებმა ამ სეზონში მესამედ სცადეს ჩემპიონის სამქულიანებით დამარცხება და პირველ ტაიმში კარგი პროცენტიც ჰქონდათ (6/17), მაგრამ მეორე ტაიმში 12 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ ორი ჩავარდა "მაიამის" კალათში.

მესამე მეოთხედში "მაიამიმ" დაცვა გამოასწორა და მეტოქეს გამოედევნა, მაგრამ "ნიქსი" გააფთრებული იცავდა 9-10 ქულიან უპირატესობას. მასპინძლებმა მაინც ვერ გაძლეს და მესამე 12-წუთეულის ბოლოს მეტოქის 8:1 გაქცევა გამოეპარათ.

მეოთხე მეოთხედში, სიზუსტის მხრივ, "ნიქსის" პრობლემები გრძელდებოდა – ბურთი ჯიუტად არ ვარდებოდა კალათში, "მაიამი" კი თამაშს უმატებდა. მატჩის დასკვნითი ნაწილის გმირი გახდა **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც 12 ქულა დააგროვა. ასევე მნიშვნელოვანი იყო სხვა მოთამაშეების წვლილი, ამიტომაც, ნიუიორკელებმა არ იცოდნენ, ვისზე გაკეთებინათ კონცენტრაცია. მაგალითად, ასპროცენტიანი სიზუსტით ისროდა სამქულიანებს **ბატიე, ბოშმა** თამაშიდან ხუთიდან სამი ტყორცნა გამოიყენა, ბრწყინვალე იყო **უეიდი**...

"მაიამიმ" ანგარიში სირენამდე ხუთი წუთით ადრე გაათანაბრა, რის შემდეგაც 12:5 გაქცევა მოაწყო. ეს მთლიანად "დიდი ტრიოს" დამსახურება იყო: ბოშმა ორ საშუალო ტყორცნა ჩააგდო, უეიდმა - ერთი, ლებრონმა კი ექვსი ქულა დააგროვა.

"ნიქსს" ვერ უშველა **კარმელო ენტონის** 32 ქულამ. "ნიქსის" ლიდერმა პირველ ნახევარში 24 ქულა ჩააგდო, მეორეში კი, ისევე როგორც მთელს გუნდს, თამაში არ წაუვიდა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ლოს ანჯელესში, სადაც "ოკლაჰომამ" შეწყვიტა "კლიპერსის" ოთხმატჩიანი მოგებათა სერია. ამასთან, "თანდერმა" გაარკვია ამ გუნდთან რეგულარულში ურთიერთობა და "მშრალი" ანგარიშით (3:0) მოუგო კალიფორნიელებს.

მასპინძლებმა მთლიანად ჩააგდეს პირველი ტაიმი, მაგრამ მეორეში მოახერხეს 19-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება და სირენამდე წუთნახევრით ადრე ერთი ქულით გავიდნენ წინ. თუმცა "ოკლაჰომას" ლიდერები სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ და დარჩენილ 90 წამში 9:4 სპურტი მოაწყვეს.

■ ■ ■

"ჰიუსტონმა" შეწყვიტა "დალასთან" ცხრამატჩიანი წაგებათა სერია. "მავერიქსი" კვლავ საშინლად ჩატარებული მესამე მეოთხედის გამო დამარცხდა. მასპინძლებმა ეს 12-წუთეული 15:0 გაქცევით დაიწყეს, რამაც განსაზღვრა კიდეც მატჩის ბედი. "დალასს" პრაქტიკულად შეწყვეტილი ჰქონდა დაცვა და "ჰიუსტონმა" ბევრი ღია სროლა გამოიყენა, რითაც ბოლო შესვენებაზე 30-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

"ჰიუსტონმა" 14 სამქულიანი მოათავსა კალათში და მიუახლოვდა "ნიუ იორკს" საშუალოდ მატჩში გამოყენებული შორეული ტყორცნების რაოდენობით (10,6 10,8-ის წინააღმდეგ). გარდა ამისა, "როკეტსმა" შედეგიანობის მხრივ გაუსწრო "ოკლაჰომას" – საშუალოდ 107 ქულა.

■ ■ ■

"ინდიანას" მთავარმა მწვრთნელმა **ფრენკ ფოგელმა** კარიერაში მეასე გამარჯვება მოიპოვა მწვრთნელის რანგში. ეს შესაძლებელი გახდა **დევიდ უესტისა** და **პოლ ჯორჯის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით, რომლებმაც "ჩიკაგოს" არ მისცეს ამ სეზონში" "პეისერსის" პირველად დამარცხების საშუალება. ბოლო წამებზე **მარკო ბელინელის** შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მისმა სამქულიანმა მიზანს არ მიაღწია.

"ინდიანამ" "ვარსკვლავური უქმეების" შემდეგ რვიდან შვიდი მატჩი მოიგო და პირველად 2004 წლის შემდეგ, რეგულარული ჩემპიონატის სერიაში დაამარცხა "ჩიკაგო".

**ნიუ იორკი–მაიამი 93:99**

22:23, 37:22, 18:28, 16:26

**ნ-ი:** ენტონი (32), კიდი (14+8 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), სმიტი (13+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (12), ჩენდლერი (10+8 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (29+11 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (20+8 მოხსნა+8 პასი), ბოში (16), ბატიე (12).

**კლიპერსი–ოკლაჰომა 104:108**

20:27, 21:27, 32:28, 31:26

**კ:** პოლი (26+6 მოხსნა+8 პასი), გრიფინი (20+9 მოხსნა+5 პასი), კროუფორდი (20), ბატლერი (10).

**ო:** დურანტი (35+9 მოხსნა), უესტბრუკი (29+6 მოხსნა+10 პასი), იბაკა (16), მარტინი (10+3 ჩაჭრა).

**ვაშინგტონი–ფილადელფია 90:87**

26:22, 24:27, 22:19, 18:19

**ვ:** უოლი (16+5 მოხსნა+6 პასი), უებსტერი (16), ნენე (15+9 მოხსნა), ბილი (14), ოკაფორი (12+16 მოხსნა).

**ფ:** რაიტი (15), ჰოიესი (14+11 მოხსნა), ტ. იანგი (14+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოლიდეი (14+6 პასი), ტერნერი (11+10 მოხსნა).

**ორლანდო–მემფისი 82:108**

19:29, 16:31, 22:22, 25:26

**ო:** მური (12+5 მოხსნა+6 პასი), ნიკოლსონი (12), აფლალო (12), ჰარკლესი (11+6 მოხსნა).

**მ:** პრინსი (14), ალენი (13+5 მოხსნა), კონლი (13), გასოლი (12+5 მოხსნა+11 პასი), პონდესტერი (12), დევისი (10+10 მოხსნა+3 დაფარება).

**საკრამენტო–შარლოტი 119:83**

27:27, 27:13, 43:19, 22:24

**ს:** სალმონსი (22), ტომპსონი (18+14 მოხსნა), ტორნტონი (18), კაზინსი (14+9 მოხსნა), ტ. ევანსი (13+7 მოხსნა), ტომასი (10+7 პასი), ჰეიესი (6+12 მოხსნა).

**შ:** მალენსი (12), ჰენდერსონი (12), უოკერი (11+6 პასი), კიდ-გილკრისტი (10+6 მოხსნა).

**ჰიუსტონი–დალასი 136:103**

31:33, 33:28, 44:17, 28:25

**ჰ:** პარსონსი (32), ლინი (21+9 პასი), ჰარდენი (21+7 პასი), აშიქი (10+10 მოხსნა+5 ჩაჭრა), რობინსონი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დ:** მაიო (18), მერიონი (14+8 მოხსნა), რაიტი (12), მ. ჯეიმსი (11).

**სან ანტონიო–დეტროიტი 114:75**

32:19, 28:21, 29:16, 25:19

**ს-ა:** დანკანი (16+11 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), გრინი (16), ლეონარდი (14+6 მოხსნა).

**დ:** მონრო (16+8 მოხსნა), კალდერონი (14), ვილანუევა (10+10 მოხსნა), ძერებკო (10+5 მოხსნა).

**ინდიანა–ჩიკაგო 97:92**

32:21, 15:19, 22:26, 28:26

**ი:** უესტი (31+7 მოხსნა), ჰილი (21+6 მოხსნა+5 პასი), ჰიბერტი (18+10 მოხსნა+3 დაფარება), ჯორჯი (10+10 მოხსნა+6 პასი).

**ჩ:** ბელინელი (20+5 პასი), ბატლერი (20), დენგი (15+5 მოხსნა), ნოა (14+10 მოხსნა+5 პასი).

**ლეიკერსი–ატლანტა 99:98**

30:26, 22:19, 27:28, 20:25

**ლ:** ბრაიანტი (34+6 მოხსნა), ნეში (15+10 პასი), უორლდ პისი (13), ჰოვარდი (11+15 მოხსნა), ჯეიმისონი (10+8 მოხსნა).

**ა:** ჰორფორდი (24+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სმიტი (19+7 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება), ჰარისი (16+6 პასი+3 ჩაჭრა), კორვერი (16+5 მოხსნა).



ლებრონი და კარმელო

# ტი-მაკი ისევ ბრუნდება?

თავისუფალი აგენტი **ტრეისი მაკგრეიდი** გუშინ, „ჰიუსტონი"-„დალასის" შეხვედრას დაესწრო, მატჩის შემდეგ კი განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, 17 აპრილამდე NBA-ის ერთ-ერთ გუნდთან გააფორმოს კონტრაქტი.

შეგახსენებთ, რომ მაკგრეიდი ამ სეზონს ჩინეთის „ცინდაოში" იწყებდა, რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა რეგულარულ ჩემპიონატში (8 მოგება-24 წაგება). 33 წლის მცველის საშუალო მაჩვენებლები 25 ქულა, 7.2 მოხსნა და 5.1 შედეგიანი პასი იყო.

■ ■ ■

„მინესოტას" მცველი **ბრენდონ როი** მალე რეგულარულ ჩემპიონატში დაბრუნებას აპირებს. კალათბურთელს იმედი აქვს, რომ ვარჯიშს გუნდის გასვლითი ტურნეს დასრულების შემდეგ დაიწყებს და ერთ ან ორ კვირაში შეუერთდება „მგლებს".

28 წლის როი ამ სეზონის წინ დაბრუნდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ტიმბერვულვზთან", მაგრამ მხოლოდ ხუთი მატჩი ითამაშა და ისევ მუხლი დაიზინა, რასაც ქირურგიული ჩარევა მოჰყვა. მიმდინარე სეზონში როიმ 5.1 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშავოს.

■ ■ ■

„ინდიანასთან" გუშინდელ მატჩში „ჩიკაგოს" ლიდერი **დერიკ როუზი** პირველად გამოჩნდა თავისი გუნდის სათადარიგოთა სკამზე. ტაიმაუტების დროს გამთამაშებელს აქტიური კავშირი ჰქონდა თავის პარტნიორებთან, აგრეთვე ემოციურად გამოხატავდა „ხარების" წარმატებასა და მარცხს.

შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის გამო, როუზი გასული წლის გაზაფხულიდან არ თამაშობს. კალათბურთელი მოედანზე გასვლის ვადა ჯერაც უცნობია.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი–ჩიკაგო 1:2 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ტატარი-4 (ანდერსონი-3, ივსი-4), 1:1 პ. კეინი-11 (სტალბერგი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** პ. კეინი (ჩიკაგო).

**აილენდერსი–ოტავა 3:2 (ბ)**

1:0, 0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბოიესი-5 (მოულსონი-14, შტრაიტი-8), 1:1 ზიბანეჯადი-4 (კ. ნილი-3), 2:1 გრაბნერი-8 (რისონერი-4), 2:2 ვირჩიოკი-1 (ტარისი-9, გონჩარი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსენი (აილენდერსი), ტავარესი (აილენდერსი).

**კოლამბუსი–კოლორადო 2:1 (ო)**

0:0, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პარენტო-9 (ო'ბრაიენი-2, ბარი-5), 1:1 პროსპალი-8 (ტიუტინი-11, ფოლინო-8), 2:1 ანისიმოვი-6 (ერიქსონი-3, ლეტესტუ-7).

**დალასი–სენტ ლუისი 4:1**

2:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 პერონი-7 (ბეკსი-12, შატენკირკი-15), 1:1 ე. კოული-4 (რუსელი-4, როი-10), 2:1 როი-3, 3:1 ლ. ერიქსონი-7 (ჯორდი ბენი-4, იკინი-10), 4:1 იაგრი-7 (როი-11, ლ. ერიქსონი-8).

**ფლორიდა–კაროლინა 2:3**

0:2, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ფოლკი-3, 0:2 სიომინი-5 (ტლუსტი-7, ე. სტაალი-13), 0:3 ჯ. სტაალი-5 (სკინერი-8, მაკბეინი-5), 1:3 უბერდო-9 (მიულერი-4), 2:3 უბერდო-10 (მიულერი-5, ბ. კემპბელი-9).

**ბოსტონი–მონრეალი 3:4**

1:2, 2:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პლეკანეცი-9 (რაიდერი-9, სუბანი-7), 1:1 სეგუინი-5 (პ. ბერჟერონი-12, მარჩანდი-4), 1:2 დეშარნე-6, 2:2 პ. ბერჟერონი-5 (სეგუინი-10, მარჩანდი-5), 3:2 ჰემილტონი-2 (მარჩანდი-6, პ. ბერჟერონი-13), 3:3 პასიორეტი-8 (ემელინი-6, გალაჰერი-6), 3:4 დეშარნე-7 (პასიორეტი-12, გალაჰერი-7)

**რეინჯერსი–ბაფალო 3:2 (ბ)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 სტეფორდი-2 (გრიგორენკო-4), 1:1 სტეპანი-5 (რიკ ნეში-11, გაბორიკი-6), 2:1 რიკ ნეში-5 (გაბორიკი-7, დელ ზოტო-6), 2:2 გერბე-3 (ოტი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** რიკ ნეში (რეინჯერსი), კელეჰანი (რეინჯერსი).

**მინესოტა–ედმონტონი 4:2**

1:1, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 სპარჯონი-2 (სეტოგუჩი-7, კულენი-9), 1:1 პაარავი-3 (ებერლე-10, პეტრი-2), 2:1 მ. კოივუ-4 (კოილი-1, სპარჯონი-2), 3:1 კოილი-2 (პარიზე-7, მ. კოივუ-12), 3:2 სემ განიე-7, 4:2 ჰიტლი-8 (მ. კოივუ-13, რ. სატერი-14).

**კალგარი–ვანკუვერი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 ჰიგინსი-6 (ჰანსენი-6), 1:1 კამალერი-7 (ჰუდლერი-10), 1:2 ჰანსენი-5 (ბარკერი-1, ჰ. სედინი-18), 2:2 სტემპნიაკი-6 (სტაიანი-8, დ. სმიტი-1), 3:2 იგინლა-6 (ჯორდანო-3, ჰუდლერი-11), 4:2 კამალერი-8 (სტემპნიაკი-9, გლენკროსი-5).

გვერდი მოამზადა

**გია თვალაბეიშვილმა**

● ფორმულა 1


ნიკო როსბერგი

# უფრთხილდით მერსედესს!

ფორმულა 1-ის პილოტებმა დაასრულეს მზადება ახალი სეზონისთვის და ახლა, ყველა 17 მარტს ელოდება, როცა მელბურნის „ალბერტ-პარკზე“ გაიმართება სეზონის პირველი ეტაპი - ავსტრალიის გრანპრი.

ექსპერტებმა, გუნდების ხელმძღვანელებმა და პილოტებმა დაიწყეს წინასასეზონო ტესტების შედეგების შეჯამება. ყველა ერთხმად აღნიშნავს „მერსედესის“ დიდ პროგრესს. ტესტების ბოლო ორ დღეს, საუკეთესო დრო აჩვენეს გერმანული საჯინიბოს წევრებმა - **ლუის ჰემილტონმა** და **ნიკო როსბერგმა**. ამასთან, როსბერგის შედეგი - 1.20,130 ოთხი დღის განმავლობაში აბსოლუტურად საუკეთესო დრო იყო.

გერმანული გუნდის სიჩქარე შეუმჩნეველი არ დარჩენია „რედ ბულის“ კონსულტანტს **ჰელმუტ მარკოს**, რომელმაც აღიარა, რომ „რედ ბულს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა: *„მერსედესი“ არასოდეს ყოფილა ასე ახლოს ლიდერებთან. ჩვენ კი ისე ვერ ნავიყვანეთ მუშაობა, როგორც გვინდოდა და პრობლემები შეიქმნა სარბოლო მახასიათებლების მხრივ. უნდა გავაანალიზოთ შეკრებელი ინფორმაცია“.*

ბარსელონას ტესტების ოთხივე დღეს „რედ ბულმა“ 1462 კილომეტრი გაიარა, იმ დროს, როცა „მერსედესის“ ანალოგიური მაჩვენებელი 2239 კილომეტრს შეადგენდა.

„ლოტუსის“ ლიდერს **კიმი რაიკონენს** მიაჩნია, რომ ავსტრალიაში „მერსედესმა“, შესაძლოა, ბევრი გააკვირვოს: *„მერსედესმა“ ძალიან დიდ პროგრესს მიაღწია, მაგრამ ერთი წლის წინაც ვნახეთ, რომ ეს გუნდი ტესტებზე სწრაფი იყო, მაგრამ მოულოდნელად გაირკვა, რომ რბოლებში იგივე ტემპს ვერ აჩვენებდნენ. ვნახოთ, ამჯერად როგორ განვითარდება მოვლენები“.*

- სხვათა შორის, ექსპერტები „ლოტუსის“ მაღალ ტემპსაც უსვამენ ხაზს. ამასთან დაკავშირებით ფინელი პილოტი ამბობს, რომ მისმა გუნდმა სტაბილურობა შეიძინა, მაგრამ ახლა სიჩქარის მომატებაა საჭირო: *„უნდა გავზარდოთ ტემპი შარშანდელთან შედარებით. თუ მოვახერხებთ სტაბილურობის შენარჩუნებას და ამასთან, სიჩქარესაც მოვუმატებთ, შევძლებთ წლის დასაწყისში მაღალი შედეგების ჩვენებას“.*

ტესტების შედეგები შეაჯამა „მაკლარენის“ სპორტულმა დირექტორმა **სემ მაიკლმაც**, რომელმაც განაცხადა, რომ დამდეგ სეზონში ძალიან დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი, თუმცა პროგნოზებისგან თავი შეიკავა.

*„ტესტებზე ცხრა პილოტის მიერ ნაჩვენები შედეგები ერთ წამში ჩაეტია. მელბურნში ძალიან მჭიდრო ბრძოლა იქნება კვალიფიკაციაში.*

*სავსებით ცხადია, რომ „მერსედესს“ ძალიან სწრაფი მანქანა ეყოლება, თანაც სტაბილურად სწრაფი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუნდში გადაიჭრა მანქანასთან დაკავშირებული პრობლემები. სხვა თემებზე ანალიზი ძალიან რთულია, რადგან არ ვიცით, რა რაოდენობის საწვავით მუშაობდნენ გუნდები ტესტებზე. ამიტომაც, მელბურნის კვალიფიკაციამდე ძალთა თანაფარდობის შესახებ პასუხი არ გვექნება.*

*რა თქმა უნდა, „მაკლარენი“ მიიღებს მონაწილეობას ლიდერობისთვის ბრძოლაში. არ ვიცი, რამდენად შეძლებს ჩვენი გუნდი მელბურნში პირველი ხაზიდან სტარტის აღებას და მელბურნში გამარჯვების მოპოვებას. ამაზე პასუხი ჯერ არ მაქვს და არ მინდა წინასწარ რაიმე ილუზია შევქმნა“,* - ამბობს სემ მაიკლი.

აქვე გთავაზობთ ფინალური ტესტების ოთხი დღის შემაჯამებელ ოქმს. როგორც უკვე ვთქვით, წრეზე საუკეთესო დრო ნიკო როსბერგს ჰქონდა. ასევე გერმანელია ლიდერი გავლილი დისტანციის მიხედვით. გახსოვთ, რომ ხერესის ტესტების დროს, „მერსედესმა“ ტექნიკური პრობლემების გამო ძალიან ბევრი დრო დაკარგა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, საჭირო საიმედოობას მიაღწია.

### საბოლოო ოქმი

| | |
|---|---|
| 1. როსბერგი (Mercedes) | 1:20.130 (251 წრე) |
| 2. ალონსო (Ferrari) | +0.364 (222) |
| 3. ჰემილტონი (Mercedes) | +0.428 (230) |
| 4. მასა (Ferrari) | +1.136 (206) |
| 5. ბატონი (McLaren) | +1.314 (194) |
| 6. ჰიულკენბერგი (Sauber) | +1.411 (197) |
| 7. სუტილი (ფორს ინდია) | +1.497 (171) |
| 8. რაიკონენი (Lotus) | +1.528 (50) |
| 9. დი რესტა (Force India) | +1.534 (169) |
| 10. მალდონადო (Williams) | +2.175 (151) |
| 11. ბოტასი (Williams) | +2.338 (147) |
| 12. ფეტელი (Red Bull) | +2.384 (165) |
| 13. გუტიერესი (Sauber) | +2.423 (191) |
| 14. უებერი (Red Bull) | +2.528 (149) |
| 15. პერესი (McLaren) | +2.564 (201) |
| 16. გროსჟანი (Lotus) | +2.586 (186) |
| 17. პიკი (Caterham) | +2.985 (199) |
| 18. ბიანკი (Force India) | +3.037 (136) |
| 19. ვერნი (Toro Rosso) | +3.093 (173) |
| 20. ვალსეკი (Lotus) | +3.318 (16) |
| 21. რიკარდო (Toro Rosso) | +3.498 (152) |
| 22. ჩილტონი (Marussia) | +3.973 (202) |
| 23. ვან დერ გარდე (Caterham) | +4.105 (174) |

● ავტოსპორტი

# კუბიცა რალიში წავიდა

## პოლონელმა პილოტმა სიტროენ რეისინგთან გააფორმა კონტრაქტი

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა, პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** რალიში კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა - მან ფრანგულ საჯინიბოსთან „სიტროენ რეისინგთან“ გააფორმა კონტრაქტი. კუბიცას პირველი სტარტი 21 მარტს ელის. ის Citroen DS3 RRC-ის მანქანით კანარის კუნძულების რალიში მიიღებს მონაწილეობას. ეს ევროპის ჩემპიონატის მესამე ეტაპი გახლავთ. ამის შემდეგ, პორტუგალიის რალიდან მოყოლებული, პოლონელი WRC2-ის სერიაში (ყოფილი Super 2000) გააგრძელებს გამოსვლას.

*„სანამ ამ პროგრამას ავირჩევდი, სხვადასხვა ვარიანტი განვიხილე,* - ამბობს კუბიცა. - *მუდმივი კონტაქტი მქონდა „სიტროენ რეისინგთან“ და ორივე მხარე მზად ვართ თანამშრომლობისთვის. მოხარული ვარ, რომ ასეთ ძლიერ ჩემპიონატში ჩავერთვები. კანარის კუნძულების რალიში მონაწილეობა საინტერესო გამოცდილება უნდა გახდეს. მოუთმენლად ველი სტარტზე გასვლას, თუმცა კონკრეტულ მიზნებს არ ვისახავ. რალიში ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი, ამიტომაც პრაქტიკა მჭირდება“.*

საერთო ჯამში, კუბიცა და „სიტროენ რეისინგი“ 2013 წელს შვიდ რბოლაში გეგმავენ გამოსვლას. გამორიცხული არ არის, რომ პოლონელი ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე ეტაპზე ვიხილოთ.

Citroen DS3 RRC-ს სპეციალურად მოამზადებენ კუბიცასთვის, რომელიც ბოლომდე ვერ მომჯობინდა 2011 წელს მომხდარი ავარიის შემდეგ. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ნება დართო ფრანგულ გუნდს ამ მანქანაზე დაამონტაჟოს სპეციალური გადაცემათა კოლოფი გადართვის ჰიდრავლიკური სისტემით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


რობერტ კუბიცა

● TV პროგრამა

**5 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-რეალი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. IV ტური. ბოკა ხუნიორსი-უნიონი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIV ტური. დორტმუნდი-ჰანოვერი.
**18:00** გადაცემა – იმედის ფსონი
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ტოტენჰემი-არსენალი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. დორტმუნდი-შახტარი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ლანუსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-მაიამი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-აიაქსი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. რაფაელ ნადალი-დავიდ ფერერი. აკაპულკო. მექსიკა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**21:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბორუსია (მ).
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ატლანტა.
**01:15** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**12:20** სპორტ-NEWS.
**12:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.
**14:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
**19:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ბრუკლინი.
**21:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიანა უელსი. აშშ.

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კარტახენა-ვიკინგი | 2:1 |
| მიონდალენი-ფრედრიკსტადი | 2:1 |
| ჰაუგესუნდი-ბოდო გლიმტი | 1:0 |
| ფრემადი-ჰვიდინგი | 2:4 |
| **ინგლისი** | |
| ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვიჩენცა-ბარი | 0:1 |
| ვერონა-პადოვა | 0:2 |
| **სერია C1/A** | |
| ლეჩე-ტრაპანი | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| სევილია-სელტა | 4:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დუისბურგი-ბრაუნშვაიგი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანსი-ნანტი | 1:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ვეენდამი | 1:3 |
| ემენი-ექსელსიორი | 3:1 |
| დენ ბოში-ვოლენდამი | 1:1 |
| ფორტუნა-ალმერი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| გიმარაეში-აკადემიკა | 2:0 |
| ოლანენსე-ბრაგა | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| უნიაო-ტონდელა | 2:0 |
| **დანია** | |
| ესბერგი-აგფ ორჰუსი | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| არაუ-ვინტერტური | 3:1 |
| **საბერძნეთი** | |
| ვერია-არისი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| აპოლონი-ერგოტელისი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| ქასიმფაშა-ტრაბზონი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| გიოზთეფე-ქაისერი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| სლოვაცკო-დუკლა | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა-პოდბესკიცე | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| ბრაშოვი-კონკორდია | 3:2 |
| პანდური-ვასლუი | 2:1 |
| ტურნუ-ასტრა | 0:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ჰ) | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| რონი-სტრასბური | 70:65 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-დრამასი | 87:70 |
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-პინარი | 78:76 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 8:1 |
| სტორჰამარი-სპარტა | 2:4 |
| ფრისკ ასკერი-სტავანგერი | 2:3 (ო) |
| სტიორნენი-ვოლერენგა | 5:6 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 1:2 |
| პარდუბიცე-კლადნო | 3:1 |

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 2 | 5 | (მზე) |
| ქუთაისი | 3 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| ბათუმი | 5 | 5 | (წვიმა) |
| ფოთი | 4 | 5 | (თოვლჭყაპი) |
| ზუგდიდი | 2 | 4 | (თოვლი) |
| გორი | 1 | 4 | (თოვლი) |
| თელავი | 1 | 5 | (მზე) |
| სიღნაღი | 1 | 4 | (მზე) |
| გუდაური | -11 | -6 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -7 | -2 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -4 | 2 | (თოვლი) |
| მესტია | -10 | -1 | (თოვლი) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1554 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6590 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4935 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3886 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდა



# ფლამენგომ ზიკოს ძეგლი დაუდგა

„ფლამენგომ“ გუნდის ლეგენდა **ზიკო** დააფასა და სტადიონთან მისი ძეგლი დადგა. ზიკო, რომელიც მეორე დღეს 60 წლის გახდა, ძეგლის გახსნის ცერემონიას, რა თქმა უნდა, დაესწრო და შეკრებილი გულშემატკივრებისგან სიმღერა „უკეთესი, ვიდრე პელე“ არაერთხელ მოისმინა.

*„ფლამენგო“ მამაჩემმა ბავშვობაში შემაყვარა და მას შემდეგ ეს კლუბი ჩემთვის მუდამ მეორე სახლი იყო. ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი და მხოლოდ კლუბსა და მის გულშემატკივრებზე ვფიქრობდი. ამ ძეგლის გამო ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ. მადლობა, მადლობა, მადლობა... 60 ჯერ,“* – განაცხადა ზიკომ.

**არტურ ანტუნეშ კოიმბრამ**, იგივე ზიკომ, „ფლამენგოში“ ჯამში 18 წელი გაატარა (1971-1983 და 1985-1989). შუალედში ბრაზილიელმა „უდინეზეში“ იასპარეზა, კარიერა კი იაპონურ „კაშიმა ანთლერსში“ დაასრულა. ბრაზილიის ნაკრებში ზიკომ 72 შეხვედრაში 52 გოლი გაიტანა და სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა.

60 წლის ვეტერანი კლუბის რამდენიმე რეკორდის მფლობელია, კერძოდ ზიკო „ფლას“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია (508 გოლი), როგორც ყველა ტურნირზე, ასევე ბრაზილიის ჩემპიონატშიც (135 გოლი, მეორეზე მყოფ **ბებეტოს** 41 გოლი აქვს). ის ოთხჯერ (1980, 1982, 1983, 1987) გახდა ბრაზილიის ჩემპიონი, მოიგო ლიბერტადორესის და საკონტინენტთაშორისო თასები (1981 წელს), შტატის (კარიოკა) ჩემპიონი 7-ჯერ გახდა, 2004 წელს ფიფამ ფეხბურთის ისტორიაში 100 საუკეთესო ფეხბურთელში შეიყვანა, 2010 წელს კი „უორლდ სოკერმა“ ფეხბურთის ისტორიაში 10 საუკეთესო მოთამაშეს შორის დაასახელა... კიდევ არაერთი მიღწევის და ტიტულის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ამისთვის შესაძლოა გაზეთის ფორმატი არ გვეყოს...

ტატო ბაციკაძე

პსჟ



# ლუკას მოურა პსჟ-ის თვის საუკეთესო ფეხბურთელია

ზედიზედ მეორე თვეა **ლუკას მოურა** „პარი სენ ჟერმენის“ თვის საუკეთესო მოთამაშე ხდება. შეგახსენებთ, რომ 20 წლის ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში იანვარში გადავიდა და ადაპტაციასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონია – ლუკასი პსჟ-ს ქომაგებმა პირველივე თვეს საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ამჯერად, ბრაზილიელმა ქომაგების ხმათა 20 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გავიდა (16 პროცენტი), მესამეზე კი **ესეკილ ლავეცი** (15 პროცენტი).

ტატო ბაციკაძე

VTB ვითიბი ბანკი ნაკრძოზიდებენთ SILVER LEAGUE 2012/13

VII ტური

BUSINESS CHAMPIONS LEAGUE

03.03.2013



სამშაბათის ლელოს ნომერში, ტრადიციულიად წარმოგიდგენთ ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მე-5 გათამაშების მორიგ ტურს მინი-ფეხბურთში.

ჩემპიონატი დაკომპლექტებულია სამოყვარულო და კორპორატიული გუნდებით, რომლებიც კომპანიების სახელით ასპარეზობენ, ეს კი ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას უწყობს ხელს.

ლიგის უცვლელი პარტნიორი და მონაწილეა კომპანია „ნატახტარი“, რომელიც ოქროსა და ვერცხლის ლიგაში თითო გუნდით მონაწილეობს. ორივე გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა, რაც ბოლო ტურშიც დადასტურდა.

ვერცხლის ლიგის გენერალური სპონსორია VTB BANK , რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს საქართველოში სამოყვარულო და პროფესიონალური სპორტის განვითარებაში.

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის დამფუძნებელი და ორგანიზატორი Sport Business Managment Georgia სთავაზობს კომპანიებს მონაწილეობა მიიღოთ ბრინჯაოს ლიგის გათამაშებაში, რომელიც ამა წლის 31 მარტს აილებს სტარტს.

*მონაწილეობის მისაღებად დაგვიკავშირდით*

001@sbm.ge

ჩემპიონატის სპონსორები

VTB BANK, JOMA SPORT GEORGIA, SELLS, NATAKHTARI

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BP GEORGIA | 7 | 6 | 1 | 0 | 32-3 | 19 |
| 2 | NATAKHTARI 2 | 6 | 5 | 0 | 1 | 31-10 | 15 |
| 3 | BANK OF GEORGIA | 7 | 4 | 3 | 0 | 27-10 | 15 |
| 4 | VTB BANK | 6 | 4 | 1 | 1 | 21-11 | 13 |
| 5 | ARENA | 7 | 3 | 1 | 3 | 30-37 | 10 |
| 6 | DHL GEORGIA | 7 | 3 | 0 | 4 | 31-21 | 9 |
| 7 | ENGLISH BOOK | 7 | 3 | 0 | 4 | 19-39 | 9 |
| 8 | AUTO BILD | 7 | 2 | 0 | 5 | 25-39 | 6 |
| 9 | GPI HOLDING | 7 | 1 | 0 | 6 | 16-31 | 3 |
| 10 | BARAMBO | 7 | 0 | 0 | 7 | 16-48 | 0 |

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | AUTO BILD | 11 |
| [illegible] | ENGLISH BOOK | 10 |
| [illegible] | ARENA | 10 |
| [illegible] | BP GEORGIA | 10 |
| [illegible] | NATAKHTARI 2 | 9 |

VIII ტური 17 მარტი

| | |
|---|---|
| 12:00 | არენა – ENGLISH BOOK |
| 13:00 | AUTO BILD – ჯიპიაი |
| 14:00 | VTB BANK – DHL GEORGIA |
| 15:00 | ნატახტარი 2 – BP GEORGIA |
| 16:00 | საქართველოს ბანკი – ბარამბო |

ტურის სიმბოლური ნაკრები







SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

VTB Joma SBM SELLS


ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608